



ისტორიული გეგმვის დროება

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013 წ. ივლისი, №7 (36), ფასი 3 ლარი



**დიმიტრი არაყიშვილი —
ეროვნული საკომპოზიციო
სკოლის ფუძემდებელი**

6 ვინის
რეფორმა
საქარ-
თველოში

«ფრთიანთა
ქროსება»

12 საქარ-
თველოს
გადაფორმება

15 ილია
ჭავჭავაძე
და გიორგი
«ივრია»
აფხაზეთის
შესახებ

ზაურ
მაჭავარიანი:
სიხრუა,
როდისა
ამოგებენ,
1956 წლის
9 მარტი
არსებული
საბჭოთა
სისტემის
დაფორმირება
მიმართული
მდებარება
20 იყო

მეცნიერების
ხალკული
დარგები
37 XVIII
საუკუნის
თბილისში

ქრისტია-
ნობისთვის
ბრძოლის
ისტორიდან
43 აჭარა
ოსმალთა
გაბონების
პერიოდში

ფოტოები
არასოდეს
47 გარდა

**ლევ ტოლსტოი: არ ვიხი, კავკასია არის თუ არა უთავონების
ქვეყანა, მაგრამ ის უეჭველად სიყვარულის ქვეყანაა!**

32



ი. რაბინი —
„ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი“ (ფრაგმენტი), 1901 წ.

სარჩევი

■ მამულიშვილი დიმიტრი არაყიშვილი – ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებელი	4
■ წინ წავდით თუ უკან მინოს ჩაფორმა საქართველოში	6
■ აქტუალური თემა „ფრთიანგა ეროსმა“ საქართველოს გადარწმუნება	12
■ კმალი ნათელი ილია ჭავჭავაძე და გაზეთი „ივერია“ აფხაზეთის შესახებ	15
■ მართალი ისტორია ზაურ მატყვარია: სიხრუა, როდესაც აგობენ, 1956 წლის 9 მარტი არსებული საჭრთა სისტემის დახმარისკან მიმართული მღაღვარება იყო	20
■ მედიცინა დიმიტრი კორკია: ჯანდაცვა – ეს არის „მედიცინა მოქმედაგაში“	26
■ სპორტი 70 წლის მოფარკიანევე ევროპაში ქართული დროვა ააფრიალა	29
■ მეგობრობა გზად და ხიდად ლევ ტოლსტოი: არ ვიხი, კავკასია არის თუ არა შთაგონების ქვეყანა, მაგრამ ის უაქველად სიყვარულის ქვეყანაა!	32
■ თბილისის ისტორია მეხნიარების ხალქული დარგები XVIII საუკუნის თბილისში	37
■ ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარა ოსმალთა გატრობის პერიოდში (XVI საუკუნის 70-იანი წლები-XIX საუკუნის 70-იანი წლები)	43
■ ბასენება თენგიზ ჩანტლაქა – 80	46
■ ფოტოალბომი ფოტოები არასოდეს გარდაბა	47

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი ღბრეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

დიმიტრი არაყიშვილი – ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებელი

წლებადღეული წელი ცნობილი კომპოზიტორის — დიმიტრი არაყიშვილის საიუბილეო წელია. მისი დაბადებიდან 120 წელი გავიდა, მაგრამ წელთა სიმრავლე დიდი ადამიანის სახელსა და ღვაწლს ვერაფერს აკლებს, იგი უკვდავების ბინადარია, რამეთუ დიმიტრი არაყიშვილმა უფროსი თაობის სხვა ქართველ კომპოზიტორებთან ერთად (მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ვ. დოლიძე) ეროვნულ საკომპოზიციო სკოლას დაუდო სათავე და უდიდესი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში.



დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი დაიბადა 1873 წელს ვლადიკავკაზში. სიჭაბუკის წლები არაყიშვილმა ჩრდილოეთ კავკასიაში — არმავირსა და ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი) გაატარა. მუსიკისადმი სიყვარული არაყიშვილს გაუღვიძა ლ. ალნიაშვილის ქართულმა გუნდმა (ხელმძღვანელი ი. რატილი), რომელსაც პირველად 1890 წელს მოუსმინა არმავირში. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი პირველი ნაწარმოებები — რომანსი „ჩემო მკვლელი, ვიცი, ვიცი“ (ლექსი ი. ჭავჭავაძისა) და ქართული ცეკვა ფორტეპიანოსთვის. 1894-1901 წლებში არაყიშვილი სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ა. ილინსკის (კომპოზიცია), ს. კრუგლიკოვის (თეორიული საგნები) და ვ. კესის (დირიჟორობა) ხელმძღვანელობით.

მოსკოვში ყოფნის წლებში (1894-1918) არაყიშვილმა ახლო ურთიერთობა დაამყარა გამოჩენილ რუს მუსიკოსებსა და მეცნიერებთან (ს. ტანეევი, ა. კასტალსკი, მ. იპოლიტოვიჩი, ს. პასხალოვი, მ. პი-

ატნიცკი). ამ პერიოდში იგი გატაცებით კრებდა, იკვლევდა და პროუბანდას უწევდა ქართული მუსიკის ფოლკლორს. ხალხური მუსიკის შემოქმედებისადმი ინტერესმა იგი მჭიდროდ დააკავშირა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ სამუსიკო-ეთნოგრაფიის კომისიასთან. ამ კომისიის დამფუძნებელი არაყიშვილია ოთხი (1901, 1902, 1904, 1908) სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა რაიონში და მოაგროვა დიდი რაოდენობის ხალხური მუსიკალური მასალა (500-ზე მეტი ხალხური სიმღერა), რომელიც შემდეგ ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებითურთ სამ დიდ კრებულად გამოცა. არაყიშვილის ნაშრომებმა საქმეწმოდ წარმოადგინა ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფლობა.

1906 წელს არაყიშვილმა მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა „სახალხო კონსერვატორიას“, რომელშიც თვითონაც ასწავლიდა. ორი წლის შემდეგ მან არბატის უღარიბესი მოსწავლეებისთვის დააარსა უფასო

სამუსიკო კურსები. მისი თაოსნობითა და ღვაწლით 1908 წელს მოსკოვში გამოვიდა პროგრესული ჟურნალი „მუზიკა ი ჟიზნი“, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თვითონვე რედაქტორობდა. ამავე პერიოდში იგი აქტიური წევრი იყო მოსკოვის „მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოებისა“, რომელსაც სათავეში ედგა ა. სუმბათაშვილი-იუჟინი.

საზოგადო, პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას არაყიშვილი დაძაბულ შემოქმედებით შრომას უთავსებდა. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ოცზე მეტი საუკეთესო რომანსი, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1904), რომელიც 1919 წელს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა (ამ ნაწარმოებით იწყება ქართული ეროვნული ოპერის სცენური ისტორია), სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმუზდს“, („საზანდრებს შორის“, 1911წ.) და ბევრი საგუნდო ნაწარმოები.

1918 წელს დიმიტრი არაყიშვილი საქართველოში გადმოსახლდა და მთავარ ამოცანად მუსიკოსთა ახალგაზრდა კადრების მომზადება



დაისახა. 1921 წელს თბილისში მისი უზუალო ინიციატივით დაარსდა მეორე კონსერვატორია, რომელთანაც ჩამოყალიბდა საგუნდო კლასი, სიმებიანი კვარტეტი, საოპერო სტუდია. 1926-1930 წლებში დ. არაყიშვილი იყო თბილისის კონსერვატორიის (1923 წელს ორივე კონსერვატორია გაერთიანდა) დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი. 1932 წელს იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. საბჭოთა პერიოდში არაყიშვილის შემოქმედება გამდიდრდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით (კომიკური ოპერა „დინარა“, სიმფონიები, კანტატა).

არაყიშვილის მემკვიდრეობის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი დარგია **კამერულ-ვოკალური ლირიკა**. ამ ჟანრში კომპოზიტორმა ჭეშმარიტად კლასიკური მნიშვნელობის ნიმუშები შექმნა. მეტად მრავალფეროვანია არაყიშვილის სარომანსო შემოქმედების ლიტერატურულ-პოეტური საფუძველი (ჰაფიზი, ა. პუშკინი, ა. ფეტი, ი. პოლონსკი, ა. მაიკოვი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე), მისი რომანსები გამოირჩევა მელოდირობითა და გამომხატველობით, ფორმის პლასტიკურობითა და ლაკონურობით, ფაქიზი ჰარმონიული კოლორიტით. განსაკუთ-



დ. არაყიშვილის ოჯახი - მეუღლე და შვილები

რებით აღსანიშნავია „ივერიის მთებზე“, „ნუ მღერი, ლამაზო“ (პუშკინი), „ალსდექ, შეინავარდე“, „ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“, „სიოვ ნაზო“ (ჰაფიზი), „ვარსკვლავიანსა ლამეს“ (ა. ფეტი), „მეშენ გელი“ (მ. დავიდოვა), „ღამეა ბნელი“, „შემოღამდება“, „ურმული“ (გ. ქუჩიშვილი), რომლებიც ფართოდ გავრცელდა ხალხში, დამკვიდრდა საკონცერტო და პედაგოგიურ რეპერტუარში. საგულისხმოა, რომ მრავალრიცხოვანმა რომანსებმა ნიადაგი მოუმზადა არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ოპერის სტილისტური თა-

ვისებურებები იმავე ინტონაციური საწყისებით განისაზღვრება (ძველი თბილისის მუსიკალური ფოლკლორის აღმოსავლური ნაკადი), რომლიდანაც არაყიშვილის სარომანსო მუსიკა აღმოცენდა. ოპერას საფუძველად დაედო ხალხური თქმულება რუსთაველის ცხოვრების ერთი დრამატული ეპიზოდის შესახებ (ლიბრეტო ალ. ხახანაშვილის, ს. შანშიაშვილის, ი. მჭედლიშვილის). სიუჟეტის ინტიმურმა ხასიათმა და რომანსული ფორმების ფართო გამოყენებამ ოპერას კამერული ხასიათი მისცა. ოპერის ცალკეულმა ნაწყვეტებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა (შესავალი, თამარის კავატინა, შოთას არია, მგოსნის სიმღერა, ურმული, აბდულ-არაბისა და რუსუდანის დუეტი).

უფროსი თაობის სხვა ქართველ კომპოზიტორებთან ერთად (მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ვ. დოლიძე) არაყიშვილი აღიარებულია ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებლად. **1929 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება, 1950 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახდა და სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

დიმიტრი არაყიშვილი გარდაიცვალა 1953 წლის 13 აგვისტოს თბილისში. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.



დ. არაყიშვილი (კონსერვატორიის რექტორი) თანამშრომელთა შორის, 1926 წ.

დასკვანიძე



მინის რეფორმა საქართველოში

„რას ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით? რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევეარს უანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყყენი, ჭიაჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მინაჩიც გვეყოფის“, — ლელთ ღუნისას პირით ნათქვამი ეს ჭეშმარიტება სამშობლოში მომავალ ილიას ისარივით მოხვდა გულში. მისი აზრით, ყოველი ქართველი მოვალეა, ალაღგინოს ჩვენი დაცემული ვინაობა, ფეხზე დააყენოს და დაიცვას ყოველგვარი ფათერაკისგან. ილიამ ამისათვის ყველაფერი გააკეთა. მის მიერ საქართველოს აღმშენებლობის საძირკველში ჩადებული პირველი მაგარი ქვა ის ფუნდამენტიცაა, რომელიც დღესაც უჩვენებს ქართველ ერს ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული ღირებულებებით დამშვენებული ახალი საქართველოს მშენებლობის გზას.

საუკუნეებით დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებით ქვეყნის წინსვლაზე მოფიქრალი ადამიანები, საბედნიეროდ, დღესაც არიან საქართველოში, რომლებიც მზად არიან, უშურველად, უანგაროდ მიიღონ მონაწილეობა ძლიერი სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ზოგიერთმა მათგანმა ჟურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში“ რუბრიკით „წინ წავედით თუ უკან“ უკვე გაგვიზიარა თავისი მოსაზრება. ამჯერად ჩვენი სტუმარია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ს პროფესორი ნლების მანძილზე — ამირან ჯიბუჭი.



ამირან ჯიბუჭი

მიწის რეფორმის კონკრეტული შედეგები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში 1992 წელს დაწყებული მიწის რეფორმა, 22 წელია, გრძელდება და დღესაც არ არის დამთავრებული. ამ ხნის მანძილზე მთავრობამ ბლესობაზე მიწათსახეობის (ისინი განილოზგარივ) განაწილების იქით ვერ წავიდნენ. საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა კი (როგორც ამას მსოფლიო გამოცდილება მოწმობს) მიწის რეფორმის უმოკლეს ვადებში ჩატარებას მოითხოვს.

1996 წლის 1 აპრილის მონაცემებით, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდა 2.991.100 ჰექტარს, მათ შორის სახნავი – 759.3, მრავალწლიანი ნარგავები – 307.0, ნასვენი მიწები – 14.7, სათიბები – 147.9, საძოვარი – 1762.2 ათ ჰექტარს.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ და შემდეგში სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე, 1992-1996 წწ. საქართველოს მოქალაქეებს (სულ 952.6

ათ კომლს), ყოფილი საკარმიდამო (202.4 ათ ჰა) და მეზაღვლების (9.0 ათ ჰა) ნაკვეთების ჩათვლით, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცათ 747.2 ათ სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მათ შორის სახნავი – 438.5 ათ ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 180.2 ათ, სათიბები – 44.0 ათ, საძოვრები – 84.5 ათ ჰექტარი.

747.2 ათ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული შემდეგნაირად განაწილდა: სოფლად მაცხოვრებელ 772.5 ათ კომლს საკუთრებაში გადაეცა 690.1 ათ ჰა (92.3%), ხოლო ქალაქად მაცხოვრებელ 180.1 ათ კომლს – 57.1 ათ ჰა (7.7%). სოფლად მაცხოვრებელ ერთ კომლზე სამუშალოდ განაწილდა 0.89 ჰექტარი. ამასთან, განისაზღვრა თითოეულ კომლზე კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ნორმა: ბარისა და ზეგნის რაიონებისათვის – 1.25 ჰა, ხოლო მთის რაიონებში – 5 ჰექტარამდე.

1996 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონის — „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ მიღების საფუძველზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე იჯარით, კონკურსის წესით (გამოსყიდვის უფლებით) გაცემული იქნა 905.1 ათ ჰა ჰექტარი მიწა, ანუ ქვეყ-

ნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობის 30.3%. მათ შორის: სახნავის – 30.6%, მრავალწლიანი ნარგავების 8.9%, სათიბების – 29.7%, საძოვრების – 30.8%.

ამრიგად, ქვეყანაში მოქალაქეთა საკუთრებაში და იჯარით სულ გაიცა 1652.3 ათ ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

ამდენად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უსასყიდლოდ გადაცემის შედეგად შეიცვალა საადგილმამულო ურთიერთობები და ჩამოყალიბდა მიწაზე კერძო საკუთრება. ამასთან, შეიქმნა მიწის ყიდვა-გაყიდვის, მიწის გირავნობის, მემკვიდრეობით გადაცემის, მეურნეობის სხვადასხვა ფორმის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები.

მიწის რეფორმის პროცესში დაფიქსურებული სამართლებრივი და ორბანისაციული უმცლომაბი

რამდენადაც მიწის რეფორმა არა მარტო აგრარული რეფორმის, არამედ მთლიანად ეკონომიკური რეფორმის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, იგი



ამ თვალთახედვით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რეფორმის პროცესში სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი:

აგრარული რეფორმა კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვს. იგი წარმოადგენს რთულ ფენომენს, რომლის თითოეული ელემენტი საჭიროებს ყოველმხრივ შესწავლას და ობიექტურ შეფასებას. საქართველოში ფაქტობრივად აგრარული რეფორმა არ განხორციელებულა. ჯერ ერთი, მიწის რეფორმა მიწების (ისიც ნაწილობრივ) გლეხობაზე განაწილების იქით არ წასულა და მეორეც, გაგრძელდა თითქმის მეოთხედი საუკუნე, მაშინ როდესაც უმოკლეს ვადებში ჩატარებას მოითხოვდა.

რეფორმა ჩატარდა სერიოზული დარღვევებით. რაც იმაში გამოიხატა, რომ რეფორმის შედეგად ქვეყანაში არსებული 2.991.100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან საქართველოს მოქალაქეებზე განაწილდა 1.652.300 ჰექტარი, ანუ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 55.2%, ხოლო დანარჩენი 1.332.700 ჰექტარი, ანუ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 44.8% დარჩა გაუნაწილებელი.

საქართველოს მოქალაქეებზე გადაცემული 1.652.300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 952.6 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა მხოლოდ 747.200 ჰექტარი, ანუ განაწილებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობის მხოლოდ 45.3%. ე.ი. თითოეულ კომლზე 0.89 ჰექტარი (ამასთან, კომლზე დანესდა ნორმები: ბარის რაიონებისათვის 1.25 ჰექტარი, ხოლო მთის რაიონებისათვის – 5 ჰექტარამდე). დანარჩენი 905.100 ჰექტარი ანუ რეფორმის შედეგად განაწილებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 54.7% გაიცა მოიჯარეებზე, ე.ი. თითოეულზე საშუალოდ 11.8 ჰექტარი. ხოლო ზოგიერთ იურიდიულ პირზე გაცემულმა მიწების ფართობებმა ასეული ჰექტრები შეადგინა. ამასთან, რეფორმის შედეგად მოიჯარეთა განკარგულებაში გადაცემულია ქვეყნის ყველაზე საუკეთესო სახნავი მიწები (190.4 ათ. ჰა) ანუ 30,6 %.

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათე-

ლია, თუ ვის სასარგებლოდ განხორციელდა საქართველოში მიწის რეფორმა — გლეხების, თუ ფუნქციონერ-მაღალჩინოსნების სასარგებლოდ?

ასევე, საჭიროდ მიგვაჩნია, შევასვენოთ ხელისუფლებას — აპირებენ თუ არა ჯერ კიდევ სახელმწიფოს განკარგულებაში განაწილებულ დარჩენილი 1.332.700 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და მათ შორის 320.8 ათ. ჰა მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას?

რეფორმა სასწრაფოდ უნდა დასრულდეს, თორემ ეს მიწები ახლა უცხოელებზე ხელალებით იყიდება!

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისათვის სოფლად საჭირო იყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის ჩამოყალიბება. ამ მიმართებით საკმარისი იყო საბჭოთა მეურნეობების გონივრული რესტრუქტურირება, კოლმეურნეობების ქონების კოოპერატივის ნევრებზე გადაწარმოება და მათი ახალ საწარმო-ორგანიზაციულ ფორმებად გარდაქმნა-ჩამოყალიბება.

სამწუხაროდ, აგრარულ რეფორმას საქართველოში მოჰყვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნგრევა, მათი ქონების დატაცება და განიავება.

განადგურდა მსხვილი სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის – მევენახეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის, სანერგე, სასელექციო, კვლევითი, საცდელ-საჩვენებელი, საჯიშე, სანაშენე, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, მეთამბაქოეობის, მებაღეობის, მეცხოველეობის მეურნეობები და კომპლექსები, რომელთა აღდგენა ახლა მეტისმეტად ძნელია.

გაუზარებელი რეფორმირების შედეგად დაიშალა მსხვილი მეურნეობები და კერძო საკუთრებაში აღმოჩნდა 4 მილიონზე მეტი ნაკვეთი, რომელთა საშუალო სიდიდე არ აღემატება 0.2 ჰექტარს, რაც ძალზე მცირეა ოჯახური და მითუმეტეს მსხვილი ფერმერული მეურ-

ნეობების განვითარებისათვის. მიწების დაქუცმაცებით მიღებული უარყოფითი შედეგების დაძლევა ახლა ხელისუფლების ძირითად მიზანს წარმოადგენს;

3) სრულიად უპასუხისმგებლოდ მიმდინარეობდა ქვეყანაში აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. 7 წლის მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს (ნახევარზე ცოტა მეტს) მხოლოდ სახელი შეუცვალეს, ხოლო მომდევნო ორ-სამ წელიწადში ისინი ერთიანად მოსპეს და გაანადგურეს, დაიტაცეს ყველაფერი, ქვეყანაში დაკნინდა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. აგრარული სექტორი ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოქმედი რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორების უზულაბელყოფამ გამოიწვია ის, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, რაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურებით, ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებით, აგროტექნიკური ღონისძიებების აგროვადებში შეუსრულებლობით, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოუყენებლობით იყო განპირობებული;

4) არ ჩატარებულა აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო წინასწარ-მოსამზადებელი ღონისძიებები: მიწის სრული ინვენტარიზაცია, საკადასტრო საშუალებები (რომელიც აუცილებელი იყო მიწის ხარისხობრივი, თვისებრივი და ეკონომიკური შეფასებისათვის), არ დაადგინეს საზღვრები რაიონებს, სოფლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს შორის. თითოეულ საკარმიდამო ნაკვეთზე არ შეადგინეს კარტოგრაფიული ნახაზი და არ ჩატარეს პასპორტიზაცია. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა დანყებულ იყო რეფორმა. ჩვენმა რეფორმატორებმა ყველაფერი ეს უგულვებლყოვეს (როგორც ახლა გაირკვა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ საშუალების



შესრულებისათვის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან სხვადასხვა დროს გრანტისა და სესხის სახით ერთ მილიარდზე მეტი დოლარი მიუღია). დღეს უკვე ნათელია, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მინის რეფორმა ისეთი დარღვევებით, როგორც ჩვენთან, არსად არ ჩატარებულა;

5) შეცდომა იყო ის, რომ ხელისუფლებამ სახელმწიფო საკუთრების მიწების დარიგება დაიწყო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და მინის კანონის მიღების გარეშე. ასევე, არ შეიძლებოდა მინის ბაზრის ფორმირება.

საქართველოს სინამდვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მინის რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული კანონები. 1996 წელს მიღებული „კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, ეხება (საკარმიდამო, საბაღე-საბოსტნე და სააგარაკე) მინის სარგებლობას, საკუთრებასა და მართვას (ე.ი. ქვეყნის მიწის საერთო ფართობის მხოლოდ 21%-ს). მაგრამ, იგი არ არეგულირებს ტყის, წყლის ფონდის მიწებისა და საძოვრების სარგებლობის, საკუთრებისა და მართვის საკითხებს. ე.ი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა ცალკე საკანონმდებლო აქტებით. რაც შეეხება კანონს — „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამატებითი პრივატიზების შესახებ“ - ის არეგულირებდა მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი) სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების საკითხებს. სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო (საძოვრების, ტყის ფონდის, წყლის ფონდის და სხვა) მიწების პრივატიზება ამ კანონით არ იყო გათვალისწინებული. ე.ი. ქვეყანაში იმთავითვე არ იყო მიღებული სრულყოფილი მინის კოდექსი, რომელიც ყველა სახის და კატეგორიის მიწის კანონმდებლობას გააერთიანებდა.

არსებითი ხასიათის ხარვეზებს შეიცავდა, აგრეთვე, 1998 წელს მიღებული კანონი „არასასოფლო-სა-

მეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“. იგი გულისხმობდა ნულოვან აუქციონებზე შეძენილ ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა ობიექტების ტერიტორიების (რომელიც ათობით და ზოგჯერ ათასობით ჰექტარ სავარგულებს მოიცავს) მეპატრონეთა (მყიდველთა) საკუთრებაში ყოველგვარი საფასურის გარეშე გადაცემას. ასევე, დიდი შეცდომა იყო მიწების „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების“ და „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების“ მიხედვით დაყოფა;

6) მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს შეიცავს „კანონი იჯარის შესახებ“. ჯერ ერთი, იგი ეწინააღმდეგება კანონს ნიადაგის დაცვის შესახებ, მეორეც, ამ კანონით დაშვებულია ქვეიჯარა, რომელიც აკრძალულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, რადგან იგი იწვევს, როგორც ქვემოიჯარის, ისე ნიადაგის ექსპლუატაციას. ხელისუფლების მიერ ქვეიჯარა, ზემოთ აღნიშნულ მიწის იჯარის ძირითადი კანონიდან (თვალში საცემი რომ არ ყოფილიყო) ამოღებული იქნა, მაგრამ ამის სანაცვლოდ შეიტანეს სამოქალაქო კოდექსში.

აგრეთვე, ამ კანონს ის ნაკლიც აქვს, რომ იგი ითვალისწინებს მოიჯარეებზე სახელმწიფო საკუთრების მიწების იჯარით გადაცემას **99 წლამდე ვადით, თანაც ფართობების განუსაზღვრელი რაოდენობით.** 1996 წლის მონაცემებით 40.2 ათას მოიჯარეს სარგებლობაში გადაეცა 471.0 ათ სასოფლო-სამეურნეო სავარგული (საშუალოდ ერთ მოიჯარეზე 11.8 ჰა, ხოლო 42 იურიდიულ პირს 432.0 ათ ჰა, საშუალოდ ერთ მოიჯარეს 102.9 ჰა), მაღალჩინოსნებს დედოფლისწყაროში, თრუსოს ხეობაში, მარნეულში, გარდაბანში და სავარეჯოს რაიონებში აღებული აქვთ იჯარით თითოეულს 7, 10, 32, ათ ჰექტარი მიწა და თითქმის მთლიანად ქვეიჯარით აქვთ გაცემული.

საქართველოს ხელისუფლებას მსოფლიოს ბანკი და სავალუტო ფონდი თავიანთი მემორანდუმებით იჯარის ვადის განსაზღვრას 20 ან 50 წლამდე ვადით ურჩევდნენ, მაგრამ პარლამენტმა მისი ვადა 99 წლამდე გაზარდა, თანაც მეიჯარის

მიერ მიწის ფართობის უპირატესი შესყიდვის უფლებით. ამჟამად, ქვეყანაში გრძელვადიანი იჯარით, შესყიდვის უპირატესი უფლებით გაცემულია დაახლოებით ათი ათასობით ჰა მიწა. საუკეთესო ხარისხის მიწების დიდი ნაწილი იჯარით გადაეცათ პრივილეგიურ პიროვნებებსა და კომპანიებს, რომელთა ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს მიწის დამუშავება და ფერმერული მეურნეობის შექმნა. ეს მიწები მათ დანაწევრებული აქვთ ნაკვეთებად და გაცემულია ქვეიჯარით გაათმაგებულ ფასებში, რაც დანაშაულია. აუცილებლად უნდა იქნეს გამოვლენილი უკანონო გზით მოპოვებული ფართობები, დადგინდეს, რომელი მოიჯარეები არღვევენ ხელშეკრულების პირობებს და შესაბამისად, გაუქმდეს გაფორმებული ხელშეკრულებები. ქვეყანაში, საერთოდ, კანონით უნდა აკრძალოს ქვეიჯარის უფლება. ქვეიჯარა იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას და დაქირავებულთა ექსპლუატაციას, ეწინააღმდეგება კანონს ნიადაგის დაცვის შესახებ და აკრძალულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში.

ქვეიჯარით მომუშავე გლეხი ჩვეულებრივ შრომამიგებით დამოკიდებულების პირობებშია. შრომამიგებითი სისტემა კი გულისხმობს მოქალაქეობრივ არასრულუფლებიანობას. ამ შემთხვევაში მუშის (გლეხის) არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, აგრეთვე, გარეშე ეკონომიკურ იძულებაზე დამყარებული ექსპლუატაცია ხდება. ქვეიჯარის პრაქტიკა უარყოფით გავლენას ახდენს მინათმოქმედების კულტურაზე და მინის მესაკუთრეს ზედმეტ შანსებს უქმნის რენტის გადიდებისათვის.

დღეისათვის არ არის დაზუსტებული, თუ რა რაოდენობის სავარგულზეა ძველანაში, რამდენია ინტენსიური და ნაკლებინტენსიური, რა რაოდენობის მიწაა კარძო საკუთრებაში, სახელმწიფო საკუთრებაში, ვინ არის მესაკუთრე, რა რაოდენობის მიწაა ბაცემული იჯარით, ძველი იჯარით, ვინ არიან მოიჯარეები და მეიჯარეები, რა რაოდენობის მიწაა მიტაცებული და ვის მი-



ერ, რა რაოდენობის მიწაა სა-
თვამო სარგებლოებაში და რა
პირობებში.

განხორციელებული მიწის საკა-
დასტრო სამუშაოების დიდი ნაწი-
ლი უხარისხო და ზერელეა. პას-
პორტებში შეტანილია დაუზუსტე-
ბელი და არასწორი მონაცემები. თი-
თოეულ მიწის ნაკვეთზე უნდა შედ-
გეს მიწის საკადასტრო ბარათი, რო-
მელშიც ამომწურავი მონაცემები
იქნება მიწის ბუნებრივი, სამეურნეო
და სამართლებრივი მდგომარეობის
შესახებ. იგი ინფორმაციის მთავარ
წყაროს უნდა წარმოადგენდეს და
გამოხატავდეს მეურნეობის ყველა
დარგის ინტერესებს — ბუნების
დაცვის, ეკოლოგიური წონასწორო-
ბის შენარჩუნების, ნიადაგის ნაყო-
ფიერების აღდგენის და ა. შ.

სასწრაფოდ უნდა დადგინდეს
საზღვრები რეგიონებს, დეპარტა-
მენტებს, სოფლებსა და ცალკეულ
ნაკვეთებს შორის. დღეს საზღვრე-
ბი დაუდგენელია, იგი მრავალჯერ
შეიცვალა ჯერ საბჭოთა პირობებ-
ში, შემდეგ კი მოსახლეობის სა-
კარმიდამოების შევსების დროს.
ამასთან დაკავშირებით დღემდე გა-
უთავებელი დავაა დეპარტამენ-
ტებში, საკრებულოებსა და მოსახ-
ლეობას შორის.

დაუყოვნებლივ მიღებული
უნდა იქნას მიწის კოდექსი.
მიწა უნდა გადაეცეს მშრო-
მელ გლეხობას, ფარმერებს,
მოქალაქეებს, ყველა მსურ-
ველს, ვისაც მასზე მუშაობა
სურს, მაგრამ, პირველ რიგში,
უნდა განისაზღვროს მოქალა-
ქისა და სოფლის სტატუსი, შე-
იქმნას მიწის კანონი;

7) საყოველთაოდ ცნობილია, რომ
(გლობალიზაციის პროცესის გააქ-
ტიურების პირობებში) მსოფლიოს
თითქმის ყველა სახელმწიფო გან-
საკუთრებით ფრთხილად ეკიდება
საკუთარი ტერიტორიების (უპირ-
ველეს ყოვლისა, სასოფლო-სამე-
ურნეო დანიშნულების მიწების)
უცხოელებისთვის მიყიდვის სა-
კითხს. მაგალითად, ამერიკის, აზი-
ის და ევროკავშირის რიგ ქვეყნებ-
ში კანონით აკრძალულია უცხოელ
ფიზიკურ და არარეზიდენტ იური-
დიულ პირებზე მიწების მიყიდვა, ამ
დროს კი საქართველოში, მსოფლი-
ოში ერთ-ერთ ყველაზე მცირემიწი-



ან ქვეყნებში მიწების უცხოელებზე
გასხვისება სახელმწიფოს მიერ მი-
ღებული კანონებითაა ნებადართუ-
ლი. ამ მხრივ, მეტად საგულისხმოა
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს 2012 წლის 26 ივნის-
ის გადაწყვეტილება, რომლითაც
გაუქმდა „სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის საკუთრების
შესახებ“ საქართველოს კანონში
გათვალისწინებული, უცხოელთა
მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწე-
ბის შექენაზე ყველა შეზღუდვა.

ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის შედეგები

საქართველოს პარლამენტის მი-
ერ მიღებული (ხალხის დაუკითხა-
ვად და მრავალჯერ ჩასწორებული)
კანონით „სახელმწიფო საკუთრე-
ბაში არსებული სასოფლო-სამეურ-
ნეო დანიშნულების მიწის პრივატი-
ზების შესახებ“ სახელმწიფო სა-
კუთრებაში არსებული მიწის შექე-
ნა დღეს, ყოველგვარი შეზღუდვე-
ბის გარეშე, შეუძლიათ საქართვე-
ლოში რეგისტრირებულ კერძო სა-
მართლის უცხოელ იურიდიულ პი-
რებს, რაც მცირემიწიანი საქარ-
თველოსთვის მიუღებელია. ამ გზით
მნიშვნელოვანი რაოდენობით მიწა
გადადის უცხოელებს ხელში. **ქა-
რთული მიწების უცხოელებზე
გაყიდვის შედეგები**
**საქართველოს უცხოელების
მიწის უცხოელების მიწის უცხოელების
მიწის უცხოელების მიწის უცხოელების**
2010 წელს მიწების გაყიდვის 16;
2011 წელს 33; ხოლო 2012 წელს
584 ფაქტი დარეგისტრირდა.

კახეთში უცხოელებზე გაიყიდა
11.390 ჰექტარი მიწა; იმერეთში —
650 ჰექტარი მიწა, რაც ჩეხებმა, ჩი-
ნელებმა, ინდოელებმა, ირანელებ-
მა, ამერიკელებმა და ებრაელებმა
შეისყიდეს.

შიდა ქართლში, საშურის რა-
იონში ინგლისელმა 513,7 ჰექ-
ტარი მიწა აქვთ ნაყიდი მე-
ცხოველეობის საკვებისა და
მარცვლეულის წარმოების
მიზნით. გორსა და ქარაღში
ინდოელმა მარცვლეული კულ-
ტურების მოსაყვანად 330 ჰექ-
ტრამდე მიწა აქვთ შექენილი.
შიდა ქართლში უცხოელების
საქუთრებაში სულ 840,7 ჰექტარ-
ი მიწაა გადაცემული. სამე-
რელო-ზამო სპანეთში იტალი-
ელზე, ფრანგებზე, ებრაე-
ლებზე, ჩინელებსა და გერმა-
ნელებზე 15.555 ჰექტარი, აქე-
დან 12-ათასი ჰექტარი ტყის
მასივები გასხვისებული.

ოფიციალური მონაცემები ადას-
ტურებენ, რომ იტალიელებს კახეთ-
ში 17 ჰა ვენახი, 290 ჰა სახნავი და
საძოვარი შეუქენიათ, ხოლო 30 ჰა
მიწა — ზეთისხილის მოსაყვანად;
ყვარელში — 20 ჰა სახნავი მიწა და 2
ჰა ტბორი შეუქენიათ მეთევზეო-
ბის მეურნეობის მოსაწყობად. ბრი-
ტანელებს — იორმულანოში 5500
მიწა აქვთ ნაყიდი თხილისა და ზე-
თისხილის პლანტაციების გასაშე-
ნებლად. ინდოელებს დედოფლის-
წყაროს სხვადასხვა სოფლებში 545,
330 და 800 ჰა მიწის ფართობი შეუ-
ქენიათ მარცვლეულის მოსაყვა-



ნად. საგარეჯოს სოფელ ხაშში მე-
თვეზეობისათვის 110 ჰა, ხოლო
წნორში, საქობოში, ანაგაში, ჯუგა-
ანში, ტიბაანსა და ბოდბისხევში
1000 ჰექტარზე მეტი მიწა უყიდიათ
სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო
კულტურების მოსაყვანად. საგან-
გაშო ფაქტია ის, რომ თბილისის
ზღვაზე 127 ათასი ჩინელისათვის
შენდება დასახლება, რამაც მოსახ-
ლეობის დიდი წინააღმდეგობა გა-
მოიწვია.

**თბილისის ზღვის მიმდებარე
ტერიტორიაზე ჩინელ „ინვეს-
ტორებზე“ გაიყიდა 420 ჰექტარ-
ი მიწის ფართობი.** ინვესტორს
წარმოადგენს სამი ჩინური
კომპანიის ერთობლივი წარმომად-
გენელი ჯანგ ძუნი. „ინვესტორსა“
და ქართულ მხარეს შორის მიწის
ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულე-
ბა გაფორმდა 2012 წლის 30 მარტს,
ქართულ მხარეს წარმოადგენდა სა-
ქართველოს მთავრობა – პრემიერი
ნიკა გილაური და თბილისის მერია
— მერი გიგი უგულავა.

**გაყიდულ ტერიტორიაში აღ-
მოჩნდა მოსახლეობის კუთვ-
ნილი და საქართველოს სა-
პატრიარქოს საკუთრებაში
არსებული ნაკვეთები, მათზე
დამაგრებული შენობა-ნაგე-
ბობებით. სულ 420 ჰექტარი მი-
წა გაიყიდა 12.000 ლარად, ანუ
თითოეული ჰექტარი 28.6 თეთ-
რად.** ქართული საზოგადოების მა-
ლულად, სხვისი ქონების წართმე-
ვის ხარჯზე და გროშების საფასუ-
რად ამ ტერიტორიის გასხვისების
შესახებ გადანყვეტილებას ვერავი-
თარი არგუმენტი ვერ ამართლებს.

მსგავსი ფორმით და შინაარსით
მიღებული გადანყვეტილებები ვერ-
ცერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება
სახელმწიფოებრივ მიდგომად. პი-
რიქით, ასეთი მოქმედება განხი-
ლულ უნდა იყოს როგორც ერის ინ-
ტერესების უგულვებლყოფა.

ასევე შემაშფოთებელია ის ფაქ-
ტი, რომ ბათუმსა და მის შემოგა-
რენში საუკეთესო მიწებზე დაფუძ-
ნდა სულ მცირე 20 ათასი ეთნიკუ-
რი თურქი, რომლებმაც მთლიანად
ხელში ჩაიგდეს ვაჭრობა და ბიზნე-
სი. როგორც ვხედავთ, პარლამენ-
ტის მიღებული კანონებით შესაძ-
ლებლობა მიეცათ უცხოელებს

ხელში ჩაეგდოთ ჩვენი მიწა-წყლის
დიდი ნაწილი. თუ ასე გაგრძელდა,
უახლოეს მომავალში, საქართვე-
ლოს კონტროლირებადი ტერიტო-
რიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწი-
ფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩ-
ნდება. ჩვენი აზრით, მიწის გასხვი-
ლება სხვა ქონებისაგან განსხვავე-
ბით მკაცრ კონტროლს უნდა დაექ-
ვემდებაროს, ვიდრე ბაზრის სტიქი-
ას და ცალკეულ პირთა შეხედულებ-
ებს.

საგანგაშოა ასევე გამოაშკარავე-
ბული ფაქტები უცხოელებზე სა-
ქართველოს სხვადასხვა რეგიონებ-
ში, განსაკუთრებით ოკუპირებული
ტერიტორიების მიმდებარედ ასო-
ბით ჰექტარი მიწის ნაკვეთების გას-
ხვისების თაობაზე.

ეს ყველაფერი ხდება ქართველი
მოსახლეობის შევიწროებისა და მა-
თი კანონიერი უფლებების უხეში
დარღვევის ხარჯზე.

გარდა ამისა, როგორც ადგილებ-
ზე ფაქტების გადამოწმებით ირკვე-
ვა, უცხოელებზე მიწების გასხვისე-
ბის ოპერაციები ხორციელდება შე-
ფარულ, საეჭვო გარიგებთა პირო-
ბებში. ჯერ მიწები მიეყიდება ქვეყ-
ნის ფიზიკურ და იურიდიულ პი-
რებს, და შემდეგ ხდება უცხო ქვეყ-
ნის მოქალაქეებსა და უცხოელ
კომპანიებზე მისი გასხვისება. თი-
თოეული ასეთი ფაქტი საფუძვლი-
ანი გამოძიების საგანს წარმოად-
გენს.

**მიწის კერძო საკუთრებაში
გადაცემასთან და
ყიდვა-გაყიდვის
ობიექტად აღიარებასთან
დაკავშირებით
განსხვავებული
უხედავებები**

საქართველოში მიწის კერძო სა-
კუთრებაში გადაცემასთან დაკავ-
შირებით ერთმანეთისაგან რადიკალ-
ურად განსხვავებული მოსაზრე-
ბები არსებობს.

საქართველოში ახლა რომ მიწები
იყიდება ამის მიზეზად ზოგიერთებს
სახელმწიფოს მიერ მიწაზე კერძო
საკუთრების გამოცხადება მიაჩნი-
ათ. ერთი ჯგუფი, საერთოდ მიწის
კერძო საკუთრებაში გადაცემის, და
რა თქმა უნდა, აქედან გამომდინა-
რე მისი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად
აღიარების წინააღმდეგია. ისინი

მხარს უჭერენ მხოლოდ მიწის სა-
ხელმწიფო საკუთრებაში არსებო-
ბას. მიაჩნიათ რომ სახელმწიფო სა-
კუთრებაში არსებობის პირობებში
მიწა ყიდვა-გაყიდვის ობიექტად არ
გადაიქცევა, რაც სწორი არ არის.
ამდენად, ვაი რეფორმატორების მი-
ერ საბაზრო ეკონომიკური სისტე-
მის პირობებში საკუთრების პლუ-
რალიზმის და განსაკუთრებით, კერ-
ძო საკუთრების წამყვანი როლის
უგულვებლყოფა უდიდესი შეცდო-
მა და უცოდინარობაა.

საბაზრო ეკონომიკური სისტემა
ეროვნული მეურნეობის ნებისმიერ
სფეროში და მათ შორის აგრარულ
სექტორში საკუთრების მრავალ-
ფორმიანობასთან ერთად გულისხ-
მობს წარმოების საშუალებებზე და
მათ შორის მიწაზე, კერძო საკუთ-
რების უპირატეს როლს. ხოლო, სა-
დაც კერძო საკუთრებაა, იქ წარმო-
ების საშუალებები და მათ შორის
მიწაც, ყიდვა-გაყიდვის ობიექტებს
წარმოადგენს. ამის გარეშე საბაზ-
რო ეკონომიკური სისტემა არ არსე-
ბობს.

მაშასადამე, ვინც მიწაზე კერძო
საკუთრების არსებობის წინააღმ-
დეგია, ის საბაზრო ეკონომიკური
სისტემის წინააღმდეგია, ხოლო,
ვინც წარმოების საშუალებებზე და
მათ შორის მიწაზე სახელმწიფო სა-
კუთრების მონოპოლიას უჭერს
მხარს, ის საბაზრო ეკონომიკური
სისტემის მოხრეა (საერთოდ, გე-
მოვნებაზე არ დავობენ) და მათ შო-
რის **ხსნა** (რა თქმა უნდა, მათი აზ-
რით) **თუ მხოლოდ მიწაზე სა-
ხელმწიფოებრივ საკუთრება-
ში, მაშინ რას ვერალოდით სო-
ციალიზმს, რატომ დავშალეთ
საბჭოთა კავშირი და რატომ
გავაუქმეთ და დავანგრეთ
კოლმეურნეობები და საბჭო-
თა მეურნეობები?**

თუ საბაზრო ეკონომიკურ სისტე-
მაზე გადავდივართ, მაშინ მიწების
კერძო საკუთრებაში არსებობაც
უნდა ვაღიაროთ და მისი ყიდვა-გა-
ყიდვის ობიექტად გამოცხადება-
მაც არ უნდა შეგვაშფოთოს. ეს
სხვანაირად არ შეიძლება. საბაზრო
ეკონომიკური სისტემის პირობებში
მიწაზე სახელმწიფო საკუთრების
მონოპოლიის არსებობა წარმოუდ-
გენელია. მაშასადამე, აქედან გა-



მომდინარე, საქართველოში უნდა იყოს მინაზე საკუთრების პლურალიზმი (მრავალფეროვნობა) და მინაც უნდა იყოს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, მხოლოდ ქვეყნის შიგნით (ქვეყნის მოქალაქეებზე) და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს იგი უცხოელებზე, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს მინაზე კერძო საკუთრების არსებობასთან.

მინის კერძო საკუთრებაში გადაცემის გამო შეშფოთებულთ უნდა შევხსენოთ, საბჭოთა პირობებში 70 წელი მინა სახელმწიფოებრივ საკუთრებად რომ იყო გამოცხადებული, მერე რა, არ დაეკარგეთ? განა არ იყო გაჩაღებული მინებით უთავბოლო სპეკულაცია თუ რა? საქართველოს საუკეთესო მინებზე ვერ დასახლდა ბევრი გადამთიელი? ან თუნდაც დღეს, როცა ქვეყნის მინების დიდი ნაწილი ფაქტობრივად, სახელმწიფო განკარგულებაშია, მათ თავისუფლად არ ყიდონ ქვეყნის თავკაცები? ცოტაა დღეს არაქართველ მოსახლეობაზე და უცხოელებზე მათი გადაცემისა და გაყიდვის ფაქტები? აქამდე არავინ არ დაინტერესებულა, ამჟამად (არაოფიციალური მონაცემებით) უცხოელებზე გასხვისებული 29.3 ათასი ჰექტარი მინიდან, რამდენია სახელმწიფო საკუთრების და რამდენი კერძო საკუთრების მინები. როგორც ამას ადგილებზე მოპოვებული მონაცემები მოწმობენ, **ბასსვისაგული მინების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრების მინებია და თუ თითო ოროლა გლეხმა სახელმწიფოს მიერ გაყიდული დიდი მასივების მომიჯნავე, საკუთარი ნაკვეთები უცხოელს მიჰყიდა, ეს ისევ სახელმწიფოს ხელახდებით მოხდა. ინდოელი და ჩინელი, მათზე მინების მიყიდვის მიზნით, საქართველოში გლეხს არ ჩამოუყვანია.**

მაშასადამე, უცხოელებზე მინების გაყიდვის ფაქტების გლეხობაზე კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზეზით ახსნა, ცოტა არ იყოს, უაზრობაა.

პირიქით, **ჩემი აზრით, მინების საქართველოს არამოქალაქეებსა და უცხოელებზე**

ბასსვისაგის ალკვითისთვის ყველაზე ძვირფასი მონეტა არის მინაზე კერძო საკუთრების შემოღება.

მაშასადამე, ამჟამად საქართველოში საბაზრო ეკონომიკური სისტემის პირობებში, მინა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებზე ყიდვა-გაყიდვის ობიექტად რომ არის გამოცხადებული, ეს სრულიადაც არაა შეცდომა. **შემაშფოთებელია მხოლოდ ის, რომ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა არაა საკუთრების დაცვის გარანტი, სახელმწიფო სათანადოდ ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს და არის მხოლოდ მძინარე „ღამის დარაჯი“.**

მაშასადამე, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდესი ნაწილი კერძო საკუთრებაში უნდა გადავიდეს. მინის კერძო საკუთრება (ოპტიმალურ ფარგლებში) მისაღებად საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის, მშრომელი ფარმერისათვის და თვით მინისათვის.

მინაზე კერძო საკუთრებასთან ერთად აუცილებელია სახელმწიფო საკუთრებაშიც არსებობა.

საქართველოში მოსახლეობის სურსათზე და გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც ინარმოებოდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნარმოების მოცულობის 60%, დღეს ეს ნიშა (არ არსებობს) თავისუფალია... ამიტომ, აუცილებელია ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების – მევენახეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის და ა.შ. მაღალსპეციალიზებული, კლასიკური ტიპის, მსხვილი (მაღალკონცენტრირებული) კერძო, კოოპერატიული და სახელმწიფო საკუთრების ფერმერული მეურნეობების შექმნა-ჩამოყალიბება, რაც ნარმოუდგენელია ქვეყნის შიგნით მინების ყიდვა-გაყიდვის დაკანონების გარეშე. სასოფლო-სამეურნეო ნარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის განხორციელება საბაზრო-ეკონომიკური სი-

სტემის პირობებში შეუძლებელია მინების შექმნის გარეშე. ასევე, სადაო არაა, სახელმწიფო საკუთრებაში რომ უნდა დარჩეს სარეზერვო მინის ფართობები, ტყის მასივები, ნაკრძალები, რკინიგზისა და მისი მიმდებარე მინები, ჰაეროდრომები, საეკლესიო, ციხე-სიმაგრეებისა და სხვა მინები.

მაშასადამე, მინა უნდა იყოს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, მაგრამ ეს გარიგება არ უნდა განხორციელდეს სპეციალურად შექმნილი საზედამხედველო ინსტიტუტების გარეშე. ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ საქართველოში მინა ისტორიულად მცხოვრები ერების კუთვნილებაა და არა ყველა მსურველის. სანამ საქართველოში არ იქნება შემოღებული მოქალაქის სტატუსი, სწორად უნდა განვიხილოდ რა შედეგებს მოიტანს მინების ყველა მსურველის სარგებლობაში გადაცემა ან ყიდვა-გაყიდვა.

ჩემის აზრით, **საქართველოში გამართლებული იქნება „სამინათლომთავარი ბანკის“ — დაარსება, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს მინის ფონდების ეროვნული ინტერესების შესაბამისად განაწილებას, გადაწვინებას და მინების სწორად გამოყენებას.**

გლეხობისთვის მხოლოდ მინის მიყიდვა ან თუნდაც ჩუქებაც კი, მინათმოქმედების კულტურის ამაღლებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნარმოების გადიდებას ვერ უშველის, **ფერმერს უნდა დავეხმაროთ კრედიტებით, ტექნიკით, სამშენებლო მასალებით და გავეზიაროთ შეღავათები ალბულის სესხების დაფარვაში. საქართველოში ფერმერული მეურნეობები სათანადოდ უნდა მომარაგდნენ რელიეფის შესაბამისი მცირეგაბარიტიანი ტექნიკით, კოოპერაციულ საწყობებზე უნდა შეიქმნას მელიორაციული, აგროქიმიური და ტექნიკური მომსახურების დამოუკიდებელი სამსახურები.**

ახლა საქართველოში მხოლოდ სახელმწიფოს განსაკუთრებული დახმარების შედეგად შეიძლება დაძლეული იქნეს სოფლის მეურნეობის ტექნიკური ჩამორჩენილობა.

დასასრული უმჯობეს ნომერი



«ფრთიანება ეროსმა» საქართველოს გადაუჭრინა

ჰომოფობია რომ ანომალური მოვლენაა, სადავო არ არის. მაგრამ არც ის უნდა იყოს ნორმალური, როცა ჰომოფობიის საფარქვეშ პედერასტიის პროპაგანდას ეწევიან. აქტიურად, ყველა საშუალებით. ყველა თაობამ უარყოფითი გამოცდილების ქურაში უნდა გაიაროსო. ცნობილია.

გაიაროს — გამოსაბრძმედად, ჭკუის სასწავლებლად, შეცდომების ასარიდებლად და ა. შ., მით უფრო, თუ ქვეყნისთვის ისტორიას ასეთი მძიმე გამოცდა კარგა ხნის წინათ უკვე მოუწყვია. ორიოდ სიტყვით ამ გამოცდაზე ვთქვათ: 1917 წლის რევოლუციის შემდგომი საბჭოთა რუსეთი, ოციანი წლების დასაწყისი.

რუსეთში ახლახან გამოიკვლიეს პრობლემა, თუ რომელი პრეზიდენტის ზეობის პერიოდში ცხოვრობდნენ უფრო თავისუფლად სექსუალური უმცირესობანი, და ასეთი სურათი მიიღეს: ბრეჟნევისა და გორბაჩოვის დროს — 2-2 პროცენტი; ელცინის დროს — 7 პროცენტი; პუტინის დროს — 56 პროცენტი.

ეს ერთი მხარეა. მეორე: სწორედ პუტინი ეწინააღმდეგება რუსეთიდან ერთსქესიანთა წყვილებისთვის ბავშვების მიშვილებას, თქვა, რომ იგი უყოყმანოდ მოაწერს ხელს ასეთ გადაწყვეტილებას, თუ კი მას პარლამენტი მიიღებს.

მიიღო დადგენილება ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ.

რუსულ მასმედიაში ამ გადაწყვეტილებას აფასებენ, როგორც რუსეთის უფრო ზუსტად, საბჭოთა რუსეთის გამოცდილებაზე დამყარებულ პოზიციას, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ახალგაზრდა სახელმწიფომ გასული საუკუნის ოციანი წლებში ოჯახის მცნების სრული დემორალიზებიდან ტრადიციული, ქრისტიანული, მაღალ მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული ოჯახის დამკვიდრება-დაკანონებამდე გაიარა.

რევოლუციების ეპოქაგავლილი იმპერიაში აზრისა და ქცევის თავისუფლების პიკზე მაქსიმალური ტალღამ მანამდე არსებული მორალური ჯვბირებიც გადალახა და უსაზღვრო თავისუფლების ყველა რაბი, მათ შორის, სექსუალური თავისუფლებისაც გახსნა.

ცნობილია, რომ 1917 წლის დეკემბრის ბოლოს ბოლშევიკებმა გააუქმეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ყველა მუხლი, ჰომოსექსუალიზმის მუხლის ჩათვლით, ჯვრისწერა გადმონათად იქნა შერაცხული და, აქედან გამომდინარე, — ტრადიციული ოჯახიც.

ქუჩებში გამოჩნდნენ შიშველი დემონსტრანტები, რომლებმაც აიტაცეს ლოზუნგი „ძირს სირცხვილი“. ეს არ იყო ორი-სამი გაშიშვლებული თანამედროვე ფემინისტების ნიოკი და ფართხალი პოლიციელების ხელში, ეს იყო მასობრივი მსვლელობები, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი, როგორც საკითხის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარები გვარწმუნებენ, 10 ათასზე მეტი მონაწილე ითვლიდა.

ასი წლის წინანდელ ამბავზე გესაუბრებით, არ დაივიწყოთ... ამ მოძრაობის მეხოტბე იყო ტროცკისა და სიამტკბილობის ერთნაირად მოყვარული, იმ პერიოდში

საქვეყნოდ აღიარებული ჟურნალისტი და პარტიული მოღვაწე რადეკი (ნამდვილი გვარი — სებელსონი) კარლ ბერიგარდის ძემის გაიძვერობასა და ორპირობაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ 1937 წელს მისი დამსმენის წყალობით უამრავი პარტიული მოღვაწე დახვრიტეს. ყოფილ ტროცკისტს მხოლოდ 10 წლის ვადით ციხე მიუსაჯეს, სადაც სისხლის სამართლის დამნაშავეებმა მოკლეს. ამბობენ, იმ გაუკუღმართებული მიდრეკილებების გამო, რის წინააღმდეგაც წლევანდელ 17 მაისს აღსდგათ თბილისის მოსახლეობა.

საპროტესტო აქციაზეა ლაპარაკი და არა იმ პროვოკაციაზე, რომლის სისხლისღვრამდე მიყვანა ვერ შეძლეს ყოფილების დაგეშილმა „პატრიოტებმა“.

ეს გახსენება — პარალელისთვის. და იმის მისანიშნებლად, რომ რასაც ახლა ევროპულ, ლამის მთავარ ღირებულებად გვასალებენ, გასული საუკუნის დასაწყისში რუსეთს უკვე გავლილი ჰქონდა.

გავლილი და გადაფასებული კვალის ნაშლამდე: საარქივო ფოტოდოკუმენტების სრული მოსპობით. თანამედროვე მკვლევარი, რომელიც ამ პერიოდით დაინტერესდება, აბსოლუტურად ვერაფერს იპოვის.

სახელმწიფოს თავისი ისტორიის შერცხვა.

მაგრამ ფაქტები ტექსტობრივი მასალების სახით დარჩა.

ერთი დოკუმენტი, რომელიც, როგორც მიაჩნიათ, ნაყალბევი იყო და რომლის გამოც ლენინმა ამერიკელი ფანტასტი მწერლის ჰერბერტ უელსის წინაშე ბოდიშიც კი მოიხადა, იმ პერიოდის განწყობილებებს, შეიძლება ითქვას, მაქსიმალისტური გულახდილობით გადმოგვცემს.

ეს არის სარატოვის გუბერნიის



სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის დეკრეტი „ქალებზე კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ“:

„ყოფილ მესაკუთრეებს, ქმრებს რჩებათ უფლება რიგგარეშედ ისარგებლონ თავიანთი ყოფილი ცოლებით.“

შენიშვნა: ამ დეკრეტის განხორციელებისთვის წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში, მათ ჩამოერთმევა უფლება, რომელსაც აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს.

ყველა ქალი, რომელთაც ეს დეკრეტი ეხება, ამოირიცხება მუდმივი კერძო მფლობელობიდან და ცხადდება მთელი მშრომელი ხალხის საკუთრებად. გასხვისებული ქალების განაწილების და განკარგვის უფლება ენიჭება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა გუბერნიის, მაზრისა და სასოფლო დეპუტატების საბჭოებს კუთვნილებისამებრ.

მოქალაქე მამაკაცებს უფლება აქვთ იხმარონ ქალები არა უმეტეს კვირაში ოთხჯერ და არა უმეტეს სამი საათისა ქვემოთ მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში“.

კი გაარკვიეს შემდგომ, რომ ეს „დოკუმენტი“ პროვოკაცია იყო, მაგრამ იყო მაშინ ისეთი გარემოპირობები, ისეთი განწყობილება საზოგადოებაში, რომ ვიღაცამ (ვიღაცებმა) შესაძლებლად ჩათვალეს ასეთი „დეკრეტის“ შედგენა.

და ამ ნაყალბევი „დეკრეტის“ განხორციელებას რუსეთის გუბერნიებში აქტიურად შეუდგნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს „დოკუმენტი“ დასავლეთში ნამდვილ დეკრეტად მიაჩნდათ.

გაუჭირდა ლენინს უელსის დარწმუნება ამ ქალაქის სიყალბეში.

საბჭოთა ფსიქიატრმა, ფროიდისტმა არონ ზალკინდმა, რომელიც შემდეგ მარქსისტი გახდა, პროლეტარიატს 12 სქესობრივი მცნების განხორციელების უფლება დართო:

„ქალსობრივი ინტარესების რევოლუციური მიზანშეწონილობისათვის შეუძლია ჩააბრუნოს თავისი თანაწი-



რების სქესობრივ ცხოვრებაში. სქესობრივი ყველაფერში უნდა დაემორჩილოს ქალსობრივს, ამ უკანასკნელს არაფრით ხელი არ უნდა შეუშალოს და ყველაფრით მოემსახუროს მას; არ უნდა იყოს ეჭვიანობა; სქესობრივი შერჩევა უნდა აიგოს ქალსობრივ-რევოლუციური პროლეტარული მიზანშეწონილობის მიხედვით; სასიყვარულო ურთიერთობაში შეტანილი არ უნდა იყოს ფლირტის, არშიყის, კაპლუცოვის ელემენტები და სქესობრივი დაპყრობის სხვა სპეციალური მეთოდები“.

აი, ასე მოძღვრავდნენ პროლეტარებს ოციანი წლების დასაწყისში.

ოცდაათიოდ წლის წინათ, როცა „პერესტოიკა“ მოდაში შემოდიოდა და ტელევიზიები საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ახალი ხილი იყო, ერთ-ერთმა აქტივისტმა ქალმა სექსუალურ პრობლემაზე საუბრისას კატეგორიულად და ნიშნისმოგებით განუცხადა მოპირდაპირე მხარეს, რომ საბჭოთა კავშირში სექსი არ არის. აუდიტორიამ ხარხარით უპასუხა.

ვინ ეტყოდა ამ ქალბატონს, რომ სექსი სსრკ-ში არათუ აკრძალული არ იყო, არამედ ქვეყნის ისტორიის იმ მონაკვეთში, რომელზეც ვსაუბრობთ, პროლეტარიატის

ინტერესების დამცველ და მომსახურე აუცილებლობად იყო მიჩნეული, რევოლუციონერ-მატერიალისტებს იგი ფიზიოლოგიის დონემდე ჰქონდათ დაყვანილი.

დღევანდელ რუსულ მედიაში ამის საილუსტრაციოდ პროზაიკოს პანტელეიმონ რომანოვის ნაწერს გვთავაზობენ, რომელშიც კომკავშირელი გოგოს ნააზრევი ასეა გადმოცემული:

„ჩვენთან სიყვარული არ არსებობს, ჩვენთან მხოლოდ სქესობრივი ურთიერთობებია, რადგან სიყვარული ჩვენთან ფსიქოლოგიის დარგადაა აგებულად მიჩნეული. არსებობს უფლება აქვს მხოლოდ ფიზიოლოგიას. გოგოები ჩვენს ამხანაგ მამაკაცებს თავისუფლად უკავშირდებიან ერთი კვირით, ერთი თვით, ან — შემთხვევით — ერთი ღამით. ყველას, ვინც სიყვარულში ეძებს უფრო მეტს, ვიდრე ფსიქოლოგიას, უყურებენ როგორ უბადრუკებს და გონებრივად დაზარალებულებს“.

ვთქვათ, ციტირებული პროზაიკოსი შემთხვევითი ფიგურაა, როგორცაა რევოლუციურმა აზვირთებამ მხატვრული სიტყვის მსუყე მინდორში გაბაღახების საშუალება მისცა. მაგრამ რა ვუყუოთ ლეგენდარულ რევოლუციონერ ალექსანდრა კოლონტაის, რომელიც ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე იყო და რო-



მელმაც უხამსობა და უხეშობა „უფროთ ეროსად“ გამოაცხადა და მას „ფრთიანი ეროსი“ დაუპირისპირა. წერილში „გზა ფრთიანი ეროსს!“ იგი ასე მიმართავდა ახალგაზრდობას:

„ბურჟუაზიული კულტურის ფარისევლური მორალი დაუნდობლად აგლეჯდა ნაკრტენებს ეროსის ქრელ, ფერადოვან ფრთებს და აიძულებდა, წვეოდა მხოლოდ კანონიერად დაქორწინებულ წყვილებს. მუშათა კლასის კრისტალიზებული მორალი უარყოფს სქესთა სანიყვარულო კავშირის ბარეგნულ ფორმას. მუშათა კლასის კლასობრივი ამოცანებისთვის სულერთია, იღებს თუ არა სიყვარული ხანგრძლივი და გაფორმებული კავშირის ფორმას, თუ გამოიხატება ბარდამავალ ურთიერთობაში. მუშათა კავშირის იდეოლოგია თავისუფალი სიყვარულის არავითარ საზღვრებს არ ადგენს“.

ოდნავი ხელის ნაკვრა და „თავისუფალი სიყვარულის“ ეს „მანიფესტი“ ცალსქესიანთა სიყვარულის მოწოდებად შეიძლება გადაკეთდეს, მაგრამ უკვე ადამიანის უფლებათა დაცვის ჰუმანურ საწყისებზე და „ჭეშმარიტი დემოკრატიზაციის“ დაცვის თვალსაზრისით. ასეთ ლოგიკურ განვითარებას კიდევ ასი წელიწადი დასჭირდა. ასი წელიწადი და — იგივე ჩაგონება ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო პრინციპების.

აუწყვეთ ფეხი ახალ დროებას! კოლონტიას ასეთი პოზიცია გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში იგი მიჩნეული იყო უკიდურესად აღვირახსნილ დედაკაცად. თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია პირველი ქალი ელჩი გამხდარიყო და წარმატებით ემოღვაწა საპასუხისმგებლო დიპლომატიურ თანამდებობებზე ჩრდილოეთ ევროპასა თუ სამხრეთ ამერიკაში. მამათმავალი მამრები დღეს ევროპისა და ამერიკის დიდი ქალაქების მერებად მოგვევლინენ.



ალქსანდრა კოლონტაი

ჩვენ რა, იმათ იტებონ თავი, ვინც იმ წინააღმდეგულ ქალაქებში ცხოვრობს. ჩვენ იმ ლოგიკაზე დავფიქრდეთ, რომელსაც ამხანაგი ალექსანდრა კარიერის კიბეზე აჰყავდა და დღევანდელ პერსპექტივას მივუსადაგოთ. პერსპექტივას, რომელიც ფრთად სანუხარ არს და რომელსაც იცავს „ჰომოფობიის“ წინააღმდეგ ამხედრებული არასამთავროების ერთი ნაწილი.

კოლონტაი თავგამოდებით ქადაგებდა პოლიგამიის — მრავალცოლიანობისა და მრავალქმრიანობის პრინციპებს.

„ფრთიან ეროსს საფუძვლად, რა თქმა უნდა, უდევს სქესის სქესისადმი ისეთივე ლტოლვა, როგორც უფროთ ეროსის შემთხვევაშია, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ადამიანში, რომელიც სხვა ადამიანისადმი სიყვარულს განიცდის, იღვიძებს და ვლინდება ზუსტად ის სულიერი თვისებები, რომლებიც ახალი კულტურის მშენებლებს სჭირდება: გულისხმიერება და სხვისთვის დახმარების განევის სურვილი. ბურჟუაზიული იდეოლოგია მოითხოვდა, რომ ყველა ეს თვისება ადამიანს გამოეკლინა მხოლოდ გულის რჩეულის, ერთადერთი ადამიანის მიმართ. პროლეტარული იდეოლოგიისთვის, უწინარეს ყოვლისა, ძვირფასია ის, რომ მოცემული თვისებები... გამოვლინდეს

არა მხოლოდ გულის ერთ რჩეულთან ურთიერთობისას, არამედ კოლექტივის ყველა წევრთან ურთიერთობის დროს“.

ასეთმა პროპაგანდისტულმა კამპანიამ მრავალ სხვა უბედურებასთან ერთად ჰომოსექსუალიზმის აზვირთება გამოიწვია. მკვეთრად დაეცა შობადობის მაჩვენებელი: 1925 წლიდან 1930 წლამდე შობადობა 12 პროცენტით შემცირდა.

ასეთი კრიზისის მიზეზები, ცხადია, იმ უკიდურესად უარყოფით საზოგადოებრივ ძვრებში უნდა ვეძებოთ, როგორც იყო ეკონომიკის ნეპისშემდგომი კოლაფსი, ტერორი, სამოქალაქო ომი, მაგრამ იმასაც ვერავინ უარყოფს, რომ „ფრთიანი ეროსის“ გავლენაც ფრთად საგრძნობი იყო.

სახელმწიფო იძულებული შეიქნა განეხორციელებინა რადიკალური ღონისძიებები: გამოვლენილი მამათმავლები საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს. მშვიდობიანად. 1934 წელს სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა მუხლი პედერასტიის წინააღმდეგ, უფრო მოგვიანებით კი ოჯახი საბჭოთა საზოგადოების უჯრედად გამოცხადდა.

მძიმე იყო ეს გზა. დღევანდელი გადასახედიდან მაქსიმალისტური ღონისძიებების მარნუხებით დალდამჩნეული, ტოტალიზმის გამოვლენით მონათლული, მაგრამ დღეს ცხადი ხდება, რომ სხვა საშუალება ტოტალური დემორალიზმის აღმოსაფხვრელად, რომელიც სექსუალურმა რევოლუციამ შვა და დაამკვიდრა, არ არსებობდა.

დღეს აშკარაა, რომ დასავლეთი თავით გადაეშვა ამ აღულებული კუპრივით მოთუხთუხე ამორალიზმში და, მგონი, ჩვენც გვიპირებს გადაგვიყოლოს.

სდექ! გვეუბნება ისტორია და, არა მგონია, რომ ამ გაფრთხილების უგულვებელყოფა ჭეშმარიტი ღირებულებების, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, ევროპული ღირებულებებისადმი მისწრაფებაში დაგვეხმაროს.

არამაჰ სანებლიკა



ილია ჭავჭავაძე და გაზეთი «ივერია» აფხაზეთის შესახებ

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მონდომებით, მისთვის ჩვეული გულისყურით ადევნებდა თვალს კავკასიელი ხალხების ცხოვრებას გასული საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე, მეტად დაინტერესებული იყო აფხაზეთით, აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობით, მათი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

სწორადაა აღნიშნული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ი. ჭავჭავაძე უბრწყინვალესი ქართველი სოციოლოგია, რომელმაც საზოგადოებრივი კანონზომიერების ღრმა ჩანვლომის შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა“.

მისი ინტერესი აფხაზეთისა და აფხაზებისადმი, ამ მოძმე ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის, ადათ-წესების, სარწმუნოების, ზეპირსიტყვიერებისა და ტრადიციებისადმი გაიზარდა მას შემდეგ, რაც საკუთარი პერიოდული ორგანო „ივერია“ დააარსა (1877 წ.).



„ივერია“ ადამიანური თანაგრძნობით, მაგრამ ობიექტურად ასახავდა აფხაზეთის ცხოვრებას, მისი კულტურის, სოციალური ურთიერთობის, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის, ეროვნული ყოფის რთულ საკითხებს. იგი თავის გარშემო შემოკრებილი პროგრესული მოღვაწეების საშუალებით თანმიმდევრულად იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისთვის, თანაბარი ძალით ეხმარებოდა საერთოდ კავკასიის მკვიდრთ და, კერძოდ, მოძმე აფხაზი ხალხის თავგამოდებას ეროვნული უფლებების გარკვევისა და მოპოვებისთვის.

როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. გ. ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე ერთი იყო შემოქმედებაში, აზროვნებაში, პრაქტიკულ მოღვაწეობაში“.

ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ ქვეყნდებოდა მეტად საყურადღებო ინფორმაციები, საინტერესო მასალები აფხაზეთის შესახებ. გაზეთს ჰქონდა საგანგებო რუბრიკა: „აფხაზეთი“, „ქ. სოხუმი“, „დ. გუდაუთა“, „დ. ოჩამჩირე“, „სამურზაყანო“, „აბუჯა“, „აფხაზეთ-სამურზაყანო“, „დ. ოქუმი“.

ი. ჭავჭავაძეს თავისი პერიოდული ორგანოს — „ივერიის“ ერთ-ერთ

რედაქტორად აფხაზეთის ღვიძლი შვილი, ცნობილი ჟურნალისტი და მკვლევარი **დ. ჩქოტუა** უნდოდა, რომ ამ უკანასკნელს ბედი არ მოცაროდა და ციმბირში არ გადაესახლებინათ. ი. ჭავჭავაძეს ასევე მოწვეული ჰყავდა თანამშრომლად აფხაზი იურისტი და სწავლული **დავით გრიგოლის ძე ანჩაბაძე**. ნლების მანძილზე „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი იყო აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **გიორგი შარვაშიძე**. „ივერიაში“, აგრეთვე, თანამშრომლობდნენ ცნობილი მასწავლებლები და საზოგადო მოღვაწეები აფხაზეთიდან: **თ. სახოკია**, **პ. ჭარაია**, **ნ. ჯანაშია**, **ანთ. ჯუღელი**, **ივ. გეგია**, **ალ. გოგონია**, **დ. და კ. მაჭავარიანები**. ამათ გარდა „ივერიის“ აქტიური კორესპონდენტები იყვნენ აფხაზეთიდან: **კ. გვასალია**, **თ. გოგიტიძე**, **პ. გაბისონია**, **გრ. დადიანი**, **მ. ხოხიაშვილი** („მექი“), **გ. ლომთათიძე** („გიო“), **სპ. ნორაკიძე**, **პ. ასათიანი**, **ნ. კალანდაძე** („კოლო“), „აბუკინო“ (?), „აფსუა“ (?) და სხვა მრავალი, რომლებიც აქვეყნებდნენ მეტად საყურადღებო კორესპონდენციებს, ინფორმაციებს, სტატიებს, ეთნოგრაფიულ წერილებს, ფოლკლორულ მასალებს აფხაზეთის შესახებ. აფხაზეთის წარსული და აწმყო, კულტურა და



სახალხო განათლება, სოფლის მეურნეობა და კაპიტალიზმის განვითარება, მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, საქველმოქმედო საზოგადოებები და ქართულ-აფხაზური ურთიერთობა — აი, წყება საკითხებისა, რომლებიც აფხაზეთიდან „ივერიის“ თანამშრომლების განხილვის საგანს წარმოადგენდა.

ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ აღძრა ცხოველი ინტერესი აფხაზი ხალხის მდიდარი ფოლკლორისადმი. პირ-



ველად სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა აფხაზური ანდაზები ქართული ტრანსკრიპციით აფხაზურ და ქართულ ენებზე პ. ჭარაიას (გიორგიძის) პუბლიკაციით. ამავე გაზეთში დაიბეჭდა თ. სახოკიას, პ. ჭარაიას, ნ. ჯანაშიას, თ. ხუსკივაძის, კ. მაჭავარიანის, ანთ. ჯუღელის, გრ. დადიანის, კ. გვასალიას, პ. გაბისონიას და სხვ. მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული წერილები აფხაზი და ქართველი ხალხების შესახებ. **„იპირია“ „ღროუბანთან“ ერთად იყო ის ორბანო, რომელმაც ფართოდ გააცნო ქართველ მკითხველს მოძე აფხაზი ხალხი, მისი გმირული წარსული, სულიერი და მატერიალური კულტურა, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, მანკი განსია ღიღი პროპაგანდა აფხაზური დამწერლობის დასაბუთებისათვის.**

სხვათა შორის, 1888 წლის „ივერიაში“ (№46) არის გამოქვეყნებული ასეთი შინაარსის მეტად საინტერესო ინფორმაცია:

„ერთს ახალგაზრდა განათლებულს აფხაზს განუზრახავს აფხაზურის მწერლობის დაარსება და კიდევ შეუდგენია აფხაზური ანბანი“.

ეს ცნობა მეტად საყურადღებოა მეცნიერებისათვის. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით უცნობია ამ პერიოდში (1888 წლისათვის) რაიმე აფხაზური ანბანის შედგენის ფაქტი. როგორც ცნობილია, პირველი აფხაზური ანბანი გამოიცა 1865 წელს, მეორე — 1892 წელს. **შეიძლება შუალედში კიდევ იყო ცდა ახალი აფხაზური ანბანის შედგენისა? აფხაზი სწავლულებისათვის (ბ. ძიპარია, შ. ინალ-იფა, ხ.გლაჟა) უცნობია ასეთი ფაქტის არსებობა.**

უნდა ვიგულისხმობთ, რომ „ივერიას“ ჰქონდა საფუძველი ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ი. ჭავჭავაძის, როგორც ჟურნალისტის, კერძოდ რედაქტორის, ერთი მეტად საყურადღებო თავისებურება, რაზედაც მისი თანამედროვე მოღვაწეები მიუთითებდნენ. იგი განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა პე-

რიფერიებში მოღვაწე ადამიანებს, მათ შორის თავისი პერიოდული ორგანოს თანამშრომლებს. ზრუნავდა მათზე, ხელს უმართავდა. **„ლია მეტად აფასებდა პროვინციებიდან შემოსულ მასალებს, — მოგვითხრობს ს. მაგლობლიშვილი, — პროვინციაში ცოტა მუშაკები გვყავს. ყველა ქალაქში გამოვრბის. არ გამოეცეთ პროვინციას... იმუშავეთ ხალხში, ცნობიერება შეიტანეთ. ჩვენი ხალხი ნიჭიერი და „ჭკუის კოლოფია“, ყოველივე კარგს მალე მიიღებს. მისი გული თესლისათვის კარგ ნიადაგს წარმოადგენს“.**

ასე მამობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა ი. ჭავჭავაძე ერის სამსახურისათვის თავგამოდებულ ადამიანებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ი. ვართაგავა სამართლიანად მიუთითებდა:

„ვინ იცის, მზრუნველი რედაქტორის ამგვარმა მოქმედებამ რამდენი ჭეშმარიტი კალმოსანი შესძინა ქართულ ჟურნალისტიკას? რამდენ დამწყებ მწერალს იმედის ნაპერწკალი აუნთო გულში და ფართო შემოქმედებით სარბიელზე გამოიყვანა“.

ი. ჭავჭავაძემ სწორად პრისის საშუალებით შემოიპრიბათვის ბარამო პარიფარიკაში მცხოვრები პროგრესულად განწყობილი ადამიანები და მათი საქმიანობა ხალხის, სამშობლოს საკეთილდღეოდ წარმართა.

გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელნი, XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და თვით ი. ჭავჭავაძე მხარში ედგნენ მოძმე აფხაზ ხალხს მისთვის ყველაზე მძიმე წუთებში და იმალლებდნენ ხმას მაშინ აფხაზეთში გამეფებული უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ თავისუფლებისა და მეგობრობის სადიდებად.

ი. ჭავჭავაძის, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მადროშის, საქართველო და აფხაზეთი ისტორიულად ერთი სა-

ხალხნივობრივ ორბანიზმად ჰქონდა წარმოდგენილი, რომლის დაქუცმაცება, მისი მართებული აზრით, დამღუპველი იყო ორივე მხარისთვის. ეს მიწა-წყალი ამ ორივე ხალხის წინაპართა სისხლითა და ოფლით იყო გაპოხიერებული, მამა-პაპათა ძვლებითა და სამარხებით მოფენილი.

ქართველი და აფხაზი ხალხების წინააღმდეგ ყოველგვარი ეროვნულად შემბლაღავი, დამამცირებელი გამოსვლის მიმართ ი. ჭავჭავაძე შეურიგებელი იყო და მუდამუამ საკადრის პასუხს აძლევდა „ვაი მეცნიერებს“, გადამთიელ საქმოსნებს, პირნავარდნილ ნაციონალისტებს, რომლებიც ცდილობდნენ, ისტორიის ქურაში გამობრძმედილ ძმებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოეგდოთ და ამით თავიანთი ბნელი ზრახვები განეხორციელებინათ.

ასე მოუვიდა „ორპირი და მლიქვნელი ჟურნალისტის“ (იხილე ვ. კოროსტიშვილის პიესა „დონ-კიხოტი იბრძვის“) — სუვორინის გაზეთ „ნოვოე ვრემიას“, რომელმაც ყალბი, ხალხებს შორის შურისა და უთანხმოების ჩამომგდები ინფორმაცია მიანოდა თავის მკითხველებს. გაზეთის რედაქტორს ი. ჭავჭავაძემ სასტიკი პასუხი გასცა და დაუსაბუთა, რომ მის მიერ შეთითხნილი სტატია მხოლოდ სიყალბეა და ხალხთა შორის ურთიერთობის ხელოვნურად გამწვავების საფუძველი.

1895 წლის „ივერია“ №181-ში დაიბეჭდა ხელმოწერილი სტატია სათაურით: „ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან), რომელშიც განხილულია პეტერბურგის გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ ერთი წერილი აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულების შესახებ აფხაზეთის არამკვიდრი მოსახლეობისადმი. ქართული ლიტერატურის ცნობილი ბიბლიოგრაფისა და მკვლევრის — თამარ მაჭავარიანის აზრით, ეს მეტად საყურადღებო სტატია ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ამ სტატიას და დავინახავთ, თუ როგორ იყო ი. ჭავჭავაძის პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხზე.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართვე-



ველოში, კერძოდ, აფხაზეთში, მეტად გამწვავდა ეროვნული საკითხი. მეფის მთავრობა ხელოვნურად აღვივებდა შუღლს ხალხებს შორის, განსაკუთრებით ავინროება და მოსახლეობას, კრძალავდა აფხაზურ და ქართულ ენებზე სკოლებში სწავლებას, ეკლესიებიდან დევნიდა ქართულ ენას, ერთმანეთზე სამტროდ აქეზებდა რუსებს, ქართველებსა და აფხაზებს.

ერთი ასეთი დაბეზღება სოხუმელ შავრაზმელ მოხელეებს გაუგზავნიათ გაზეთ „ნოვოე ვრემიასთვის“.

ი. ჭავჭავაძემ იმთავითვე ამხილა „ნოვოე ვრემიას“ გარშემო შემოკრებილი ვაი კალმოსნები, რომლებიც სხვა ხალხების უბედურების საფუძველზე საკუთარ ნივთიერ კეთილდღეობას იხვეჭდნენ.

„დიად, სოხუმის მხარის ჰავის ცუდი გავლენა უცხოელებზედ დღემდის სიმართლე იყო, მაგრამ დღეს — რა კი ქართველებს განუზრახავთ იქ ადგილ-მამულის შექცევა, ციებ-ცხელების ამბავი სიცრუედ უნდა იქნას აღიარებული?“

თუ სოხუმელები — აფხაზები, ქართველები, ბერძნები მიწებს იძენენ, ღმერთმა ხელი მოუშარტოს, ეს სასიხარულო მოვლენა უნდა იყოს, ქვეყანა აღორძინდება, დოვლათი დახვავდებაო.

ამას მოსდევს, მართლაც, ი. ჭავჭავაძისეული რკინისებური ლოგიკური მსჯელობა, რომლის შემდეგ მონინაალმდეგე ბანაკის ცილისმნამებლური ბრალდებისგან ქვა ქვაზე არ რჩება. აი, რას წერდა ი. ჭავჭავაძე:

„განა დამტკიცება საჭიროა, რომ ეს სრულიად მტკნარი სიცრუეა და ნამდვილი ცილისმამება? ეს რომ მართალი იყოს, განა კორესპონდენტი აგრე ყრუდ მოიხსენებდა რალაც საიდუმლო „საბუთს“? განა „ნოვოე ვრ“. ბუკსა და ნალარას არ დასცემდა, მართლა რომ გამოჩენილიყო რუსეთში ამგვარი მავნე საზოგადოება?..

ეს ცილისმამება გაზეთს დასჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ სასარგებლო საზოგადოება, რომელსაც ადგილ-მამულების შექცევა განუზრახავს, მავნედ ჩაეთვალა, „რადგანაც საზოგადოება მკვიდრთაგან

შესდგება, მაშასადამე, მავნებელიაო“, — აი, „ნოვ. ვრ.“-ს ლოგიკა!“

ასე კალამომარჯვებული იდგა ი. ჭავჭავაძე ეროვნული უფლებების სადარაჯოზე, ასე იცავდა ეს სულმნათი მოამაგე აფხაზი ხალხის წმიდათაწმიდა მიწა-წყალს.

სხვათა შორის, ინტერესს არ იქნება მოკლებული, აქვე მოვიტანოთ რუსი ექიმის ი. ი. პანტიუხოვის ერთი მეტად საყურადღებო ცნობა იმ დროის აფხაზეთში მალარიის ზემოქმედების შესახებ ხალხთა ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით არამკვიდრ მოსახლეობაზე.

ი. ი. პანტიუხოვმა 1898 წელს გაზ. „კავკაზში“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია: „Влияние малярии на колонизацию Кавказа“, რომელიც 1899 წელს „კავკაზსკი კალენდარშიც“ მოათავსა, ხოლო იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოსცა.

პანტიუხოვი მივიდა იმ დასკვნამდის, რომ მალარია, კლიმატური პირობები იყო სამარე უცხოელ ახალმოშენეთათვის შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე, განსაკუთრებით აფხაზეთის ტერიტორიაზე.

თ. სახოკია ჟურნალ „მოამბეში“ წერდა:

„დრო კი არის, მე და ჩემმა ღმერთმა, „ნოვოე ვრემიამ“ და მისმა დამქაშებმა ასეთი კილო წერისა მოიშალონ, კილო წერისა, რომელიც ნაყოფია დაბრმავებულის თვალისა, შურიანის გულისა და რომელსაც აზრად ისა აქვს, რომ განაპირა ადგილების მშრომელ და მშვიდობისმოყვარე მკვიდრთა შორის შური და განხეთქილება სთესოს“.

„ნოვოე ვრემიას“ ბანს აძლევდა, აგრეთვე, პალმის გაზეთი „ჩერნომორსკი ვერსტნიკი“, რომელიც ბათუმში გამოდიოდა. შავრაზმელი პალმი და მისი რეაქციული გაზეთი სასტიკად დევნიდნენ ყოველგვარ ეროვნულს საქართველოში, თესავდნენ და აღვივებდნენ უნდობლობას ხალხებს შორის.

„ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. ფორცხალავა პალმის შესახებ წერდა:

„პალმიც თავისებურად ეგებება ახალ წელიწადს. წინდანინვე იცის ყველამ ამ ვაჟბატონის ამბები: მი-

სი ნატვრა მოკლე და მარტივია — ერთიან უნდა განყდნენ კავკასიაში კავკასიელებიო“.

ორივე გაზეთის რედაქციის იდეოლოგია გამომდინარეობდა თვითმპყრობლობის პოლიტიკისგან. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა იქითკენ, რომ საბოლოოდ მის განკარგულებაში ყოფილიყო „უაფხაზო აფხაზეთი“.

როდესაც რუსეთის მშრომელი ხალხი აღსდგა, აზვირთდა და 1905 წლის რევოლუციის ბობოქარი დღეების სამზადისი დაიწყო, ეს მელაძეა შოვინისტები შეეცადნენ, როგორც იყვიან, ცხვრის ქურქში გადაცმულიყვნენ და ზოგიერთი მამიტი მკითხველისთვის ეჩვენებინათ: ხომ ხედავთ, ჩვენ კავკასიელი ხალხების მეგობრები ვართ, მათთვის სიკეთე გვსურს. ისინი ისევე სრულუფლებიანი ერები არიან, როგორც სხვა დანარჩენები. მათ შველა და დახმარება სჭირიაო.

რასაკვირველია, ამ პერიოდში სუვორინის გაზეთმა კავკასიელების სასარგებლო იდეების ქადაგება დაიწყო. „ნოვოე ვრემია“ 1903 წელს, აი, რას წერდა:

„კავკასიის დასამშვიდებლად ყველაზე უფრო გამოსადეგარია სამართლიანობა და კანონიერების დამყარება და ამ გზით შეურყეველი წინსვლა. კავკასიელნი რუსეთით კარგად გრძნობენ, როცა მთავრობა სამართლიანობის გზას გვერდს უხვევს (ნუთუ ამისი შეგრძნების უნარი ჰქონდათ კავკასიელებს?! — ო.ჭ.), რაც, სამწუხაროდ, კიდევაც ხდება ხოლმე. ვისაც სურს ხალხის წყლულის განკურნება, ის ფრთხილად და ახდილის გულით უნდა მივიდეს ხალხთან; უნდა ეცადოს, რომ ცუდ მხარესთან ხალხის კარგი თვისებები დაინახოს და ღირსეულად დააფასოს ისინი. ყოველად მონყალე ღმერთს განგებ ხომ არ შეუქმნია უთუოდ უბედური ერები და უთუოდ კავკასია ხომ არ დაუსახლება ამგვარი ერებით?!

ძნელი საქმე არ არის ყვირილით ხალხის შეშინება, მისი შეურაცხყოფა; ბევრად უფრო ძნელია ნამდვილი კულტურული მოღვაწეობა და სწორედ ამისათვის ცოტა გვყავს მოღვაწეები...“



სხვათა შორის, ი. პანტიუხოვის ზემოთ დასახელებული ნაშრომი კრიტიკულად განიხილა ჟურნალ „მომხმამის“ მიმომხმამილველმა ე. ვაშაკიძემ, რომელმაც დღის სინათლეზე გამოიტანა ექიმი ავტორის დახვეწებული შოვინისტური მსოფლმხედველობა და მიზანტროპობა. მან პანტიუხოვის „თეორიას“ ასეთი სალი აზრი დაუპირისპირა:

„ჩვენი ღრმა რწმენით, კავკასიის დასახლება ის ორივე მხრით მჭრელი მახვილია, რომელიც მოითხოვს მეტს სიფრთხილეს პატრონისაგან. ამ გადმოსახლებით არ უნდა იყოს ძლიერ გატაცებული არც მთავრობა, არც კავკასიის ინტელიგენტი რუსობა. ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ ძალდატანებითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და არც უნდა იყოს უარყოფილი მკვიდრის ბუნებრივი და ამისათვის კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. უამისოდ ბოროტება, რომელსაც დღეს ამჩნევენ და არა რაციონალურად სდევნიან, უფრო იმატებს და ვერავინ ვერ მოიგებს, — ვერც მომავალი, ვერც დამხვედური და ვერც სახელმწიფო“.

არც ის იქნება ინტერესს მოკლებული, აქვე აღვნიშნოთ, რომ სუფორინის გაზეთის მიერ ატეხილი დიდი ხმაური, რომელსაც საკადრისი პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძემ, უსაფუძვლო და შოვინისტური ხასიათისა იყო ამ საქმის უშუალო მოწმის — თ. სახოკიას აზრითაც.

მეფის მთავრობისა და მისი კოლონიური პოლიტიკის დამცველი პრესის და რეაქციონერი მოღვაწეების წინააღმდეგ, სასტიკად, შეურიგებლად იბრძოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ი. ჭავჭავაძის წინამძღოლობით. იგი თავდადებით იცავდა ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნულ უფლებებს, მინა-წყალს, სასტიკად გამობდა შავრაზმულ შეხედულებას, რომ აფხაზები მშობლიური მიწიდან მოეწყვიტათ და ამ მაღლიან მიწაზე სხვები დაესახლებინათ.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აფხაზეთში თანდათან ძლიერდება მისწრაფება სწავლა-განათლებისკენ. ამ საქმეს სათავეში ედგა მოწინავე იდეებს დანაფებული ინტელი-

გენცია. როგორც მასალებიდან ჩანს, საქმის ვითარება კარგად იყო ცნობილი ქართველი ინტელიგენციისთვის, კერძოდ, ი. ჭავჭავაძისთვის, და იგი ყოველ ღონეს მიმართავდა დახმარებისთვის. 1880 წელს აფხაზი ინტელიგენციისთვის, კერძოდ, ი. ჭავჭავაძისთვის, და იგი ყოველ ღონეს მიმართავდა დახმარებისთვის. **1880 წელს აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები (დეპუტაცია) ჩავიდნენ თბილისში მეფისნაცვალთან და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან ბარკვეული თხოვნით, რომ მათთვის დახმარება აღმოჩინათ აფხაზეთში სკოლებისა და აღმზრდელობითი დაწესებულებების დაარსებაში.**

ამ მოვლენას გამოეხმაურა გაზეთი „დროება“, რომელმაც ასეთი ინფორმაცია გამოაქვეყნა:

„ჩვენს ქალაქში იმყოფება ამჟამად ჩამოსული დეპუტაცია, რომელიც თერთმეტის საპატიო პირისაგან შესდგება და რომელიც, როგორც გვითხრეს, დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობს, რომ გლეხების განთავისუფლების შემდეგ დარჩენილი ასი ათასი მან. და, აგრეთვე, თ. დიმი. ჭავჭავაძისაგან შეწირული ოცი ათასი მან. შეუერთონ ქუთაისის ან თბილისის საადგილ-მამულო ბანკს და ამ ფულის შემოსავალი აფხაზეთში და სამურზაყანოში სახალხო განათლების საქმეს მოახმარონ“.

ი. ჭავჭავაძის ორგანო დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლების გავრცელებას აფხაზეთში. იგი ქმედით დახმარებას უწევდა იმ პირებს, რომლებიც ამ კეთილშობილურ ეროვნულ წამოწყებას თაოსნობდნენ. გაზეთი თავის ფურცლებზე ბეჭდავდა ინფორმაციებს, განცხადებებს, კორესპონდენციებს, რომლებშიც ჩანდა მოწოდება სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებისკენ. გაზეთი საკმაოდ ვრცლად აშუქებდა კულტურის სარბიელზე მომუშავე პირთა ცხოვრებას, ღვაწლს ხალხის, ერის, სამშობლოს წინაშე და იძლეოდა მათი ნაამაგარის შეფასებას. „ივერიის“ კორესპონდენტ-

მა აფხაზეთიდან ი. ვერმიცანიშვილმა (ნ. ჯანაშიამ) გაზეთში გამოაქვეყნა არა ერთი და ორი საინტერესო წერილი აფხაზეთში მოღვაწე ასეთი ადამიანების შესახებ. ერთ-ერთ კორესპონდენციაში ის მიუთითებდა, რომ **თ. გოგიტიძემ 1895 წელს გუდაუთაში დააარსაო ქართულ-რუსულ-ბერძნული სამკითხველო, რომელიც აერთიანებდა 65 კაცს. ეს იყო პირველი ბიბლიოთეკა გუდაუთაში, რომელსაც 1897 წლიდან სათავეში ჩაუდგა ამ კუთხის მეორე ცნობილი მოღვაწე ს. ელიავა.**

„ივერიის“ რედაქცია სამკითხველოს შესახებ აცხადებდა: „ჯერჯერობით სამკითხველოში ექნებათ მარტო ჟურნალ-გაზეთები. მერმე ღვთისა და კეთილი კაცების შემწეობით ვოცნებობთ ნიგნებიც შევადენინოთ“.

ბიბლიოთეკას მართლაც კეთილი ადამიანების დახმარებით ფეხი მყარად მოუკიდნია და ხალხის საყვარელი კულტურული დაწესებულება გამხდარა. „ივერიის“ მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებული მასალებიდან ვგებულობთ იმ პირთა ვინაობას, რომლებიც ამ კულტურულ დაწესებულებას მატერიალურად ეხმარებოდნენ და ამით თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს იხდიდნენ.

გუდაუთის სამკითხველოსთვის დიდი დახმარება გაუწევიათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და კერძო პირებს. გუდაუთის სამკითხველოს დამაარსებელი და მისი გამგე კერძო პირებს შორის, რომლებმაც „შემწეობა აღმოუჩინეს გუდაუთის სამკითხველოს ნიგნებით და ფულით“, ასახელებს თ. სახოკიას, კ. ლოლუას, ეკ. ჟდანოვიჩს, გ. ქიქოძეს, კ. გალკინს, ი. გომელაურს, პ. არბელაშვილს.

ამ ბიბლიოთეკას, მაშინდელ გუდაუთაში ერთადერთ კულტურულ დაწესებულებას, გამოეხმაურა გაზეთი „კვალიც“. გუდაუთიდან მის კორესპონდენციაში დასახელებულია მღვდელი იასონ ჩაჩანიძე, რომელსაც თურმე დიდი დახმარება გაუწევია სამკითხველოსთვის და ერთ დროს მისი მმართველობის თავმჯდომარეც ყოფილა. აქვე მიუთითებულობა, რომ მაზრის უფრო-



სის — ბესარიონ ჩიქოვანის „წყალობით, სამკითხველოს დაეთმო უფასოდ სახლი, შეშა და სანათი“.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ბეს. ჩიქოვანი მეტად პროგრესულ ადამიანად არის დასახელებული ყველგან, სადაც კი მას უმუშავნია. გუდაუთიდან იგი გადაიყვანეს კოდორის ნაწილის (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) უფროსად, რამაც ოჩამჩირელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ამის შესახებ გაზ. „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ:

„სამსახურიდან დათხოვნილის ჩიჩქოვანის ადგილას ნიშნავენ გუდაუთის უფროსად ნამყოფს თ. ბესარ. ჩიქოვანს. ამ ამბავმა ძალიან გაახარა აქაურები, რადგან ბ-ნ ჩიქოვანს კარგის ადმინისტრატორის სახელი აქვს განთქმული და იმედი გვაქვს, იმის მოსვლის შემდეგ წესიერება დამყარდება დომხალივით არეულ კოდორის ნაწილში“.

აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა ქართველი და აფხაზი ხალხების უფლებების დასაცავად. ეს, პირველ რიგში, გამოიხატებოდა მშობლიური ენის დამკვიდრებაში სკოლასა და ეკლესიაში. როგორც ცნობილია, ეკლესიებში ღვთისმსახურება მიმდინარეობდა მრევლისთვის სრულიად გაუგებარ ენაზე, სკოლებშიც იდევნებოდა ადგილობრივი ხალხების ენები. ეროვნული ენის დაცვისთვის ბრძოლა კი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო. ამ საქმეშიც აფხაზეთის ინტელიგენცია თავდადებულად იბრძოდა.

იმ დროს აფხაზეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გავლენიანი მესვეური იყო ალათი დადიანი-შარვაშიძე. მის შესახებ „ივერია“ წერდა:

„როგორც თავის დროზე გაზეთებში მოხსენებული იყო, კნენა ალათი შარვაშიძისამ (ალათი იყო ელიზბარ დადიანის შვილი და გრიგოლ შარვაშიძის მეუღლე — ო.ჭ.) შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ექსარხოსის — ფლაბიანეს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართუ-

ლი იქნეს ქართულად წირვა-ლოცვა სოხუმის საკრებულო ტაძარში. ამავე შინაარსის თხოვნა გამოუგზავნიათ ამ დღეებში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოების ფლაბიანეს სახელობაზედ ქ. სოხუმში მცხოვრებ ქართველებსაც. თხოვნაზედ 300-მდე კაცს ხელი უწერია“.

ბოლოს და ბოლოს მეფის მთავრობა და სასულიერო ხელმძღვანელობა იძულებული გამხდარან, დაეკმაყოფილებინათ ხალხის კანონიერი მოთხოვნა. ეს მოხდა 1898 წელს. ამ ამბით აღფრთოვანებული ნ. ჯანაშია მიუთითებდა:

„სოხუმის ოლქში მცხოვრებ მეგრულ-ქართველებს ამიერიდან ეძლევა უფლება, წირვა-ლოცვა ქართულად, სამშობლო ენაზედ მოისმინონ...“

ვეგონებ ეხლა შეუძლიან მკითხველს, საკმაოდ გაითვალისწინოს ის სიხარული, ის აღტაცება, რა სიხარული-აღტაცება გამოიწვია აქაურ ქართველ მცხოვრებთ შორის უწმინდესი სინოდის სამართლიანმა ბრძანებამ“.

შემდეგ ამას მოსდევს ბრწყინვალე მოწოდება ქართველებისადმი, რომ დროა, საღათას ძილს თავი დააღწიონ და ხელი შეუწყონ ეროვნული საქმის აღორძინებას.

„დროა, — წერდა იგი, — აქაურმა ქართველობამ გამოიღვიძოს, გარდა თავისი პირადი საქმეებისა, საზოგადო საქმესაც ერთად, თანხმობით მოჰკიდოს ხელი, გულგრილობა, ზარმაცობა საზოგადო საქმეში ან მაინც მოიშოროს თავიდან და დანარჩენ ქართველთ აჩვენოს, რომ ისიც ქართველია გულით, საქმით და არა უაზრო სიტყვით! ჩვენთვის, სოხუმელთათვის, აგრეთვე, საჭიროა ქართული სამრევლო სკოლაც“.

აი, როგორი დიდი აღტაცება და გამოცოცხლება გამოიწვია ეროვნულ-გამათავისუფლებელ ფრონტზე მიღწეულმა წარმატებამ ქართველ ინტელიგენციაში.

ამ კეთილშობილ საქმეშიც ი. ჭავჭავაძისა და მისი ორგანოს მაღლიანი ხელი ჩანდა.

ამ პერიოდში აფხაზეთში ყოფილან ისეთი კერძო პირებიც, რომლებიც აფხაზი მოზარდი თაობი-

სათვის და საერთოდ ახალგაზრდობისთვის საკუთარი სახსრებით აარსებდნენ სკოლებს, სასწავლებლებს, საქველმოქმედო მიზნით თამაშობდნენ სცენაზე, უანგაროდ ემსახურებოდნენ საზოგადოებას.

ასეთი ერთ-ერთი კეთილშობილი მოღვაწე აფხაზეთში ყოფილა სოფ. დურიფშის მედავითნე სვიმონ ნოდია, რომლის შესახებ ნ. ჯანაშია მოგვითხრობს:

„ჩვენთვის ყველაზედ უფრო შესანიშნავია კერძო კაცთა მიერ დაარსებული სამრევლო სკოლები. ამათში პირველობა ეკუთვნის სოფ. დურიფშის ეკლესიის მედავითნეს ბ-ნ სვიმონ ნოდიას...“

საქართველოს სხვა კუთხეში სამრევლო სკოლის დაარსება დიდი არაფერია, გარნა აქ კი აქამდის ნამდვილი გმირობა იყო. იქ სურვილი თუ გაქვს, ყველაფერს დაძლევეთ. აქ ასე ადვილი არ იყო და არ არის ეხლა. ამ ბ-ნ ნოდიას მამალი-თამაზის არც კი ვიცოდით, რომ კერძო კაცს შეეძლო აფხაზეთა შორის სკოლის დაარსება. ამან კი მოინდინა და ერთის წლის განმავლობაში სკოლაც დააარსა და საზოგადოებას სასკოლო შენობაც ააშენებინა, ორმოც მოსწავლეს თავი მოუყარა და მთელ წელიწადს უსასყიდლოდ ასწავლა“.

ს. ნოდიას ამ კეთილშობილურ ნაბიჯს კარგი შედეგი გამოუღია. მისთვის სხვებსაც მიუბაძავთ და თანდათან კერძო პირთ, ქართველ მღვდლებს, დაუწყიათ სამრევლო სკოლების დაარსება. ნ. ჯანაშია ასახელებს კიდევ რამდენიმე პირს და მიუთითებს:

„ბ-ნ ნოდიას მაგალითს სხვა პირთაც მიჰბაძეს. ჯერჯერობით სამრევლო სკოლები დააარსეს: მღ. იონა ნაჭყეტიამ — სოფელ ბულაბურხვაში; მღ. ამბაკო თოფურიძემ — სოფელ ბარმიშში და დიაკონ სამსონ კვაჭანტირაძემ — ბამბორაში!“

დასასრული
შემდეგ ნომერში
ოთარ ჭურულაია,
„ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან“, სოხუმი, 1983 წ.



ზაურ მაჭავარიანი:

სიხრუა, როდესაც ანგოზენ, 1956 წლის 9 მარტი არსებული საბჭოთა სისტემის დამსოზისკენ მიმართული მღელვარება იყო

1956 წლის თებერვლის მეორე ნახევარში მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგით მეოცე ყრილობა, რომელზეც ცნობილი მოხსენებით „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ გამოვიდა კპ ცკ-ის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი. სიმართლე უნდა ითქვას, ამ სამარცხვინო მიცვალებულის პირადი შურისძიებით აღვსილმა ე. წ. მოხსენებამ სტალინის მიმართ საყოველთაო მღელვარება გამოიწვია არამხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც, თუმცა, როგორც ახლა გახდა ცნობილი, მღელვარება და დრტვინვა აზანზარებდა ყრილობის დარბაზსაც და თან ისე მძლავრად, რომ ხრუშჩოვმა, ამ ქონდრისკაცის კომპლექსით დატანჯულმა არსებამ, ბოლომდე ვერც კი წაიკითხა მოხსენება და შიშით შეპყრობილმა მოკურცხლა დარბაზიდან...



ზუსტად ამიტომ 1956 წლის 5 მარტი — სტალინის გარდაცვალების მორიგი წლისთავი — თბილისში და სრულიად საქართველოში უკვე სულ სხვა სულისკვეთებისა გათენდა. როგორც თვითმხილველები ყვებიან, „ბელადის ძეგლთან დილითვე თავშეყრილ ახალგაზრდობას თანდათან შეემატნენ საზოგადოების სხვა ფენათა წარმომადგენლებიც. ამ მიტინგის მიზანი იყო უკვე არა იმდენად გარდაცვლილი ბელადის ხსოვნისა და პატივისცემის დადასტურება, რამდენადაც სკკპ XX ყრილობის ანტისტალინური სულისკვეთების გაპროტესტება და ასევე, ხრუშჩოვის გამოსვლის მთელი იმ არგუმენტაციის გაქარწყლება, რომელშიც ასე უღირსად იყო მოხსენიებული ის, ვის მხრებზეც იდგა ათწლეულების მანძილზე ამ ქვეყნის ძლევა მოსილება და ღირსება“.

შეიძლება თუ არა, 9 მარტის ტრაგედია ასცდენოდა საქართველოს? შეიძლება, — მეუბნე-

ბოდნენ მაგ მოვლენის მონაწილეები, — თავად ხრუშჩოვს მეტი გამჭრიახობა რომ გამოეჩინაო! სამწუხაროდ, „მონაწილეები“ ტროცკისტი ნიკიტა „თავის სიმცირეს ვერ მოერია“!..

ამ უბედურების (საქართველოს 57 წლის წინ თავს რომ დაატყდა) თვითმხილველებს უთუოდ დაამახსოვრდათ ტრიბუნაზე მიკროფონთან მდგარი ხუჭუჭთმიანი ჭაბუკი, რუხი ფერის პალტოში, ახალგაზრდა კობას მსგავსად მოხვეული წითელი ყელსახვევით, რომელიც მოუნოდებდა ყველა გამომსვლელს, ესაუბრათ მხოლოდ ბელადის სახელის პატივისცემის, დაფასებისა და დაცვისთვის; აგრეთვე, აფრთხილებდა მათ, არ შეხებოდნენ პოლიტიკას, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეტარებინათ პირადად ხრუშჩოვი ისე, რომ არ გამოეწვიათ უარყოფითი განწყობა რუხი ხალხის მიმართ. ეს პიროვნება გახლდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის სტუდენტი, 19 წლის ზაურ

მაჭავარიანი — იმ დღეების უპირობო ლიდერი.

ბინის კარს თავად ბატონი ზაური გვიღებს. დრო უმონყალოა! ხუჭუჭა თმები და ტანწერწეტობა წარსულს ჩაბარდა; სამაგიეროდ, შენარჩუნდა სანდომიანი სახე, ახალგაზრდული ხმა და თვალეებში ჭაბუკური სიხარულის კრთომა.

ზაურ მაჭავარიანი იმ მოვლენების, როგორც იტყვიან, სული და გული რომ იყო, ადასტურებს იმდროინდელი კომკავშირულ-პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის — თამაზ ჯანელიძის მემუარული წიგნი „რაც მოგონებად აიკინდა“. აი, რა სტრიქონები მიუძღვნა ბატონმა თამაზმა ჩემს დღევანდელ რესპონდენტს: „ამჯერად ერთი მინდა გავიხსენო: საკმაოდ შეხედული ახალგაზრდა, სხვათა შორის, იშვიათი ორატორიც, თითქოს მართლაც ტრიბუნისთვის გაჩნდაო, ლაზათიანი გამოსვლა ჰქონდა! ლექსებსაც ყოჩაღად იშველიებდა. გვარ-სახელიც მახსოვს: ზაურ მაჭავარი-



ანი — მომიტინგეთა შორის გამორჩეული ავტორიტეტი იყო; როგორც იტყოდა ხოლმე, ყველაფერი ისე კეთდებოდა. ეგრეთ ნოდებულები პრეზიდენტის წევრი გახლდათ, რომელშიც, სხვათა შორის, შედიოდა მაშინაც უკვე ცნობილი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილიც“.

— ბატონო ზაურ, დღევანდელი ე.წ. ლიბერალები გვიმტკიცებენ, თითქოს სტალინური სახელმწიფო მონური ფსიქოლოგიის ადამიანებით იყო დასახლებული. ძალიან მაინტერესებს, თქვენ, „მონებმა“, როგორ გაბედეთ და აუჯანყდით ასეთ, ლიბერალების თქმით, საშინელ რეპრესიულ მანქანას — საბჭოთა კავშირს?

— „მონური ფსიქოლოგიის ადამიანები“ უმოკლეს ხანში ვერც ზესახელმწიფოს ააშენებენ და ვერც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ომს ვერ მოიგებენ! დღევანდელი ვითარების შემხედვარე, მე, 76 წლის კაცი, ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით: **სტალინური საბჭოთა კავშირი ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანებით იყო დასახლებული. ის ადამიანები შემოქმედები გახლდნენ, შრომობდნენ საზოგადოების კეთილდღეობის ასამაღლებლად; დღევანდელი კი მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლები არიან, მართო საკუთარი კეთილდღეობა, თანაც სხვის ხარჯზე, ასულდბოლებით! სტალინის ეპოქის ადამიანები ზაადამიანები იყვნენ, ერთად კი — ხალხი; დღევანდელი კი მხოლოდ სტატისტიკური მოსახლეობაა და მეტი არაფერი!**

აი, თქვენ შიში ახსენეთ და ძალზე დროულად. რა დავარქვით იმ მდგომარეობას, სააკაშვილის მმართველობისას რომ სუფევდა? შიში! საყოველთაო შიში! ასე რომ, **1956 წლის მარტის სუსხიან დღეებში ქუჩაში გამოვიდა არა „მონური ფსიქოლოგიის მქონე“ შეშინებული ბრბო, არამედ გამოვიდნენ ჭეშმა-**

რიტად თავისუფალი ადამიანები, რომლებიც უშიშრად აპროტესტებდნენ გაუგონარ უსამართლობას!

— ბატონო ზაურ, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის დროს, კერძოდ, 1989 წლის აპრილის მიტინგებზე, ზოგიერთი გამომსვლელი ამტკიცებდა, რომ 1956 წლის მარტში ხალხი სინამდვილეში გამოვიდა არა სტალინის დასაცავად, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით და რომ მარტის მოვლენებს ხელმძღვანელობდა 17 წლის ზვიად გამსახურდია. მართლა ასე იყო?

— გამოჩენილი ადამიანების ირგვლივ ყოველთვის ჩნდება მლიქვნელთა, ასე ვთქვათ, ნაყარი, რომელთა ზღვარგადასული სიცქვეტე, საბოლოო ჯამში, ძირს უთხრის მათ მიერვე გაკერპებულ ადამიანს. სამწუხაროდ, ბატონმა ზვიადმა დროულად ვერ გამოაშკარავა ეკა ხერხეულიძისა და ნუგზარ ნიკლაურის ტიპის ხალხი თავის გარემოცვაში, რამაც იგი პირად ტრაგედიაში მიიყვანა... მე, როგორც მარტის მიტინგების წამყვანი, ვაცხადებ: ზვიად გამსახურდია 1956 წლის მარტის მოვლენებს არც გაჰკარებია, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ იგი აქტიურობდა იატაკქვეშეთში, მაგრამ ამაზეც არაფერი მსმენია.

— მაგრამ ხომ გაისმა ლოზუნგი: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“?

— ტრიბუნიდან მხოლოდ ერთხელ გაისმა. სტალინზე ძალიან კარგი ლექსით გამოვიდა ჯანსუღ ჩარკვიანი და, რომ მოამთავრა ხალხმა ყიჟინი და ტაშის კვრა, აი, მაშინ, ექსტაზში შესულმა ჯანსუღმა ხელი ასწია და თქვა: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაიგეთ, მარტის მოვლენები არ იყო პოლიტიკურ რადიკალიზმზე დაფუძნებული საზოგადოებრივი მღელვარება და, ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, ცრუობს! თუმცა, პროვოკატორთა გავლენით, ზოგიერთი ანტისაბჭოთა ლოზუნგიც ერთეულებიგან გაისმა.

სტალინის, ქართველი კაცის, ხსოვნის უსამართლო შეურაცხყოფამ გამოიწვია განსაკუთრებით ახალგაზრდების აღშფოთება. თავის მდაბიო საქციელით, ხრუშჩოვმა ქართველების ეროვნული ღირსება შელახა!

— ბატონო ზაურ, თქვენ, მაშინ 19 წლის ბიჭი, ამ მღელვარების სათავეში როგორ აღმოჩნდით?

— უნინ „მშრალ ხიდზე“ ტრამვაი მოძრაობდა. იქვე, მიმდებარე ბაღში მაღალ კვარცხლბეკზე იდგა სტალინის ძეგლი, რომლის გარშემო ლამაზი ყვავილნარი იყო. ბელადის გარდაცვალების დღეს — 5 მარტს, დილის ცხრის ნახევარზე ტრამვაით ინსტიტუტში მიმავალმა დავინახე ზურგით ჩემკენ მდგარი ტანადი კაცი, რომელიც ულამაზეს გვირგვინს ბელადის ძეგლზე ამაგრებდა. ნამიერად რალაცამ მიბიძგა, გაქანებული ტრამვიდან ჩამოვხტი და კიბეზე ძეგლისკენ დავეშვი. ეს ბრგე ვაჟკაცი აღმოჩნდა დიდი მსახიობი სპარტაკ ბალაშვილი! რა თქმა უნდა, ლექციები გავაცდინე, დავბრუნდი სახლში და, მძლავრი ემოციების ქვეშ მყოფმა, დავწერე ლექსი და საღამოს ძეგლთან გამართულ მიტინგზე ლექსით მივმართე სტალინის მაგინებლებს: **„რას გადმოგვეყურებთ, ყვავ-ყორნებო, მთის მწვერვალიდან, ჩამოაშორეთ ლენინს სტალინი იქნება გინდათ, ამას ვერ შეძლებთ, მაგრამ გეტყვით, არ შევშინდებით, მოგვეციოთ იგი, მადლიანი მისი ცხედარი, მას დიდებულად მიიბარებს დედა მთაწმინდა, ქართველ გმირების არწივული ბუდე ეგ არის“.** არც იმდროინდელი ქართველი პოეტები დამვიწყებია: **„სად დაიკარგეთ, პოეტებო, საქართველოსი, რატომ ჩაგიკვდათ ხმა ნარნარი სალამურისა, ხალხის სახელით, გრიშაშვილო და აბაშიძე, გთხოვთ, აგვიმღერდეთ ჯულაშვილზე ძველებურ ხმაზე“.** აქვე გოგლა ლეონიძესაც მივმართე: **„ხალხის სახელით, ბავშვების და ყრმობის ავტორო, გთხოვთ, დაამთავროთ თქვენი პოემა ფოლადის კაცზე“.** დაბოლოს: **„შეშინდით**



განა? თუ პრემიებს აღარ გაძლევენ, მაშინ გაგიტყდეთ ეგ კალამი, დაშრეს მელანი, თუ არ გვიმღერებთ დიდ სტალინზე ერთხმად ყველანი“.

გამოგიტყდებით, ამ ლექსმა დიდი მონონება დაიმსახურა. მომიტინგეები ამ ლექსის ყოველდღიურად ნაკითხვას მოითხოვდნენ, მიტინგზე ლექსებითა და მოგონებებით გამოსვლის მსურველთა რიგები ყოველნუთიერად იზრდებოდა. ადამიანები ჩამოდოდნენ თბილისში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდანაც.

— ბატონო ზაურ, მაინტერესებს, როგორ მოქმედებდა იმ დღეებში საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე...

— ძალიან აქტიური კაცი იყო! მჟავანაძეს წარუვდგინეთ ჩვენი წინადადებები: ქალაქში დაიწყოს სტალინზე გადაღებული ფილმების ჩვენება, თეატრებმა დადგან სპექტაკლები სტალინზე დაწერილი პიესების მიხედვით. ერთი სიტყვით, რაც ვთხოვეთ, ყველაფერი შეასრულა.

— ხალხი რატომ არ დაიშალა?

— მომიტინგეების აბსოლუტური უმრავლესობის მთავარი სურვილი იყო, ხრუმროვს სტალინის შეურაცხყოფისთვის ბოდიში მოვახდევინოთო. მაგრამ, როგორც ახლა ვხვდები, მომიტინგეების რიგებში დაძრწოდნენ უცხო ქვეყ-

ნის აგენტებიც, რომლებიც ხალხის აჯანყების პროვოცირებას ცდილობდნენ. უნდა ვაღიარო, ზოგიერთი მიამიტი მათ ანკესზე წამოეგო. აბა, სიბრიყვის მეტი რა ვუნოდო მათ ამგვარ წინადადებას: შევეგროვდეთ რაც შეიძლება მეტნი, მოვანყოთ რევოლუცია და აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებლობაო!.. ეს ხომ იმ დროს აბსურდი იყო! პროვოკატორები ტრიბუნაზეც ამოდოდნენ: კარაქი არააო, შაქარი არააო, ყველი არააო! მოგვცენ ეს ყველაფერიო! შიმშილით ვიხოცებითო!

— ბატონო ზაურ, ეგებ, მართლა შიოდა იმ ხალხს? რატომ მიგაჩნიათ, რომ ისინი პროვოკატორები იყვნენ?

— ასეთ მოქალაქეებს თავაზიანად მოვკიდებდი ხელს და ვთხოვდი, ტრიბუნა დაეტოვებინათ!

— რატომ, ბატონო ზაურ?!

— ეს ხალხი კარგად იყო გამოწყობილი და შიმშილობის არაფერი ეტყობოდათ, რადგან ლოყები ცხიმისგან უზზინავდათ! ხოლო კარაქით, ყველით, ხორცითა და შაქრით მაღაზიები გადატენილი იყო და უმაღლესი ხარისხის პროდუქტებს, ახლა რომ იტყვიან, სასაცილო ფასები ედო! მაშინ თითოეული მოქალაქე სოციალურად დაცული გახლდათ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი დღევანდელ დღეზე!


— შეიძლება და სისხლისღვრის თავიდან აცილება?

— სავსებით შესაძლებელი იყო! მაგრამ 9 მარტს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ერთი პიროვნება, რომელმაც მარტის მოვლენების ტრაგიკულად განვითარებაში ფატალური როლი შეასრულა. ეს იყო შიკინი — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე. ტანდაბალი, მრგვალი, ვინროშუბლიანი „ველიკოდერჟავული“ შოვინისტი და სტალინის მოძულე. ადრე ეს შიკინი ნითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი გახლდათ, შესაბამისად, ვასილ მჟავანაძის ყოფილი ზემდგომი მოხელე.

— შიკინი სტალინს რას ერჩოდა?

— თავის დროზე სტალინმა იგი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსობიდან გაათავისუფლა და მერე შეიარაღებული ძალებიდანაც გააძევა. მიუხედავად ამისა, თავისი ძველი არმიული ხელქვეითი — მჟავანაძე, შიკინს ძლიერი გავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული და, ფაქტობრივად, ხელისუფლების ყველა მოქმედებას მეთაურობდა.

9 მარტს, მას შემდეგ, რაც ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ოფიციალური მიტინგი დასრულდა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა — ვასილ მჭედლიშვილმა მომიტინგეებს სთხოვა, დაშლილიყვნენ, რესპუბლიკის კომკავშირის ცკ-ის მაშინდელმა პირველმა მდივანმა — თამაზ ჯანელიძემ, როგორც ჩანს, შეამჩნია ჩემი მიდრეკილება დისციპლინისკენ და იქვე ტრიბუნასთან კომკავშირული დავალების სახით მთხოვა, თუ მიტიგის დაშლა არ მოხერხდებოდა, მეცადა, შემენარჩუნებინა წესრიგი და ხელი შემენყო ხალხის მშვიდობიანი დაშლისთვის. უკვე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ადამიანები შინ დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ერთმა პროვოკატორმა კავშირგაბმულობის სახლისკენ დაძრა მომიტინგეთა ჯგუფი, საბაბით: გავა-





გებინოთ ჩვენი ამბავიო. ჩემი მცდელობის მიუხედავად, ინციდენტი მოხდა — პირველი ტყვია მომიტინგეების მხრიდან გავარდა. ვილაც უცნობ ახალგაზრდას კავშირგაბმულობის სახლთან მდგარ ჯარისკაცთან შელაპარაკება მოუვიდა, რის შემდეგაც ამოიღო იარაღი და სამხედროს ფეხებში ესროლა. ამით არაფერი ზიანი მისთვის არ მიუყენებია, მაგრამ იმ ჯარისკაცმა ბრძანების გარეშე ცეცხლი გახსნა. დაიწყო სროლა...

— ის ახალგაზრდა დაიჭირეს?

— არა, გაიქცა და ხალხს შეეერთა. უთუოდ პროვოკატორი იყო!.. როგორც შემდგომში გავარკვიეთ, იმ შიკინმა მაშინდელი თავდაცვის მინისტრის — მარშალ ჟუკოვის განკარგულებით, თბილისში დივიზია შემოიყვანა. რუსთაველზე ჯავშანტრანსპორტიორები გამოჩნდა. სროლა დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. მეორე დღეს ქალაქში გავრცელდა ინფორმაცია დახოცილებსა და დაჭრილებზე...

— ბატონო ზაურ, რამდენი ადამიანი დაიღუპა იმ დამეს?

— 25 კაცი...

— იმ მოვლენების აქტიური მონაწილის, ბატონ ნოდარ ნათაძის ცნობით, თბილისის ქუჩებში დაახლოებით 400 კაცამდე დაიღუპა, ბევრი მათგანი ხიშტებზე ააგეს და გვამები მტკვარში გადაყარეს...

— ბატონი ნოდარი მიტინგებზე დადიოდა, მაგრამ არ აქტიურობდა. არც ერთხელ ტრიბუნაზე არ ამოსულა და ხალხისთვის არ მიუმართავს. არ ვიცი, საიდან მოიტანა მან ეს ციფრები. გვამები მტკვარში მართლაც რომ გადაეყარათ, მათ მდინარე აუცილებლად სადმე გამოიყავდა.

— და რამდენად სანდოა თქვენი მონაცემი დაღუპულებზე? ვინ გადაამოწმა?

— ძალიან ბევრმა გადაამოწმა. განსაკუთრებით გულმოდგინედ იკვლევდნენ ამ საქმეს გარდაცვლილებისა და დაჭრილების მშობლები, ნათესავები, ახლობლები. რისი გადაამოწმებაც შეიძლებო-



და, გადაამოწმეს და ეს ციფრი დადასტურდა.

— რამდენი დაიჭრა?

— ასზე მეტი ადამიანი...

— თქვენ იყავით დაჭრილი?

— გადავრჩი. მახსოვს, ღამის 12 საათია. პირქვე ვწევარ. ვილაცამ შემანჯღრია. ცალი თვალით დავინახე მამაჩემი: ნამოდი სახლში, შე ვირიშვილო, შენაო! აცხონოს მამაჩემი ღმერთმა. ის რომ იქ არ მოსულიყო, ალბათ, მომკლავდნენ...

მეორე დღიდან დაიწყო დაჭერები. ყოველდღიურად ველოდი, რომ მოვიდოდა ჩემი რიგიც. მიუხედავად ამისა, უშიშრად და ამაყად დავდიოდი ინსტიტუტში. მშობლები და მეგობრები შეეგუენ იმ აზრს, რომ აუცილებლად დამიჭერდნენ.

— როგორ დაგაპატიმრეს?

— ინსტიტუტში ვარ, 19 მარტია. ვუსმენ პროფესორ კვინიკაძის ლექციას მათემატიკაში, დღის 12 საათზე ხმაურიანად აკაკუნებენ აუდიტორიის კარზე. მაშინვე მივხვდი, რომ „მესტუმრნენ“ სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები თხოვნით, რამდენიმე საათით გავყოლოდი გასაუბრებისთვის.

უშიშროების კომიტეტის ციხე რუსთაველზე სავსე იყო მარტის დღეებთან დაკავშირებული „დამნაშავეებით“. საკანში დამხვდა ვახტანგ კუხიანიძე — გორის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი, რომელსაც ადანაშაულებდნენ ახალგაზრდებისთვის იარაღის დარიგებაში. ციხეში წამიერად გავარდა ხმა ჩემი მიყვანის შესახებ. მე, როგორც მიტინგის წამყვანს, ყველა იქ მყოფი მიცნობდა. ატყდა ძახილი: ზაური, ზაური! მესალმებოდნენ ჩემზე რამდენიმე დღით ადრე დაკავებული კოტე ციციშვილი, კოტე ჩხეიძე, საშა ნინუა, სანდრო მირიანაშვილი, ვახტანგ კაციტაძე და მრავალი სხვა. ბევრი მათგანი სიხარულს ვერ მალავდა, რადგან მკვდარი ვეგონე.

საკანში შეყვანიდან ზუსტად ორი საათის შემდეგ წამიყვანეს დაკითხვაზე. თანმხლებ ოფიცერთან ერთად მივედი დანიშნულების ოთახამდე. იღუბა ამ ოთახის კარი და რას ვხედავ — უშველებელი, გრძელი მაგიდის თავში ზის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი ალექსი ინაური, მაგიდას გარშემო უსხედან რუსი გენერლები, მათ შორის, როგორც



მოგვიანებით გავიგე, გენერალ-პოლკოვნიკი ბელჩეკოვი — საბჭოთა კავშირის სუკ-ის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე. შემდგომში გავარკვიე, რუსი გენერლები თურმე განსაკუთრებით ელოდნენ ჩემთან შეხვედრას, როგორც მიტინგის ხელმძღვანელთან და წამყვანთან.

— **„გაამართლეთ“ მათი მოლოდინი, ბატონო ზაურ?**

— ვერ გავამართლე! ვხედავ, გრძელი სახაზავით ხელში ჩემკენ მოემართება ბელჩეკოვი და მკაცრი ხმით მეკითხება: სად და როდის გააბით კავშირი კაპიტალისტური სამყაროს აგენტებთან? 19 წლისა ვარ, სისხლი მიდუღს, თავი ვერ შევიკავე და უშიშრად ვეუბნები: მე არ გიპასუხებთ ასეთ ბრიყვულ შეკითხვაზე-მეთქი!

— **მოიცადეთ, ბატონო ვახტანგ! თქვენ ასე უპასუხეთ საკავშირო სუკის გენერალ-პოლკოვნიკს 1956 წელს?! სიტყვა „ბრიყვული“ ახსენეთ?!**

— დიახ, ვახსენე!

— **როგორი იყო ბელჩეკოვის რეაქცია? სახაზავი ხომ არ გამოიყენა თქვენთვის „ჭკუის სასწავლებლად“?**

— არ გამოუყენებია. მომეჩვენა, რომ მის გაქვავებულ სახეზე წამით ღიმილმა გაიელვა. ეს როგორ მაკადრეთ, ასე როგორ იფიქრეთ ქართველ ახალგაზრდობაზე-მეთქი! გრძნობები ამეშალა, ავტირდი. დარბაზი გაისუსა. „გაიყვანეთ“, — შემომესმა რომელიღაც გენერლის ხმა.

— **იცით, რატომ ჩაგეკითხეთ ამ ეპიზოდში? გენერალ-პოლკოვნიკს, ფაქტობრივად, ბრიყვი უწოდეთ; და, აი, სულ ახლახან, დემოკრატიულ საქართველოში, მერვე საპყრობილეში რა სასტიკად უსწორდებოდნენ პატიმრებს!**

— აგერ, სულ ახლახან ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე ინტერვიუ პოლიტპატიმართან, რომელიც ამბობს, 118 კილოგრამი მიწვედი ციხეში და ორი წლის შემდეგ 64 კილოგრამი გამოვედიო...

— **თქვენ როგორ გექცოდნენ სუკ-ის საპყრობილეში?**

— თითქმის სამი თვე ვიყავი იქ და რვა კილო მოვიმატე წონაში! (იცინის) საქართველოს სუკ-ის მუშაკები დაკითხვების დროს და, საერთოდ, ციხის პერსონალი პატიმრებს საკმაოდ თბილად გვექცოდნენ; თითქმის შეუზღუდავი იყო შეხვედრები მშობლებთან და ახლობლებთან!

— **როგორ წარიმართა თქვენი საქმე შემდგომში?**

— პირველი დაკითხვიდან ორი საათიც არ იყო გასული, რომ კვლავ გამომიძახეს. იგივე კაბინეტი, იგივე ხალხი. კვლავ გენერალ-პოლკოვნიკი ბელჩეკოვი, ისევ სახაზავით ხელში — ჩვენ გვეგონა, მიტინგის ხელმძღვანელი იქნებოდა ზრდასრული, სოლიდური ასაკის პიროვნება, შენ კი ლანჩირაკი ბიჭი ხარ. რატომ ახვედი ტრიბუნაზეო?

გენერალ ინაურს ჩემდაუნებურად თვალი თვალში გავუყარე.

მომეჩვენა, რომ მას ჩემი ორი საათის წინ მიცემული პასუხი მოეწონა და ახლაც იმავე პათოსის პასუხს ელოდა მთავარ კითხვაზე — რატომ ახვედი ტრიბუნაზე?

57 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჩემი პასუხი სიტყვასიტყვით მახსოვს: **მთელი ჩემი ახალგაზრდული წლები განმავლობაში მე ვიზრდებოდი ლენინ-სტალინის საქმის მგზნებარე სიყვარულის ატიმოსფეროში, ვსწავლობდი ბელადების ავტობიოგრაფიებს, შრომებს, ყოფაცხოვრებას, ვაკვირდებოდი მათ ზრუნვას ახალგაზრდობაზე და ამ პროცესებს ყოველთვის ვანიჭებდი ნორმალურ მნიშვნელობას. და აი, გავიგე რა სტალინის გარდაცვალებაზე და მისაბე მწიფი საბჭოთა საზოგადოების მიძვინილი მიტინგის შესახებ, გავმართე სანაპიროზე სტალინის მონუმენტისკენ. შეიკრებილი იყო უამრავი ხალხი და ტრიბუნაზე გამოდირდნენ ლექსებითა და მოგონებებით. ვუსმენდი რა მათ, ჩემში გაიღვიძა დიდი სტალინის პატივისცემისა და სიყვარულის ბრძნობა, გამახსენდა სკოლის წლები, თუ როგორ გვინერგავდნენ მასწავლებლები ამ სიყვარულს, როგორ ვსწავლობდი ლექსებს დიდ ბელადზე, ადამიანზე, რომელსაც უმღეროდა კაცობრიობა, მათ შორის, პირადად თქვენც, პატივცემულ გენერალ-პოლკოვნიკო. აი, ამ ბრძნობაში ამიყვანა მე ტრიბუნაზე ბელადისადმი მიძვინილი მიტინგის სახელმძღვანელოდ. ნუ ეძებთ სხვა ბრძნობებსა და მიზეზებს, რომლებიც არ ყოფილა.**

ლაპარაკის დროს პირდაპირ მივჩერებოდი ბელჩეკოვს, დამთავრების შემდეგ კი შევხედე ალექსი ინაურს. მის თვლებში მხარდაჭერა და თანაგრძნობა დავინახე. საქართველოს სახელმწიფო მოხელეებს სურდათ, რომ მოსკოვიდან წარმოგზავნილებს არ წაეღოთ





დასკვნა, რომ თბილისში მოქმედებს ანტისაბჭოური იატაკქვეშეთი. ბელჩეკოვს, პასუხის მოსმენის შემდეგ, აღარაფერი დარჩენოდა სათქმელი, ამიტომ ცივად თქვა მხოლოდ ერთი სიტყვა: „გაიყვანეთ!..“ გამარჯვების გრძობით დავბრუნდი საკანში. რუს გენერლებს დასაკითხად აღარ დავუძახივარ.

ძიება სამ თვემდე გაგრძელდა. რელიქვიასავით ვინახავ ა. ინაურისა და მ. თოფურიძის ხელმოწერილ საქართველოს სუკისა პროკურატურის დანაშაულებრივ დასკვნას, რომელშიც ჩამოთვლილია ჩემი, როგორც თბილისში, სანაპიროზე, ი. ბ. სტალინის ძეგლთან 9 მარტს ჩატარებული არაოფიციალური მიტინგის ხელმძღვანელის, ბრალდებები, რაც ჩემთვის საამაყო და არა სამარცხვინო!

— სასამართლო როგორ მიმდინარეობდა?

— საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ განიხილა აღნიშნული საბრალდებო დასკვნა, ჩამოთვალა სასჯელმთხრობა და გამათავისუფლა. სასამართლოს სხდომა მხოლოდ ემოციები იყო. ჩემი, როგორც ბრალდებულის, საბოლოო სიტყვის მოსმენისას, ახლობლებითა და სტუდენტებით სავსე დარბაზი მოწმე გახდა, თუ როგორ აცრემლდნენ პროკურორი, მოსამართლე და ადვოკატი. „რატომ დახარჯე დაცვისთვის ფული, ასეთი შვილი გყოლია“, — უთხრა ადვოკატმა მამაჩემს და თავის გამოსვლა ზედმეტად ჩათვალა. დარბაზის გარეთ, ეზოში ასობით სტუდენტი ელოდა განაჩენს. ატყდა ხვევნა-კოცნა, მეფერებოდნენ, მილოცავდნენ, რაც ნიშნავდა მხარდაჭერას ბრძოლაში სტალინის სახელის შემბლაღავთა წინააღმდეგ და პროტესტს პირადად ხრუშჩოვისა და უდანაშაულო ადამიანთა მკვლელების მიმართ. ის წუთები არასოდეს დამავიწყდება!

მალე აღმადგინეს კომკავშირშიც და ინსტიტუტშიც, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1960 წელს. გამანანილეს რუსთავის მე-



ტალურგიულ ქარხანაში. მუშად ვიმუშავე ერთი წელი. **ქარხანაში ინჟინრობა არ გამოგივა, თუ არ იცი, ყველა საშუაო პულტზე თითოეული მუშა როგორ მუშაობს. ეს ბოლო პერიოდში დამავიწყდა დამლუპველი პრაქტიკა — აიღებს ახალგაზრდა დიპლომს და ებრევი მინისტრად ნიშნავენ!** ნახევარი წელი ოსტატად ვიმუშავე, ცვლის უფროსად; მერე — დიდი სამქროს უფროსის მოადგილედ, ბოლოს გადამიყვანეს სარემონტო-მექანიკური ქარხნის დირექტორად, რომელიც მეტალურგიული ქარხნის ინფრასტრუქტურაში შედიოდა. შემდეგ ვმუშაობდი სახალხო კონტროლის რუსთავის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ, „თბილქალაქმშენის“ სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილედ, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ტრესტ „საქკურორტმშენის“ მმართველად; სათავეში ვედექი ტრესტ „საქსომხეთმშენს“. ბევრი სერიოზული ნაგებობა ავაგეთ სომხეთში სპიტიაკის მინისძვრის შემდეგ. ამის მერე ამირჩიეს თბილისის მერიის სამშენებლო-სამრეწველო ფირმა „თბილისის“ პრეზიდენტად და პენსიაში გასვლამდე ვიყა-

ვი სს „მთავარინვესტის“ გენერალური დირექტორი. აი, სამსახურები, რომლებშიც მე 46 წელი პატიოსნად, შეურცხვენლად ვიმუშავე.

ბატონი ზაურის ამ სიტყვებს მისი საცხოვრებელი ბინა კომენტარების გარეშე ადასტურებს.

— ბატონო ზაურ, რა კომენტარს გაუკეთებთ „ნაციონალების“ მიერ განხორციელებულ სტალინის ძეგლის დემონტაჟს?

— ზნედაცემული, სულიერად გახრწნილი არსებების ქმედებებს მე კომენტარს არ გაუუკეთებ!

— 1956 წელს გორელებმა დაიცვეს ბელადის ძეგლი; ხრუშჩოვის მუქარასაც არ შეუშინდნენ, აი, 2010 წელს კი „ლომგულა კურდღელს“ — სააკაშვილს კი მისცეს უფლება ძეგლის დამხობისა. თქვენი აზრით, რა მოხდა?

— 50-60 წლებში გორი ეკონომიკურად ძლიერი ქალაქი იყო. იქ მუშაობდა ბევრი სანარმო, უმუშევრობა არ იყო. ხალხი ამაყად დადიოდა მის ქუჩებში, იმდროინდელი გორელები ღირსების მქონე ადამიანები იყვნენ. იცით, მე დღევანდელ გორელებს არ ვადასწავლავ. უმუშევრობამ დიდი სოციალური პრობლემების წინაშე დააყენა მოსახლეობა. აღარ არსებობს მძლავრი შრომითი კოლექტივები. ხალხი დაქსაქსულია, თითოეული ლუკმაპურის შოგნითაა დაკავებული! ძნელია, ასეთ ადამიანებს გმირობა მოსთხოვო.

დღეს კაპიტალიზმი არათუ სულს ლაფავს, უკვე მკვდარია. ქმნის ისეთ პრობლემებს, რომლებსაც ვეღარ აგვარებს, მხოლოდ ხიშტებით სულდგმულობს. გახედეთ, როგორ აყაჩაღებენ ერაყს, ლიბიას, ავღანეთს, მაგრამ კაპიტალიზმს ყაჩაღობაც ვერ შველის. მოდის ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია — სტალინური სოციალიზმი, რომლის ზნეობა ღმერთის მცნებებზეა დამყარებული. არც ისე შორია დრო, როდესაც სტალინის საქმე საბოლოოდ გაიმარჯვებს!

ესაუბრა ბიორბი კორძაძე



დიმიტრი კორძაია:

ჯანდაცვა — ეს არის «მედიცინა მოქმედებაში»

მედიცინა დღეს განვითარების უმაღლეს მწვერვალზეა, მაგრამ რომელ მედიცინას ანიჭებს უპირატესობას თანამედროვე საზოგადოება — ტრადიციულს, კლასიკურს თუ ჩინურს? ამ საკითხებზე და ზოგადად მედიცინაში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებზე პროფესორი დიმიტრი კორძაია გვესაუბრება. მანამდე კი, საქართველოში მედიცინის წარმოშობასა და განვითარებას ზოგადად გადავავლოთ თვალი.



დიმიტრი კორძაია

ქართული მედიცინის განვითარების ისტორიით ჩემი დაინტერესება მიხეილ გედევანიშვილის სახლ-მუზეუმში სტუმრობამ გამოიწვია. მიხეილ გედევანიშვილი — ნევროპათოლოგი, რენტგენოლოგი, ელექტროფიზიოლოგი გახლდათ. მას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ჩამოუტანია რენტგენის აპარატი, იმ პერიოდისთვის ეს საოცრება იყო. მიხეილ გედევანიშვილის ოჯახში ამ ნივთს დღესაც სათუთად ინახავენ და უარით ისტუმრებენ მისი შესყიდვის მსურველებს.

როგორც ჩანს, ქართული თანამედროვე მედიცინის განვითარება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება, თუმცა სათავეს ცოტა შორიდან, მე-17 საუკუნიდან იღებს. ქართული მედიცინის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია იოანე და დავით ბაგრატიონების სამედიცინო-ლიტერატურული მოღვაწეობა, კერძოდ, დავით ბაგრატიონის „სამკურნალო რეცეპტები“, „შემოკლებული ფსიქიკა“ და იოანე ბაგრატიონის დიდი ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა“, რომელიც შეიცავს სამედიცინო ხასიათის ტექსტებს. მის კალამსვე ეკუთვნის რეფორმების — „სჯულდების“ პროექტი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამედიცინო ხასიათის ღონისძიებებს, კერძოდ, სამშობიაროს მოწყობის საკითხს.

უკვე მე-19 საუკუნის ქართული

მედიცინა კი ხასიათდება სამედიცინო-სანიტარიული მომსახურების ორგანიზაციისა და სააფთიაქო საქმის განვითარებით, ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით, საკურორტო-ბალნეოლოგიური რესურსების ათვისება-გამოყენებით, ხალხური მედიცინის ტრადიციების გაგრძელებით.

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენებიდან აღსანიშნავია 1868 წელს ისეთი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების დაარსება, როგორცაა ქალაქის საავადმყოფო, რომელსაც მიხეილის საავადმყოფო ჰქვია; სამშობიარო სახლი, რომელიც 1873 წელს დაარსდა, პასტერის სადგური, რომელიც მთელი კავკასიისთვის იყო განკუთვნილი და სხვ., ასევე, 1884 წლიდან სასოფლო-საექიმო ნაწილის მოწყობა სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელმაც ერთგვარი „სამეცნიერო აკადემიის“ როლი შეასრულა საქართველოში. გაუმჯობესდა ქართული სამედიცინო ლიტერატურის გამოცემის საქმეც, ქართველი მეცნიერები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ქართული სამეცნიერო-სამედიცინო ტერმინოლოგიის შესაქმნელად. მეფის მთავრობა ვერ იჩინდა ხელგამლილობას სახალხო ჯანმრთელობისთვის ხარჯების გაღებაში.

ის მცირე და უაღრესად ნელი ზრდა-განვითარება სამედიცინო საქმისა, რომელიც ამ პერიოდში შეიმჩნევა, ძირითადად, ქვეყნის მონინავე პროგრესული ძალებისა თუ გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აქტიური საქმიანობის შედეგი იყო. საქართველოში უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის არარსებობის გამო ამ პერიოდში მომუშავე თითქმის ყველა ქართველ ექიმს უმაღლესი განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული. მათ შორის აღსანიშნავია: პ. კლაპიტონაშვილი, ს. შარიმანაშვილი, ზ. ზუბალაშვილი, მ. ჩიგიანი, ს. ალექსი-მესხიშვილისა და სხვ.

მე-20 საუკუნის ქართული მედიცინის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ჩამოყალიბება 1918 წლის სექტემბერში, სადაც აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ პროფესორები: ვ. მოსეშვილი, ა. ნათიშვილი, ს. ამირეჯიბი, გ. მუხაძე, ა. ალადაშვილი. ეს პერიოდი ხასიათდებოდა სამკურნალო დაწესებულებათა თვისობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მიმართულებების, სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშა-



ობის განვითარებით. სამედიცინო მეცნიერებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექიმთა სამეცნიერო საზოგადოებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმატებულ საქმიანობას. **ამ პერიოდის სახელგანთქმული ქართველი ექიმები იყვნენ: მ. ნინამძღვრიშვილი, ვ. ასათიანი, კ. ერისთავი, ვ. ჟღენტი, ა. ნულუკიძე, ავ. ზურაბაშვილი, პ. სარაჯიშვილი, ს. ხეჩინაშვილი.**

გასული საუკუნის ქართველმა მედიკოსებმა დიდი წვლილი შეიტანეს როგორც კლინიკური, ისე მეცნიერული მედიცინის განვითარებაში, მათი წარმატებული მოღვაწეობის საფუძველზე საქართველო მიჩნეული იყო მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამედიცინო პოტენციალის მქონე ქვეყნად.

— ბატონო დიმიტრი, რა არის კლასიკური და ტრადიციული მედიცინა? რას გულისხმობს ეს ტერმინები ჩვენთან, საქართველოში, და როგორ მოიაზრება ისინი საერთაშორისო პრაქტიკაში?

— სამედიცინო ცოდნა, ისევე, როგორც საერთოდ ცოდნა, ემყარება დაკვირვებისა და ცდის მონაცემს და მათი გაანალიზებიდან გამოტანილ დასკვნებს. წლების განმავლობაში გამოცდილების შედეგად დაგროვილი ინფორმაცია მუშავდებოდა და ექიმთა თაობებს გადაეცემოდა. ასე ყალიბდებოდა ე.წ. კლასიკური მედიცინა, ანუ დღევანდელი, თანამედროვე მედიცინა. საერთაშორისო აღიარებით, იგი სათავეს იღებს ძველბერძნული მედიცინიდან, ჰიპოკრატეს სწავლებიდან. თუმცა, თავის მხრივ, ცნობილია, რომ ჰიპოკრატესეულ ცოდნას საფუძველი შეუქმნა შუმერულმა, ეგვიპტურმა, თუნდაც ძველკოლხურმა სამედიცინო ტრადიციებმა. მიჩნეულია, რომ ძველმა რომაელებმა დარგს **მედიცინა** სწორედ კოლხეთის მეფის ასულის — მედეას სახელის გამო უწოდეს. ასეთ გადანყვებულებას საფუძველი შეუქმნა სამკურნალო მცენარეებისა და სამკურნალო მაგიური ხე-

ლოვნების იმ უდიდესმა ცოდნამ, რომელიც მედემ კოლხეთიდან ძველ საბერძნეთში გაიტანა.

დღეს მსოფლიო კლასიკურს უწოდებს იმ მედიცინას, რომელიც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში არის ოფიციალურად აღიარებული, აქვს თავისი სწავლების სისტემა და მეთოდური უზრუნველყოფა, პრევენცია-მკურნალობის შედეგების შეფასების აღიარებული კრიტერიუმები და რომელიც შექმნილია ძველბერძნული სამედიცინო ცოდნის თანდათანობითი განვითარების, მოდერნიზაციისა და გენერალიზაციის შედეგად.

მსოფლიოში დღეს მიღებულია შემდეგი სინონიმები: კლასიკური მედიცინა, თანამედროვე მედიცინა, ოფიციალური მედიცინა, კონვენციური მედიცინა. უკანასკნელი ორი ტერმინი სულ უფრო იკიდებს ფეხს მას შემდგომ, რაც ფართოდ განვითარდა სამედიცინო დაზღვევის სისტემა (სადაზღვევო კომპანიები, როგორც წესი, ანაღდებენ კლასიკური, მსოფლიოში ოფიციალურად აღიარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს).

ტრადიციული მედიცინა კი არის რომელიმე ქვეყნის, ერის, ხალხის ან მოსახლეობის დიდი ჯგუფის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული და გამოცდილი სამედიცინო სააზროვნო სისტემა, რომელიც განვითარდა კლასიკური მედიცინისგან დამოუკიდებლად, ალტერნატიული პრინციპების საფუძველზე და რომლის ეფექტურობაც დაამტკიცა დრომ და პრაქტიკამ. ტრადიციული მედიცინის ქრესტომათიულ მაგალითს წარმოადგენს ჩინური, ტიბეტური, ინდური ტრადიციული მედიცინა.

— რა ტენდენცია შეინიშნება დღეს? რამდენადაც ვიცი, დიდ მნიშვნელობას ჩინურ მედიცინას ანიჭებენ.

— ტრადიციული ჩინური მედიცინის უნიკალური ნაწილი — აკუპუნქტურა, რომელსაც აქვს სწავლების ჩამოყალიბებული პროგრამა, მეთოდური უზრუნველყოფა,

სახელმძღვანელოები, ოფიციალური შეფასების სტატისტიკა, აღიარა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ და იგი შეიტანა საკურაციო სამედიცინო მიმართულებათა ოფიციალურ ჩამონათვალში. ამის შედეგად მსგავსი აქტები განხორციელდა სხვადასხვა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მმართველი ორგანოების მიერ. მსგავსი ქმედება განხორციელდა საქართველოშიც.

თუმცა საქართველოსთვის სულაც არ არის პრინციპული ამოცანა, კიდევ უფრო განავითაროს ტრადიციული ჩინური, ტიბეტური ან ინდური მედიცინა. მან ისევე, როგორც სხვა ქვეყნებმა, უნდა შეისწავლოს ეს დარგები, დააფუძნოს, წარმატებით გამოიყენოს, აქციოს საქართველოს კლასიკური, ანუ კონვენციური მედიცინის ნაწილად.

რაც შეეხება ისეთ საინტერესო მიმართულებებს, როგორცაა: ჰომეოპათიური თერაპია, სუ-ჯოკ თერაპია და მისთანანი, მათი გაიგივება ტრადიციულ მედიცინასთან არ შეიძლება.

ცნობილია, რომ დღეს ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის მოსახლეობის მესამედზე მეტი მიმართავს ჰომეოპათიას. ჰომეოპათიური სამედიცინო მომსახურებით სულ უფრო ფართოდ ინტერესდებიან სადაზღვევო კომპანიებიც. მსგავსი ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნება.

— რატომ ხდება, რომ ხშირად ჰომეოპათიას, აკუპუნქტურასა და სუ-ჯოკ თერაპიას ალტერნატიულ მედიცინას უწოდებენ?

— ჰომეოპათიის შემთხვევაში, მისი, როგორც მიმართულების, სახელწოდება განპირობებულია იმით, რომ თავის მეთოდიკად ეს დარგი ირჩევს ჰომეოპათიურ მეთოდიკას, ანუ მკურნალობას მსგავსით, რაც ალტერნატიულად მოიაზრება კლასიკური მედიცინის ძირითადი მეთოდიკის — ალოპათიის მიმართ. რაც შეეხება სუ-ჯოკ თერაპიას, იგი ეფუძნება ტრადიციული, ჩინური აკუპუნქტურის ძირითად პრინციპს — ბიოენერგოკორექციას. მექანიზმი,



ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც კლასიკურ მედიცინაში, ალპათიურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში, კლასიკური მედიცინაც სულ უფრო მეტად ინტერესდება ადამიანის, როგორც საერთო კოსმიური მთლიანობის ნაწილის, კონცეფციით. ამას ადასტურებს კლასიკური მედიცინის ისეთი სპეციალობებისა და სუბსპეციალობების წარმოშობა, როგორცაა, ვთქვათ, გრავიტაციული მედიცინა, ბიოენერგოინფორმაციული მედიცინა და მისთანანი. ადამიანის ორგანიზმზე კოსმიურ მოვლენათა მოქმედების შესწავლას იწყებენ კლასიკური მედიცინის ისეთი დარგები, როგორცაა: კარდიოლოგია, ნევროლოგია, ფსიქიატრია...

თავის მხრივ, ტრადიციული ჩინური მედიცინა, კერძოდ აკუპუნქტურა, იწყებს თავისი ბაზისის — მერიდიანული სისტემის სტრუქტურული და ბიოფიზიკურ-ბიოქიმიური საფუძვლების, აგრეთვე, ზემოქმედების ფიზიოლოგიური და პათოფიზიოლოგიური მექანიზმების კვლევას. ამდენად, იკვთება ორი მიმდინარეობის დაახლოების აშკარა ტენდენცია. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული დარგების ალტერნატიულად ჩათვლა რამდენადმე პირობითია.

— რა მდგომარეობა გვაქვს ტრადიციული მედიცინის თვალსაზრისით საქართველოში?

— იმ გაგებით, როგორითაც ჩვენ უკვე განვმარტეთ ტრადიციული მედიცინა, ჩინური ტრადიციული მედიცინის მაგალითზე, ტრადიციული ქართული მედიცინა დღეისათვის აღიარებული არ არის. ამასთანავე, სავარაუდოა, რომ ძველად არსებული ტრადიციული ქართული (კოლხური) მედიცინა, „მედეას მედიცინა“, წარმოადგენდა სწორედ ტრადიციულ ქართულ, კოლხურ მედიცინას, რომელიც შეერწყა მსოფლიო კლასიკურ მედიცინას და იქცა მის ნაწილად. მეტიც, იქცა მის ფუძემდებლურ ნაწილად. შემდგომ, რადგან ისტორიულად საქართველოში ყოველთვის დასტურდება

მედიცინის საკმაოდ მაღალი დონე, შეიძლება დაგვასკვნათ, რომ ქართული მედიცინა შეადგენდა ნაერთს კლასიკური მედიცინისას იმ დოზით, რა დოზითაც ჩვენ შევძლებდით მისი მიღწევების დაუფლებას, შემოგნანას, სწავლებას და ძველი ტრადიციული ქართული მედიცინის იმ ნაწილისა, რომელიც გადმოეცემოდა და ვითარდებოდა, ერთის მხრივ, ღვთისმსახურთა წრეში (სატაძრო მედიცინა), მეორე მხრივ, ხალხის ნიაღში (ხალხური მედიცინა).

სატაძრო მედიცინა და ხალხური მედიცინა დღესაც გააქვით საბაზო, რომლის კვლევაც ნარმატივით შეიძლება განხორციელდეს, გაბრკილდეს ჩვენი ეროვნული კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სასიკეთოდ.

მეცნიერულად შესასწავლია თითოეული ხალხური თუ სატაძრო რეცეპტი, მათი ჩვენება-უკუჩვენებები, შესაქმნელია სტატისტიკა და ამის შემდგომ ასათვისებელია ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ფარმაცევტული ბაზარი. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მხარში ამოუდგა ასეთ ინიციატივას, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. შესაქმნელია და დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა, კანონი ტრადიციული მედიცინის შესახებ. მოსაძიებელი და გასაშიფრია ხალხში, ძველ ქართულ კარაბადინებში თავმოყრილი ცოდნა, აღსადგენია სამკურნალო მცენარეების მოშენება-გამრავლებისა და შეგროვების ტრადიციები.

— ბატონო დიმიტრი, რა არის ჯანდაცვა, როგორც სისტემა?

— აღსაქმელად ყველაზე მარტივი, ჭეშმარიტებასთან საკმაოდ ახლოს იქნება ასეთი დეფინიცია: მედიცინა მოქმედებაში, ანუ ექიმისა და პაციენტის, პაციენტისა და სამედიცინო დაწესებულების, ექიმისა და სამედიცინო დაწესებულების ორგანიზებული, მონესრიგებული ურთიერთობები.

ეს სტრუქტურულ-ორგანიზაციული ნესრიგი გულისხმობს, რომ ჯანდაცვა რეალიზდება პროგრა-

მების სახით, საერთო ეროვნული იქნება ეს, რეგიონული, პროფილური თუ ინდივიდუალური.

თუ მედიცინის ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს გავითვალისწინებთ, ჯანდაცვის პროგრამებიც უნდა იყოს ან პრევენციული, ან სამკურნალო, ან პალიატიური.

თუ ძველის ჯანდაცვის სისტემას რომელიმე ამ მიმართულების პროგრამა არ გააჩნია, ის არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, რადგან, რომელიმე მიმართულების არარსებობის პირობებში, ძველის მოსახლეობის რომელიმე ნაწილი რჩება ჯანდაცვის სისტემის გარეშე, ანუ სამედიცინო მომსახურების გარეშე.

პრაქტიკულად იგივე შედეგი მიიღება, თუ რომელიმე დასახული მიმართულება — პრევენციული, სამკურნალო, პალიატიური — არ ხორციელდება სწორი მეთოდოლოგიით, მეთოდოლოგიით და პრაქტიკული ჩვენებით.


აღიარებულია, რომ ამ სხვადასხვა მიმართულების სამედიცინო საქმიანობას შესაბამისი ცოდნა და ამ ცოდნის რეალიზაციის ფორმების ფლობა სჭირდება. ამასთანავე, ეს ცოდნა კრებითია, მეცნიერების მრავალ დარგს და მიმართულებას მოიცავს. საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია), ბიოლოგიური (ბოტანიკა პარაზიტოლოგია, ზოოლოგია, მიკრობიოლოგია, განვითარების ბიოლოგია, გენეტიკა), სამედიცინო (ფუნდამენტური და კლინიკური დისციპლინების მთელი ბლოკი), მათემატიკური (სტატისტიკა, რაოდენობრივი ანალიზი), ფსიქოლოგიური (სამედიცინო ფსიქოლოგია, ასაკობრივი ფსიქოლოგია), საზოგადოებრივი ცოდნებითი (ეთიკა, ბიოეთიკა, სოციოლოგია.) — ასეთია იმ მეცნიერებათა ძირითადი, თუმცა არასრული ჩამონათვალი, რომელთა ცოდნაც წარმატებული სამედიცინო-ჯანდაცვითი საქმიანობის საწინდარია.

ესაუბრა
ეკა ნასყილაშვილი



70 წლის მოფარეხავემ ევროპაში ქართული დროშა ააფრიალა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და დიდი ტიცინი ტაბიძის შვილიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) ანდრიაძე, როგორც ექიმი და უბადლო პროფესიონალი, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კარგადაა ცნობილი. მის მიღწევებსა და წარმატებებზე კარდიოლოგიაში მეტ-ნაკლებად, ალბათ, ყველას სმენია, მაგრამ ამჯერად ჩვენი საუბარი სულ სხვა თემას, მედიცინისგან კარდინალურად განსხვავებულ სფეროს, შეეხება — სპორტს... სად კარდიოლოგია და სად „სიტყვაზე“ — ფარიკაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხანდახან ასეც ხდება. ზოგჯერ ადამიანს შინაგანი მოწოდება გარკვეულ კონტრასტებში გადაისვრის. ამის ახსნა მარტივად შეუძლებელია, ამას მხოლოდ ერთი სახელი აქვს — ნიჭი, ღვთის საჩუქარი. ბატონი გივი სწორედ ის ადამიანია, რომლის უნარიც მხოლოდ ერთი მიმართულებით არ შემოფარგლულა, ამიტომაც არ მისხენებია შემთხვევით სპორტი და მით უფრო — ფარიკაობა. 1961, 1962, 1963 წლებში იგი ზედიზედ სამჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა; შემდეგ ამას მოჰყვა სხვა ტიტულები, ტრიუმფი რიგ საერთაშორისო ასპარეზობებზე და მსოფლიო ჩემპიონობაც კი. ეს — რაც შეეხება სიტყვათა წლების მონაგარს, მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. წლეულს, 12 მაისს 70 წლის მოფარეხავე იტალიის ქალაქ ტერნში სპორტის ამ სახეობაში გამართულ ვეტერან სპორტსმენტთა ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა და სპორტის საერთაშორისო სარბიელზე ქართული დროშა 50 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ააფრიალა...



— ფარიკაობა 12 წლის ასაკში დავიწყე. — იხსენებს ბატონი გივი, — მიმიყვანეს პიონერთა სასახლეში ანატოლი ფიოდოროვთან, რომელიც ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო. იმ დროს იქ ვარჯიშობდნენ ცნობილი მოფარეხელები იურა ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, რეზო ცირეკიძე, გივი ცაგარელი და სხვები. თავიდან ჩემზე მაინცდამაინც დიდ იმედებს არ ამყარებდნენ, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ სსრ კავშირის სპორტ-საზოგადოება „სპარტაკის“ პირველ-ლობაზე მივიღე მონაწილეობა მოსკოვში, სხვათა შორის, სრულიად შემთხვევით მოვხვდი გუნდში (სამიდან ერთ-ერთი მონაწილე ავად გახდა და მის ნაცვლად მე ჩამსვეს), ფინალში მოხვედრილ მ მოფარეხეებს შორის ერთადერთი ქართველი მე ვიყავი. მოხდა ისე, რომ ყველა დავამარცხე და ავიღე პირველი ადგილი. მომდევნო წელსაც „სპარტაკის“ ჩემპიონატზე არავის დავუთმე პირველობა. მწვრთნელები საბოლოოდ დარწმუნდნენ ჩემს შესაძლებლობებში და სერიოზულად

შეუდგნენ ჩემს წვრთნას.

— თქვენ ფარიკაობის რომელ სახეობაში გამოდიოდით?

— სულ სამი სახეობაა: რაპირა, ხმალი და დამნა. მე რაპირისტი ვიყავი თავიდანვე და ბოლომდე ამ სახეობაში დავრჩი. საერთოდ ყველანაირად კარგი პირობები გვქონდა: საუკეთესო მწვრთნელები გვავარჯიშებდნენ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც შესაბამისი იყო, ამიტომ აღწევდნენ ჩვენი მოფარეხეები წარმატებებს არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

— საერთაშორისო ასპარეზზე რამდენად წარმატებით გამოდიოდით?

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრა უკვე რალაცას ნიშნავდა, ვინაიდან დონე იყო ძალიან მაღალი. წარმატება მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით მიიღწეოდა და მეც დღე-ღამე ვვარჯიშობდი. 1961, 1962, 1963 წლებში სამჯერ მოვიგე საბჭოთა კავშირის პირველობა და ასევე სამჯერ ვმონაწილეობდი მსოფლიო

ჩემპიონატში ახალგაზრდა მოფარეხე-კავთა შორის 20 წლამდე ასაკში. 1962 წლის ევგენის ქ, ქაიროში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე V ადგილი დავიკავე, 1963 წელს კი ბელგიის ქ. გენტში — I ადგილი და გავხდი მსოფლიო ჩემპიონი. პირველივე ბრძოლაში შევხვდი ფრანგ მოფარეხეებს — კურტილიას, რომელთანაც 1962 წელს ევგენის ქ-ში წავაგე და რომელიც მაშინ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ამჯერად კი ანგარიშით ხუთით ერთი მე დავამარცხე. ბოლო ბრძოლა მქონდა ცნობილ ავსტრიელ მოფარეხეებს — ლოზერტთან. ოთხით სამი რომ მიმყავდა ანგარიში, ხელი დამიბუჟდა და ბუნებრივია, გაგვარჩევს. არ მეგონა, თუ შევძლებდი გაგრძელებას, მაგრამ ერთი-ორი წუთის მერე ისევ გამოვედი. უცებ ის წამოვიდა შეტევაზე, ქულის მოპოვებას შეეცადა, ამ დროს მე პირდაპირ ვარდნით, კონტრშეტევა შევასრულე და ჩემს სასარგებლოდ ავანთე ერთი ნათურა. ამით დასრულდა ეს დაპირისპირება, მე გავიმარჯვე. მერე გახარებული



მომვარდნენ ჩემი მწვრთნელი ტრიფონ მესხი, თანაგუნდელები, მთელი საბჭოთა კავშირის ნაკრები და ხელში მამურთავეს...

მაშინ უკვე სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ვიყავი და ცხადია, სწავლის პარალელურად ვარჯიშს დიდ დროს ვერ ვუთმობდი.

— ამით თქვენი პოპულარობა სპორტის სამყაროში, ალბათ, ერთი-ორად გაიზარდებოდა.

— რასაკვირველია. ბევრი მოლოცვები მივიღე, ბევრმა მომაცხია ყურადღება. ჩემთვის ეს იყო ძალიან დიდი პატივი და სიხარული. 1966 წელს, ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ისევ აქტიურად ვვარჯიშობდი. სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოვდიოდი და გარკვეული წარმატებებიც მქონდა. შემდეგ ჩავაბარე მოსკოვში, მთავრობის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურაში აკადემიკოს ევგენი ჩაზოვთან და სამ წელიწადში დავიცავი დისერტაცია. სწავლის პარალელურად ვვარჯიშობდი, მაგრამ ძალიან გამიჭირდა.

— მაინც რა სირთულეებს გადაწყვიტეთ?

— კარდიოლოგია, მოგეხსენებათ, ძალიან რთულია. ინფარქტიან ავადმყოფებთან მქონდა საქმე, ღამეები უნდა მეთენებინა. ყველაფერს, ბუნებრივია, ვერ ვასწრებდი. ამის მიუხედავად, ერთი წელი მაინც ვიფარეკავე. შემდეგ გადავედი „სპარტაკიდან“ „დინამოში“. მაშინ იქ უფროსი მწვრთნელი იყო ივან მანაენკო, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. ერთხელ მან მითხრა, დაანებე ამ მედიცინას თავი და საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოგახვედრებო. სიმართლე გითხრათ, დავფიქრდი, კაი ხანი ვორჭოფობდი, მაგრამ ბოლოს მედიცინას მაინც ვერ ვულალატე. იმ წელიწადს მოვიგე მოსკოვის პირველობა დიდებში. ჩემი სპორტული კარიერა დავასრულე სსრკ ზაფხულის სპარტაკიადში მონაწილეობით საქართველოს სახელით.

— და რა ხელშეწყობა აქვს დღეს საქართველოში ფარიკაობას?

— ფარიკაობა ძალიან საინტერესო სპორტია, ინტელექტუალურიცაა, აზროვნებასაც ავითარებს და რალაცნაირად არის ტოკრატით-



ტარნი ბამარტოშ ვეტირან მოფარიკავეთა ტურნირის გამარჯვებულნი

ლია. მე ყველას ვეუბნები, რომ ფარიკაობა უნდა განვითარდეს. ამას კი სჭირდება ახალგაზრდების დაინტერესება და ზოგადად სახეობის პოპულარიზება.

ამ რამდენიმე ხნის წინ გაიხსნა ჩემი სახელობის კლუბი, რომელშიც მეტ-ნაკლებად ყველა პირობებია. ორი მწვრთნელი — ქეთი ერემეიშვილი და გოგიტა გელაშვილი, ბავშვებს ამზადებენ უმაღლეს დონეზე და წარმატებებსაც უკვე მიაღწიეს.

— ეს კლუბი სადაა ტერიტორიულად?

— პირველად ის 43-ე საჯარო სკოლაში გაიხსნა, რომელიც ბაბუაჩემის, ტიცინ ტაბიძის, სახელობისაა. შემდეგ გაიხსნა 53-ეში და კი-

დედ კერძო სკოლაში „XXI საუკუნე“.

ბავშვები ძალიან მონდომებულები არიან. თავის ასაკში, 10, 11, 12 წლისანი, უკვე გამოდიან შეჯიბრებებზე და გარკვეული შედეგებიც აქვთ. ივნისის ბოლოს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ ქეთევან ერემეიშვილის ორმა მონაფემ — ნიკა შენგელიამ და ანი აფრასიძემ (№43 საჯარო სკოლა), რომლებიც ასევე საქართველოს ჩემპიონები არიან, მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ჩემპიონატში იტალიის ქალაქ რიანოში. ანი აფრასიძე გახდა 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გოგონათა შორის ხმალში და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ნი-



კა შენგელიამ კი — ამავე ასაკში მოასპარეზე ბიჭებს შორის VI ადგილი ხმალში. ეს ჩემი კლუბისთვის და საერთოდ ფარიკაობის განვითარებისთვის საქართველოში ძალიან დიდი მიღწევაა.

— ორი თვის წინ იტალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილის პრიზიორი გახდით. ალბათ, მარტივი არ იქნებოდა ტიტულის მოპოვება.

— ტურნირი 12 მაისს, ანდრიაპირველწოდებულის ხსენების დღეს და ჩემი გარდაცვლილი მეუღლის დაბადების დღეს დაემთხვა. გადამწყვეტი შერკინება ინგლისელ მონინაალმდეგესთან მქონდა, ანგარიში ცხრით რვა მიმყავდა, მაგრამ შემდეგ გათანაბრდა. ბევრი ვინერვიულე, რადგან ეს მოგება მედლის დაუფლებას ნიშნავდა. ბრძოლის ბედი ჩემმა საყვარელმა ილეთმა გადაწყვიტა. წითელი ნათურა ავანთე და მოვიგე. ჩემს ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს — ლუდვიგ ლაღანიძეს.

— მომავალშიც მიიღებთ, ალბათ, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას...

— ამჟამად მთელი ყურადღება



სსრკ ნაპრების მთ. მწვრთნელი ლევ სანიჭუკი, გივი ანდრიაძე და მწვრთნელი ტრიფონ მისხი

გადატანილი მაქვს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში ოქტომბრის დასაწყისში ჩატარდება. ვარჯიში უკვე დავიწყე, ყოველ დღე ორ-სამ კილომეტრს დავრბივარ და

ინტენსიურად ვემზადები. შაბათ-კვირას ერთ კილომეტრს ვცურავ ხოლმე, შეჯიბრი ძალიან საინტერესო იქნება. იმედი მაქვს, უტიტულოდ არ დავბრუნდები.

ესაუბრა ჯაბა ჭპანია

P.S. ბატონი გივი რომ უდრეკი სულისა და განსაკუთრებული თვისებების მქონე ადამიანია, ამას მისი ბოლოდროინდელი რაინდული მიღწევებიც მოწმობს. ისლა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ჭარმაგ მოფარიკავეს მომავალ მსოფლიო ასპარეზობაში.

ეს საინტერესოა

ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1921 წლიდან, ქალთა შორის — 1929 წლიდან, მსოფლიო ჩემპიონატი კაცთა და ქალთა შორის — 1937 წლიდან, ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1896 წლიდან — კაცები, 1924 წლიდან — ქალები.

ფარიკაობას, ისევე, როგორც ჭიდაობასა და კრიკს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ცივი იარაღით ბრძოლის ხელოვნება ეგვიპტელებისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ.წ. მესამე ათასწლეულში. ანტიკურ საბერძნეთსა და ძველ რომში ფარიკაობა სამხედრო მომზადებისა და სხეულის წრთობის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ითვლებოდა.

ძველი სამყაროს ისტორიული ძეგლები მოგვითხრობენ იმდროინდელ მებრძოლთა აღჭურვილობაზე, ოსტატობაზე, ფარიკაობაში გამართულ შეჯიბრებებზე. ერთი ასეთი შეჯიბ-

რება აღწერილია ჰომეროსის „ილიადაში“.

ცნობილია, რომ ეგვიპტის ფარაონს — რამსეს III-ს ლიბიელებთან გამარჯვების აღსანიშნავად ძვ.წ. 1190 წელს მოფარიკავეთა გრანდიოზული ასპარეზობა გაუმართავს. ძვ.წ. 264 წლიდან რომში რეგულარულად ეწყობოდა გლადიატორთა ბრძოლები ცივი იარაღით. შუა საუკუნეების ევროპაში ფართოდ გავრცელდა რაინდ მოფარიკავეთა ტურნირები. გაჩნდა ფარიკაობის სპეციალური სკოლები, რომლებიც მოგვიანებით სპორტული ფარიკაობის ცენტრებად იქცა, მძიმე საბრძოლო იარაღი კი მსუბუქმა და შედარებით უსაფრთხომ შეცვალა.

1516 წელს იტალიაში გამოიცა პირველი წიგნი ფარიკაობაზე, თუმცა კლასიკური ფარიკაობის ქვეყნად საფრანგეთი ითვლება. იტალიის მსგავსად, საფრანგეთში გამოიკვეთა ფარიკაობის ორი მიმართულება — სადუე-

ლო და სპორტული. ხშირად ეწყობოდა სამეფო კარის ტურნირები, აგრეთვე, შეხვედრები ფრანგ და იტალიელ მოფარიკავეთა მონაწილეობით. ფრანგმა ოსტატმა ბერნარ რენემ 1633 წელს თავის წიგნში დეტალურად აღწერა ფარიკაობის ტექნიკა, მისმა თანამემამულემ ლა ბრაუსიემ 1776 წელს გამოიგონა მავთულისბადიანი საფარიკაო მუზარადი. იმ დროისთვის საფრანგეთში არსებობდა ფარიკაობის აკადემია და მწვრთნელთა კორპორაცია. განსაკუთრებით პოპულარული იყო რაპირით ფარიკაობა.

ხმლით ბრძოლის ტექნიკა მილანის სამხედრო სკოლაში დაიხვეწა. რომში ჩამოყალიბდა ფარიკაობის ცენტრალური სკოლა, რომლის აღზრდილებიც მასწავლებლობდნენ გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთსა და ამერიკაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპაში გახშირდა საერთაშორისო ტურნირები, დადგინდა ბრძოლის წესები და სპორტული იარაღ-აღჭურვილობის სტანდარტები.



ლევ ტოლსტოი:

არ ვიცი, კავკასია არის თუ არა შთაბოროტის ქვეყანა, მაგრამ ის უეჭველად სიყვარულის ქვეყანაა!

ახალგაზრდა ლევ ტოლსტოი 1851 წელს ეწვია საქართველოს და შეავსო იმ რუს კლასიკოს მწერალთა რიგები, რომლებიც თავის დროზე სტუმრობდნენ ჩვენს სამშობლოს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი მოიხიბლა არა მარტო კავკასიის ბუნებით, არამედ სიყვარულით სავსე ქვეყნით. საქართველოში, კერძოდ, თბილისში ყოფნისას, იგი გაეცნო ქართულ საზოგადოებას და მას მაღალი შეფასება მისცა, ხოლო, შემდგომ, დროთა განმავლობაში, უკვე რუსეთში მყოფი, დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ცნობილ სახელგანთქმულ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. ამავე დროს ის თვალყურს ადევნებდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც (1905 წლის გურიის გლეხთა აჯანყება). ყოველივე ამან საშუალება მისცა, ღრმად ჩასწვდომოდა ქართველთა ბუნებას, ხასიათს, ეროვნულ თავისებურებებს, რის საფუძველზეც მან მთელ ქართველ ერს „საყვარელი ხალხი“ უწოდა.



1851 წლის მარტში სოფელ იას-ნია პოლიანაში ლევ ტოლსტოის-თან მცირე ხნით, მგებულებით ჩავიდა მისი ძმა — ნიკოლოზი, რომელიც იმხანად ოფიცრად მსახურობდა კავკასიის არმიაში. მან ძმას ურჩია მასთან ერთად კავკასიაში გამგზავრება და სამხედრო სამსახურის დანყება.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში ლევ ტოლსტოის მობეზრებული ჰქონდა რუსული არისტოკრატიული საზოგადოების ფუქსავატური ცხოვრება, ამიტომ სიამოვნებით დაეთანხმა ძმის წინადადებას და მასთან ერთად აპრილში გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ისინი შეჩერდნენ სტანიცა სტა-როგლადკოვსკაიაში, სადაც ნიკოლოზ ტოლსტოის სამხედრო ნაწილი იდგა. აქ ლევ ნიკოლოზის ძემ მონაწილეობაც კი მიიღო ერთ-ერთ სამხედრო ოპერაციაში და სარდალ ბარიატინსკის ყურადღებაც კი დაიმსახურა. სარდალმა ლევ ნიკოლოზის ძეს სამხედრო სამსახურში შესვლა ურ-

ჩია. ლევ ტოლსტოიმ გაითვალისწინა გენერალ ბარიატინსკის რჩევა და 1851 წლის ოქტომბერში თავის ძმასთან — ნიკოლოზთან ერთად სამხედრო გამოცდების ჩასაბარებლად (რაც აუცილებელი იყო სამხედრო სამსახურში შესვლისთვის) თბილისში ჩამოვიდა.

ლევ ტოლსტოი თბილისში მოემგზავრებოდა საქართველოს სამხედრო გზით. იგი მოხიბლულა კავკასიის ბუნებით, განსაკუთრებით დარიალის ხეობით, ჯვრის უღელტეხილითა და თერგის ხეობით. ძალზე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ლევ ტოლსტოი ყაზბეგში შეჩერებულა, მოხევე ბიჭებთან ერთად მაღალ მთაზე ასულა და წმინდა სამების მონასტერი დაუთვალიერებია, რომელსაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე.

თბილისში ლევ ტოლსტოის საცხოვრებლად აურჩევია ე. წ. „გერმანელთა ახალშენი“, რომელიც იმ ხანებში მდებარეობდა ახლანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე. იგი ამ უბანს მშვენი-

ერ ადგილად მიიჩნევდა ბალებითა და ვენახებით გარშემორტყმულს. აქ ლევ ტოლსტოი სამხედრო გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა.

როგორც ნათესავებისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, ლევ ნიკოლოზის ძეს ძალზე მოსწონებია თბილისი, რომელიც იმხანად ამიერკავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. წერილებში იგი აღნიშნავდა, რომ „თბილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია... აქ მრავალფეროვანი და რჩეული საზოგადოებაა...“

იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თბილისს ლევ ტოლსტოიზე, რომ მას საქართველოში სამოქალაქო სამსახურის დანყება და საცხოვრებლად დარჩენაც კი განუზრახავს. „რაც შეეხება ჩემს შემდგომ გეგმებს, თუ ვერ მოვენწყვე სამხედრო სამსახურში,



სამოქალაქო სამსახურში მონაწილეს შევეცდები, მაგრამ — აქ და არა რუსეთში“, — წერდა იგი თავის მამიდას — ტატიანა ერგოლსკაიას.

სწორედ საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ახალგაზრდა ტოლსტოიმ იგრძნო სულიერი განახლება. **„ვხედავ, რომ ჩემში დიდი ზნეობრივი ცვლილება იმყოფება; მე მგონი, კავკასიაში ნამოსვლის აზრი შუანაქვს ჩამინება... ვგრძნობ, რომ ამ უკეთესი გზისკენ“**, — კვლავ წერდა იგი მამიდას. დიას, სწორედ სულიერი განახლება დაეხმარა მას, დაემთავრებინა თავისი შესანიშნავი ავტობიოგრაფიული ტრილოგიის პირველი ნაწილი — „ბავშვობა“ („Детство“) თბილისში.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ლევ ტოლსტოის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა თბილისიდან 1851 წლის 15 დეკემბერს ტ. ერგოლსკაიას. იგი აღნიშნავდა: **„არ ვიცი, კავკასია არის თუ არა შთაბრძნობის ძველანა, მაგრამ ის უაღრესად სიყვარულის ძველანაა!“**

ლევ ტოლსტოის ამ სიტყვებს პროფ. გიორგი ტალიაშვილმა შემდეგი შეფასება მისცა: **„რუსი მწერლების მიერ ასეთი შეფასება პირველია. აქამდე კავკასია თავისი ულამაზესი ბუნებით შთაგონების მხარე იყო, ტოლსტოი კი მას სიყვარულის ქვეყნად თვლის. რატომ? ამაზე ძნელია პასუხის გაცემა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ბუნებამ შეიძლება მწერალი ესთეტიკურად აამაღლოს, შთაგონოს, ალტაცებაში მოიყვანოს, მაგრამ სიყვარულის გრძნობას ადამიანები აღძრვენ, ადამიანების გარეშე ის არ ხდება“.**

აღნიშნული შეფასება სრულ სიმართლეს შეიცავს. სწორედ ქართველმა ადამიანებმა, მათთან ურთიერთობამ და კავშირმა მოიყვანა ალტაცებაში დიდი მწერალი, გაუღვივა სიყვარული მათდამი და ათქმევინა: **„ეს ქართველები რა საყვარელი ხალხია — ჭკვიანი, კეთილი და მშვიდი“**

„ლოვისმოყვარე“ (ლევ ტოლსტოის პირადი მდივნის — დუშან მაკოვიცკის „იასნაია პოლიანას“ ჩანაწერებიდან).

რაც შეეხება ლევ ტოლსტოის სამხედრო სამსახურში შესვლის საკითხს, ამისათვის მან 1851 წლის 3 იანვარს კავკასიის ბრიგადის შტაბში ჩააბარა საიუნკერო გამოცდები და მიიღო მე-4 კლასის ფეიერვერკერის ჩინი. ამის შემდეგ ჩაირიცხა მეოცე საარტილერიო ბრიგადის მეოთხე ბატარეაში და გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში. სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება მან დაიწყო იანვრის შუა რიცხვებიდან. იგი მოქმედებდა დაღესტნისა და ჩეჩნეთის ტერიტორიებზე გამართულ ბრძოლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ არტილერიის მეოცე ბრიგადაში ბევრი ქართველი მსახურობდა, მათ შორის **რევაზ ერისთავი, კონსტანტინე დადიანი, არტილერიის მომავალი გენერალი, შემდგომში ცნობილი ქართველი მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი**. ნ. ნაკაშიძის გადმოცემით, ლევ ტოლსტოი ხშირად იგონებდა მათ, ხოლო მოგვიანებით, როდესაც ლევ ნიკოლოზის ძე სახელგანთქმული მწერალი გახდა, კონსტანტინე მამაცაშვილს უგზავნიდა წერილებს და მისთვის საინტერესო ნიგნებს. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ორ ადამიანს შორის არსებობდა შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა.

საქართველოსადმი ინტერესსა და ქართველებთან ურთიერთობებს ადასტურებს, აგრეთვე, ლევ ტოლსტოის 1851-1851 წლების ჩანაწერები, რომლებშიც ხშირად არიან მოხსენიებული ქართველები, მათი ზნე-ჩვეულებები და ქართული ენა.

როდესაც 1851 წლის შემოდგომაზე ლევ ტოლსტოი თბილისში იმყოფებოდა, შამილის ცნობილი ნაიბი — ჰაჯი-მურატი რუსეთის მხარეზე გადავიდა და თბილისში მეფისნაცვალ ვორონცოვს ჩაბარდა. ამ ამბავმა ახალგაზრდა ტოლსტოი ძალზე დააინტერესა.

ეს ინტერესი მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია. 60-იან წლებში იასნაია პოლიანაში, მის მიერ გლეხთა ბავშვებისათვის გახსნილ სკოლაში, თავის მოსწავლეებს ხშირად უყვებოდა ჰაჯი-მურატის ტრაგიკული ცხოვრების ისტორიას. 1870-იანი წლებიდან მან დაიწყო დიდი რაოდენობით ლიტერატურის კითხვა ჩრდილო-კავკასიის ომებზე და მათში ჰაჯი-მურატის მონაწილეობაზე. 1896 წლიდან კი მწერალმა საბოლოოდ ხელი მოჰკიდა თავისი უკანასკნელი მხატვრული ნაწარმოების „ჰაჯი-მურატის“ წერას.

„ჰაჯი-მურატის“ წერის დროს ლევ ტოლსტოი სარგებლობდა სამხედრო, ისტორიული, ეთნოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ლიტერატურით. ამ მხრივ მწერალს ბევრი რუსი მოღვაწე ეხმარებოდა, მაგრამ უფრო მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით თავი გამოიჩინეს ქართველებმა: ცნობილმა მოღვაწემ ილია ნაკაშიძემ და ისტორიკოსმა სიმონ ესაძემ. მათ მიერ სხვადასხვა არქივსა და მუზეუმებში მოძიებული ზემოაღნიშნული ხასიათის მასალები წარმოადგენდა ლევ ტოლსტოის მიერ მხატვრული გადაამუშავების უმნიშვნელოვანეს წყაროს „ჰაჯი-მურატის“ შექმნისთვის.

საყურადღებოა ს. ესაძის მიერ ლევ ტოლსტოისადმი საგანგებოდ დაწერილი ისტორიული ნარკვევი ჰაჯი-მურატის შესახებ, რომელიც მწერალს გაუგზავნა იასნაია პოლიანაში ავტორმა. ნარკვევი დაიბეჭდა გაზეთში „Закавказье“ სათაურით „Исторический очерк С. Эсадзе, послуживший материалом для повести „Хаджи Мурата“ Толстого“. აღნიშნული ნარკვევისა და მოთხრობა „ჰაჯი-მურატის“ ანალიტიკური შედარება მოწმობს, რომ მწერალს გამოყენებული აქვს ის ინფორმაციები, რომლებსაც ნარკვევი შეიცავს. ეს ნარკვევი ლევ ტოლსტოის მოთხრობის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა.

თავის მხრივ კი, გენიალური მწერალი დიდი მადლიერებით და

პატივისცემით აღსავსე წერილებს უგზავნიდა ქართველ მოღვაწეებს მისთვის განუვლი დაუღალავი და თავდადებული შრომისთვის.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში განუზომლად გაიზარდა ლევ ტოლსტოისადმი ინტერესი. 90-იანი წლებიდან კი თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მოღვაწემ გამოავლინა თავისი დამოკიდებულება ლევ ტოლსტოის, როგორც მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის უდიდესი მოვლენის მიმართ.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდანვე დაიწყო ქართველთა მიმონერა დიდ რუს მწერალთან.

1886 წელს გიმნაზიის კურსდამთავრებულმა თბილისელმა ქალიშვილებმა, წერილი გაუგზავნეს ლევ ტოლსტოის. ისინი სთხოვდნენ მწერალს, მიეცა მათთვის რჩევა, თუ როგორ გამოეყენებინათ თავიანთი ცოდნა ხალხის სასარგებლოდ. ლევ ტოლსტომ არ დააყოვნა და 1886 წლის 17 დეკემბრით დათარიღებული პასუხი გაუგზავნა თბილისელ ქალიშვილებს. იგი ურჩევდა მათ, თავიანთი ძალ-ღონე და ცოდნა გამოეყენებინათ ხალხის გასანათლებლად, რისთვისაც იგი კონკრეტულ გზებზეც მიუთითებდა.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ქართველი ხალხის ცნობილი მოღვაწეების ურთიერთობა დიდ მწერალთან. ამას ხელი შეუწყო, აგრეთვე, საქართველოში დუხობორების მოძრაობამ, რომელშიც აქტიურად ჩაერთო ლევ ტოლსტოი.

ცნობილია, რომ მეფის მთავრობა საქართველოში ეწეოდა დუხობორების დევნასა და შევიწროებას, რის შესახებაც ლევ ტოლსტოის ინფორმაციას აწვდიდნენ მისი ქართველი მეგობრები ილია და ელენე ნაკაშიძეები.

1896 წლის ზაფხულში ილია ნაკაშიძე იასნაია პოლიანაში ჩავიდა, რათა პირადად გასცნობოდა გენიოს მწერალს და მიეწოდებინა მისთვის ზოგიერთი ინფორმა-



ცია დუხობორების შესახებ. ლევ ტოლსტოის სიამოვნებით მიუღია სტუმარი. მას ძალზე გახარებია ის, რომ საქართველოში იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ იცნობდნენ მას, მაგრამ ცხოვრობდნენ მისი მოძღვრების მიხედვით. ლევ ტოლსტოის დიდი ყურადღება მიუქცევია იმისათვის, რომ დუხობორები იყვნენ მინის მუშები, ცხოვრობდნენ საკუთარი შრომითა და მათ შორის არ არსებობდა სოციალური უთანასწორობა. ლევ ტოლსტომ წერილი მისწერა დუხობორებს და ილია ნაკაშიძეს გაატანა.

1897 წელს ლევ ტოლსტოის დავალებით თბილისში ჩამოვიდნენ ტოლსტოის მიმდევრები — რეჟისორი ლეოპოლდ სულერჟიციკი და ინგლისელი არტურ სინჯინი. ისინი ილია ნაკაშიძესთან ერთად შეხვდნენ ქართულ სოფლებში მცხოვრებ დუხობორებს. ამის შესახებ შეიტყო თბილისის პოლიციამ, რომელმაც მოგზაურ ტოლსტოველებს მეამბოხეები უწოდა — და ილია ნაკაშიძეს ხუთი წლით საქართველოში ცხოვრება აუკრძალა. ამის გამო ილია ნაკაშიძე იძულებული გახდა მოსკოვში გამგზავრებულიყო საცხოვრებლად. ქართველმა მწერალმა კვლავ მოინახულა ლევ ტოლსტ-

ოი, რომელიც ძალზე გულთბილად შეხვდა მეგობარს და დაეხმარა მას გზათა მინისტრთან, რათა იგი სამსახურში მიეღოთ. მალე ილია ნაკაშიძე საერთაშორისო მატარებლის უფროსად დაინიშნა, რასაც ხელი არ შეუშლია მისთვის, პარალელურად ეწარმოებინა ლიტერატურული საქმიანობა ტოლსტოურ გამომცემლობა „პოსრედნიკ“-ში.

1898 წლის თებერვალში მოსკოვში ჩავიდა ცნობილი ქართველი მწერალი, ილია ნაკაშიძის მეუღლე ნინო ნაკაშიძე, რომელიც იქ 1903 წლამდე დარჩა. იგი მეუღლესთან ერთად ხშირად ხვდებოდა ლევ ტოლსტოის. ეს შეხვედრები მასზე დიდ შთაბეჭდილებებს ახდენდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნინო ნაკაშიძის მოგონებები „ლევ ტოლსტოის ახლოს“: დიდი რუსი მწერლის სტუმრობის გახსენება მოსკოვში, ნაკაშიძეების ბინაში. ნინო ნაკაშიძე იგონებს, რომ ერთ-ერთ საღამოს, მათთან სტუმრობისას, ლევ ტოლსტოის ხანგრძლივი საუბარი ჰქონია ნაკაშიძეებთან ქართული კულტურის, ზნე-ჩვეულებების, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესახებ. ამ საუბრის ყველა მონაწილე ძალზე კმაყოფილი დარჩენილა.

1903 წელს ილია ნაკაშიძე პოლიციის ნებართვის გარეშე მთელი თავისი ოჯახით საქართველოში დაბრუნდა. გამომგზავრების წინ ოჯახმა შეიარა იასნაია პოლიანაში და გამოემშვიდობა ლევ ტოლსტოის.

თბილისში ჩამოსვლისთანავე, როგორც მოსალოდნელი იყო, ილია და ნინო ნაკაშიძეებმა დაიწყეს აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ილია ნაკაშიძეს ჩააბარეს გაზეთის „ცნობის ფურცელი“ რუსეთისა და უცხოეთის განყოფილების ხელმძღვანელობა, ხოლო ნინო ნაკაშიძემ დაიწყო ჟურნალ „ნაკადულში“ თანამშრომლობა. 1907-1910 წლებში მან, მეტად საინტერესო საბავშვო მოთხრობების გარდა, გამოაქვეყნა რეალისტური მოთხრობებიც, რითაც ნიჭიერი მწერლის სახელი დაიმკვიდრა. ამასთანავე, მან ბევრი რამ გააკეთა ლევ ტოლსტოის პოპულარიზაციისთვის საქართველოში: „ნაკადულში“ სისტემატურად იბეჭდებოდა ლევ ტოლსტოის მოთხრობები. 1911 წელს ნინო ნაკაშიძემ თარგმნა და ცალკე ნიგნად გამოსცა. ლევ ტოლსტოის ავტობიოგრაფიული ტრილოგიის პირველი და მეორე ნაწილი — „ბავშვობა“ და „ყრმობა“.

თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანი ტოლსტოის მოძღვრებით გატაცებამ მიიყვანა პატრიარქალური ყოფის იდეალიზაციამდე. მან ერთადერთ პატიოსან შრომად მიწათმოქმედება აღიარა.

გიორგი დადიანი (1856-1900) მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში. 1893-1895 წლებში პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტად. მას შემდეგ, რაც ლევ ტოლსტოის მოძღვრების აქტიური გამზიარებელი გახდა, უარი თქვა სამხედრო სამსახურსა და მემკვიდრეობაზე. მან მიწები გლეხებს დაურიგა და გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში.

1895 წელს გიორგი დადიანი ქალაქ ნალჩიკთან ახლოს დასახლდა, რათა ეცხოვრა საკუთარი შრომით. გიორგი დადიანზე ბევ-

რი რამ იყო ცნობილი ლევ ტოლსტოისთვის. ერთხელ, ილია ნაკაშიძესთან საუბრისას, ლევ ტოლსტოის უთქვამს: „დადიანს არ შეეხვედრივარ, მაგრამ ძალიან მინდა მისი ნახვაო“. სამწუხაროდ, გიორგი დადიანი მანამდე გარდაიცვალა. ტოლსტოი ძალზე შეწუხებული და დადიანის ქვრივისთვის გაუგზავნია ღრმა თანაგრძნობით აღსავსე წერილი.

ლევ ტოლსტოის ეთიკურ მოძღვრებას ერთი პერიოდი იზიარებდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე **არჩილ ჯორჯაძეც**. ლონდონის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს, იგი გარკვეული დროის განმავლობაში ტოლსტოველთა კოლონიაში ცხოვრობდა. სწორედ მაშინ არჩილ ჯორჯაძე „ახლოს გაეცნო ალორძინებული კვაკერების მოძრაობასა და მოძღვრებას, აღწერა ყოველივე და დაბეჭდა ჟურნალში „სევერნი ვესტნიკ“. ამ სტატიას დიდი ყურადღება მიაქცია ლევ ტოლსტოიმ და არჩილს დაავალა, შეხვედროდა დუხობორებს უცხოეთში, ხელი შეეწყო მათი ამერიკაში გადასახლებისთვის“ (ვ. შუბითიძე, „სამშობლოს სიყვარულში ჩაფერვლილი დიდი ქართველი“. ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“, 2011 წ., №5, გვ. 4).

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ლევ ტოლსტოიმ სრული ნდობა გამოუცხადა არჩილ ჯორჯაძეს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი ქართველი მეგობარი მთელი პასუხისმგებლობითა და მონდომებით შეეცდებოდა მისი დავალების შესრულებას.

ლევ ტოლსტოი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ ახალგაზრდებში. მას განსაკუთრებით ბევრი თავყვანისმცემელი ჰყავდა ქართველ სტუდენტებს შორის, რომლებიც, ძირითადად, სწავლობდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში. ბევრ მათგანს არა მარტო მიმონერა აკავშირებდა დიდ მწერალთან, არამედ პირადი ურთიერთობებიც. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ლევ ნიკოლოზის ძეს საერთო ნაცნობების ოჯახებში. **ქართველ**

სტუდენტებს მიაჩნდათ, რომ იმდროინდელ მსოფლიო ლიტერატურაში არ იყო ლევ ტოლსტოიზე დიდი მწერალი, რომ იგი უქურვარსკვლავი იყო, რომელიც ყველაზე მეტად ანათებდა.

ძალზე შთამბეჭდავია „საყვარელი ხალხის“ მხატვრულ-ლიტერატურული სამყაროს დიდი წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას მიერ ლევ ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების შეფასება.

ი. ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ დიდ ადგილს უთმობდა ლევ ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვას. ქართველი შემოქმედი აფასებდა ლევ ტოლსტოის, როგორც დიდ ჰუმანისტს, თვითმპყრობელური წყობილების დაუნდობელ მამხილებელს, თუმცა არ იზიარებდა ლევ ტოლსტოის თეორიას ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუნწელობასთან დაკავშირებით. ამას ადასტურებს გაზეთ „ივერიაში“ (1892 წელი, №205) ი. ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი სტატია ლევ ტოლსტოის შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

აკაკი წერეთელი ხედავდა ლევ ტოლსტოიში არა მარტო დიდ მხატვარ-შემოქმედს, არამედ თავდაუზოგავ მებრძოლს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, გურჯაანის მამაშულ-მამაშულური წყობის კრიტიკოსს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მტერს, რომელიც ქადაგებდა ერთობას, თანასწორობას, სიყვარულს; მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ აკაკი წერეთელი, ბევრი ქართველი მოაზროვნის მსგავსად, არ იზიარებდა ლევ ტოლსტოის მოძღვრებას ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუნწელობის შესახებ.

900-იან წლებში რუსეთის ფართო საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლევ ტოლსტოის პედაგოგიური იდეები. ამავე წლებში დიდი რუსი მწერლისა და ჰუმანისტის პედა-



გოგოური მოძღვრება საკმაოდ მხარდაჭერით სარგებლობდა საქართველოშიც, რამაც დიდი როლი ითამაშა ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ქართული პედაგოგიური ყურნალი „განათლება“ დიდ ადგილს უთმობდა ანალიტიკურ სტატიებს ლევ ტოლსტოის პედაგოგიური შეხედულებების შესახებ. ამით ყურნალი მოუწოდებდა მასწავლებლებს, ყურადღება მიექციათ დიდი მწერლის რჩევებისთვის — მიეცათ ბავშვებისთვის თავისუფალი შემოქმედების საშუალება, დაეკავშირებინათ სასწავლებლები მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის.

ლევ ტოლსტოის ლიტერატურული და პედაგოგიური მემკვიდრეობა უნარიანად გამოიყენა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა.

იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა, ლევ ტოლსტოის მსგავსად, შეექმნა ნამდვილი სახალხო სკოლები, სადაც აღიზრდებოდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მისი სახელმძღვანელოები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, ისევე, როგორც ლევ ტოლსტოის „ანბანი“ და „ახალი ანბანი“ („Азбука“, „Новая азбука“). რუსი მწერლის მოთხრობები „ანბანიდან“ და „ახალი ანბანიდან“ ი. გოგებაშვილმა გამოიყენა სახელმძღვანელოში „Русское слово“. მასში მან განათავსა ლევ ტოლსტოის 36 მოთხრობა.

ვაჟა-ფშაველას დასავლეთეუროპელ და რუს მწერალთა შორის, ყველაზე მეტად ლევ ტოლსტოი უყვარდა. მან ეს სიყვარული გამოხატა ლექსში „ტოლსტოის გარდაცვალებაზე“. პოეტის აზრით, ლევ ტოლსტოი გენიოსია, რომ ასეთები იშვიათად იბადებიან, ამიტომ კაცობრიობას დიდხანს მოუწევს ლოდინი იმისათვის, რომ მას ასეთი მზე კიდევ ამოუბრწყინდეს.

ქართულ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა

ლევ ტოლსტოის დრამატული ნაწარმოებები. მისი საუკეთესო პიესები ითარგმნებოდა და იდგმებოდა, ძირითადად, თბილისისა და ქუთაისის თეატრების სცენებზე 90-იანი წლების დასაწყისიდან.

1908 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ლევ ტოლსტოის პიესა „მეუფეა წყვიადისა“ („Власть тьмы“). პიესა თარგმნა ქართული ლიტერატურის ცნობილმა მოღვაწემ დ. მიქელაძემ (მეველე). ამის შესახებ მან წერილი მისწერა ლევ ტოლსტოის და თარგმანთან ერთად გაუგზავნა.

1911 წელს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ლევ ტოლსტოის საუკეთესო დრამა „ცოცხალი ლეში“ („Живой труп“). პიესა თარგმნა გ. ახალციხელმა (გ. სალარიძემ). იმავე წელს პიესა დაიდგა ქუთაისის დრამატული თეატრის სცენაზე, რომელმაც მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა. სპექტაკლს გამოეხმაურა გაზეთი „მნათობი“. მან ვრცელი, დადებითი რეცენზია მიუძღვნა სპექტაკლს. შემდგომში აღნიშნული პიესა წარმატებით იდგმებოდა თბილისის ქართული და რუსული თეატრების სცენებზე.

1910 წლის 7 ნოემბერს ქუთაისის თეატრმა მოაწყო მწერლის ხსოვნის საღამო. მასში მონაწილეობდნენ გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები: ნ. ჩხეიძე, შ. დადიანი, ა. იმედაშვილი. იმავე 1910 წლის 26 ნოემბერს ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო საღამო-სპექტაკლი ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მიუძღვნა ლევ ტოლსტოის ხსოვნას. წარმოდგენილ იქნა „მეუფეა წყვიადისა“. სულ მალე ქუთაისის დრამატულ თეატრში ნაჩვენები იქნა შალვა დადიანის მიერ ლევ ტოლსტოის რომან „აღდგომის“ ინსცენირება.

მე-20 საუკუნის 20-30 წლებიდან საქართველოში დიდი ენთუზიაზმით ითარგმნებოდა ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „აღდგომა“, „კრეიცერის სონატა“, „ჰახი-მუ-

რავი“ და სხვა ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოები.

1978 წელს მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ, მათ შორის ქართველმა ხალხმაც, დიდი ზემოთ აღნიშნა ლევ ტოლსტოის დაბადებიდან 150 წლისთავი.

1993 წლის აპრილში მოსკოვის გაზეთ „Литературная газета“-ში დაიბეჭდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნარკვევი „О Льве Толстом“, ხოლო მოგვიანებით, გამოქვეყნდა მისი ქართული თარგმანი სახელწოდებით „ლევ ტოლსტოი“ (გაზეთი „აისი“, 2006 წელი, 1 ოქტომბერი).

ზ. გამსახურდია აღნიშნულ ნაშრომში ლევ ტოლსტოის მოღვაწეობის მნიშვნელოვან მხარეებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გენიალურ შემოქმედს, როგორც თავისუფალი სულიერი სამყაროს მძებნელ ადამიანს. ნარკვევის ავტორი აღნიშნავს: **„ლევ ტოლსტოი — მებრძოლი გიგანტი! იგი წარმოადგენს კაცობრიობის სულიერი მონათესაის სიღრმისა და სიყვარულის უზღვეველ საფუძვლად. მისი უცხადებლად უფიქროსი, რელიგიისა და ეთიკის ტრადიციულ გაგებას და ქმნის ახალ, ზენაციონალურ, ზოგადსააქცოვრიო კრიტიკულ რეალობას და ეთიკის უდიდესი პრატიკოსია, სულის პრატიკოსია“.**

დიდი რუსი მწერლის მოღვაწეობის ზემოაღნიშნული ასპექტის შეფასებით, ზვიად გამსახურდიამ ერთხელ კიდევ შეახსენა კაცობრიობას, რომ **„ლევ ტოლსტოი მსოფლიო კულტურის გიგანტია, მისი ჩაუქრობელი ვარსკვლავი“.**

სესილი ხევისურიანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი



მეცნიერების სალკაული ღარბები XVIII საუკუნის თბილისში

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენის გამო ტექნიკური, გამოყენებითი მეცნიერებანი სუსტად ან სულ არ იყო განვითარებული.

მათემატიკის სახელმძღვანელოები, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული, რუსეთის ქართულ კოლონიებშია თარგმნილი და თბილისში გამოგზავნილი, ისიც XVIII საუკუნის მიწურულს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ფიზიკის ცოდნის გავრცელება ანტონ I-ის სახელთანა დაკავშირებული. მან 1772 წ. რუსეთში ყოფნისას ლომონოსოვის სეული რუსული თარგმანიდან ქართულად თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსის **ქრისტიან ვოლფის ვრცელი ნაშრომი**, რომლის ცალკეულ ნაწილებს შეადგენდა **„ექსპერიმენტული ფიზიკა“** და **„თეორიული ფიზიკა“**. თბილისში დაბრუნებულმა ანტონმა ვოლფის თხზულებების თარგმანი გაამრავლებინა და თბილისისა და თელავის სემინარიებში საძელმძღვანელოდ დააწესა. თბილისის სემინარიაში ფიზიკის კურსს თვით ანტონი კითხულობდა. ვოლფის „ფიზიკა“ ანტონ I-მა შეავსო სხვა ფიზიკოსთან ნაშრომებიდან და საკუთარი მოსაზრებანი და შენიშვნები დაურთო.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ფართოდ გაიშალა მუშაობა ფილოსოფიაში. ფილოსოფიის ცოდნა განსწავლულობის საზომად იყო მიღებული. მაშინდელ ქართველ ფილოსოფოსთა საქმიანობის შინაარსს შეადგენდა ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიური ნააზრევის შესწავლა-კომენტირება. ფილოსოფიური შემოქმედება შეფერხებული იყო ორი გარემოებით: 1. ქართველთათვის უცნობი, მიუწვდომელი რჩებოდა იმდროინდელი ევროპის ფილოსოფიურ აზროვნებაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი ძვრები და 2. ფილოსოფია მკაცრი საეკლესიო ცენზურის მეთვალყურეობით ვითარდებოდა.

ფილოსოფიური ცოდნისა და განათლების ცენტრად საქართველოში თბილისი რჩებოდა. აქ იყო (1755

წლიდან) „სემინარია ფილოსოფიისა“ და აქვე მოღვაწეობდნენ ღრმად განსწავლული ფილოსოფოსები: ანტონ I, იუსტიანე მაღალაშვილი, მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი, იოანე ორბელიანი, ტიმოთე და ზაქარია გაბაშვილები და სხვანი, რომელთაც სამეცნიერო-შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ თბილისელ სომეხ ფილოსოფოსებთან — ფილიპე ყაითმაზაშვილსა და ზაქარია გაბაშვილები და სხვანი, რომელთაც სამეცნიერო-შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ თბილისელ სომეხ ფილოსოფოსებთან — ფილიპე ყაითმაზაშვილსა და ზაქარია მაღინაშვილთან.

ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართულ ენაზე ითარგმნა არისტოტელეს, პორფირი ტირელისა და სხვა ძველ ფილოსოფოსთა ნაშრომები. ფილოსოფოსთა საქმიანობას სათავეში ანტონ I ედგა. მან ჯერ კიდევ 1752 წ. შექმნა ვრცელი ნაშრომი „სპეკალი“ („ძვირფასი ქვების კრებული“), რომელშიაც ორიგინალური ფორმით იყო გადმოცემული და კომენტარებული არისტოტელეს, პლატონის, პროკლეს, ალბერტ დიდის, იოანე სკოტ ერიუგენას, იოანე დამასკელის, სიმეონ ჯულფელის, იოანე პეტრინის და სხვათა ფილოსოფიური ნააზრევი. ანტონმა თარგმნა ან გადმოაკეთა რამდენიმე ფილოსოფიური ნაშრომი და შექმნა ორიგინალური თხზულებანი თბილისისა და თელავის სემინარიებში ფილოსოფიის შემსწავლელთა სახელმძღვანელოდ.

XVIII ს. 60-70-იან წლებში თბილისის სწავლული საზოგადოება ანტონის საშუალებით გაეცნო მ. ლომონოსოვისა და გერმანელი ფილო-

სოფოსების — ქრ. ვოლფისა და ფ. ბაუმისტერის ნაშრომებს, რომელთა თარგმანებაც ანტონმა ვრცელი საყურადღებო კომენტარები დაურთო. ამ ნაშრომებში ახალი არაფერი იყო, — მათში სისტემაში იყო მოყვანილი კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ანტონისათვის აშკარა გახდა სქოლასტიკური ფილოსოფიის ნაკლოვანებანი, იგი ბოლომდე სქოლასტიკის თვალსაზრისზე დარჩა და ამაოდ ცდილობდა თეოლოგიისა და ფილოსოფიის შერიგებას.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში კლასიკური ფილოსოფიის ცოდნა ხელმისაწვდომი გახდა შედარებით ფართო წრისათვის: ფილოსოფიას, სემინარიის გარდა, ზოგიერთ სასულიერო თუ საერო სკოლაშიაც ასწავლიდნენ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკის შესასწავლად. XVIII ს. მიწურულს ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს ქმნიდნენ იოანე და დავით ბატონიშვილები. ქართული ენის გრამატიკას იკვლევდა ანტონ I. მან ორჯერ — 1753 და 1767 წლებში შეადგინა ქართული ენის გრამატიკის მოკლე და ვრცელი სახელმძღვანელოები. XVIII-XIX სს. მიჯნაზე შეიქმნა გაიოზ რექტორის, დავით ბატონიშვილისა და სხვათა გრამატიკული ნაშრომებებიც.

XVIII ს. თბილისში მოღვაწეობდნენ მეფის კარის ისტორიკოსები: სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე. სეხნია ჩხეიძემ თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა“ აღწერა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორია ვახტანგ V-ის გამეფებიდან 1739 წლამდე. პ. ორბელიანმა ნაშრომში „ამბავნი ქართლისანი“ აღწერა ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორია 1739-1758 წლებისა. ომან ხერხეულიძის თხზულებაში „მეფობა ირაკლი მეორისა“ აღწერილია 1722-



1780-იანი წლების ამბები. სამივე ეს ნაწარმოები უაღრესად სანდო საისტორიო წყაროა. საქართველოს ისტორიას იკვლევდნენ დავით და იოანე ბატონიშვილებიც. **თბილისში შეიქმნა საყურადღებო ლიტერატურულ-საისტორიო წყაროები — იესე ოსეს-ძისა და იოანე ქართველიშვილის მემუარები.**

ქართველ სწავლულებს აინტერესებდათ უცხო ქვეყნების ისტორიაც. XVIII ს. თბილისში ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა ძველი ქვეყნებისა და ევროპის ისტორიის ნარკვევები (გ. კურასის, რ. ოსტრატოს, შ. როლენის და სხვათა ნაშრომები).

თბილისშივე შეიქმნა ტიმოთე გაბაშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულება „მიმოსვლა“, რომელიც უაღრესად საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVIII ს. შუა წლების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. XVIII ს. 70-იან წლებში დავით რექტორმა რუსეთის მთავრობის თხოვნით შეადგინა საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა. ჩვენს სიძველეთა საცავებში ინახება XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში თარგმნილი რამდენიმე გეოგრაფიული თხზულება.

მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა, შეიქმნა რამდენიმე მეტად საყურადღებო იურიდიული ძეგლი — დავით და იოანე ბატონიშვილების საკანონმდებლო პროექტები, რომლებშიაც აირეკლა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა იურიდიული ცოდნის მაღალი დონე.

საკმაოდ სრულ წარმოდგენას XVIII ს. მიწურულის თბილისის ქართველი საზოგადოების მეცნიერული ცოდნის მოცულობასა და დონეზე გვიქმნის **იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა“**, რომელიც XIX ს. პირველ მეოთხედშია შექმნილი. ამ ნაწარმოებში მოცემულია ცნობები ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, თეოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკის, ლოგიკის, გრამატიკის, მეტეოროლოგიის, მითოლოგიის, მედიცინის, პოეტიკის, გეოგრაფიის, ჰერალდიკის, ბუნებისმეტყველების, მინერალოგიის, ხელოვნების, მუსიკის, ნავიგაციის, კომერციის და სხვა დარგების შესახებ.



დიდი ნაწილი ამ ცნობებისა, როგორც „კალმასობის“ ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, კარგად იყო ცნობილი XVIII ს. მიწურულის განათლებული ქართველობისათვის.

საბარაო კულტურულ-სამეცნიერო კონტაქტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII ს. 40-იანი წლებიდან საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში აშკარად გამოიკვეთა მიბრუნება ევროპული სამყაროსაკენ. ევროპის მიღწევების გაცნობას ქართველები საქართველოშივე მყოფი ევროპელების ან პეტერბურგისა და მოსკოვის ქართული კოლონიების საშუალებით ახერხებდნენ.

XVIII ს. თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ ევროპელი კათოლიკე მისიონერები, რომლებიც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ევროპელი საერო პირები თბილისში მეტწილად რუსეთის გზით მოდიოდნენ. 1768-1774 წლებში რუსეთის მთავრობის დავალებით, სამხედრო-ეკონომიკური დაზვერვის მიზნით, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ი. გიულდენშტედტი 1771-1772 წლებში საქართველოში იმყოფებოდა. მას მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა ქართველ სწავლულებთან.

1774-1783 წწ. თბილისში იმყოფებოდა რუსეთის პოლიტიკური წარმომადგენელი, გერმანელი (ავსტრიიდან) **იაკობ რაინეგსი**, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თბილისის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. რაინეგსი გერმანულ ენას ასწავლიდა პატრების სკოლაში. მან თბილისში გახსნა სამედიცინო სასწავლებელი და ე.წ. საბატონიშვილო სკოლა. იგი ქართველ სამხედრო პირებს ასწავლიდა საარტილერიო საქმეს და იყო დავით ბატონიშვილის ერთ-ერთი მასწავლებელიც.

80-იან წლებში დავით ბატონიშვილის მასწავლებლად რუსეთიდან მოწვეული იყო გერმანელი (ავსტრიიდან) **გეტინგი**; იგი, როგორც ჩანს, იოანე ბატონიშვილსაც ასწავლიდა.

„ევროპეიზაციის“ ერეკლესული პოლიტიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია 1781 წ. ერეკლე II-ისა და ი. რაინეგსის მიერ ცნობილი ავსტრიელი კამერალისტის (სახელმწიფო მეურნეობის მართვის სპეციალისტის) იოზეფ ზონენფელსის (1733-1817 წწ.) ნაშრომის „საპოლიციო, სავაჭრო და საფინანსო მეცნიერების საფუძვლების“ ნაწილის თარგმნა, რომელიც დაიბეჭდა თბილისის სტამბაში. ზონენფელსი განათლებული აბსოლუტიზმისა და მერკანტილიზმის მქადაგებელი იყო. მას საჭიროდ მიაჩნდა ბატონყმობის გაუქმება, ფეოდალური პრი-



ვილგეების მოსპობა, სახელმწიფო მინების გლეხებისთვის დანაწილება, მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფო საბაჟოების დანესება, მოსახლეობის გამრავლებაზე ზრუნვა, დაუმუშავებელი მინების ათვისება, განათლების განვითარება, სასტიკი სასჯელების გაუქმება და ა.შ. ერთი ცნობით, ერეკლე II-ს განზრახული ჰქონია ზონენფელსის მოძღვრების, ნაწილობრივ მაინც, პრაქტიკულად განხორციელება. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს იმ იდეურ-პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც XVIII ს. 80-იანი წლების თბილისში არსებობდა.

ქართველები დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ დროისათვის მოწინავე ევროპული კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისადმი. **1783 წელს კახი მონგოლზიების საჰაერო პურით გაფრანგ საქართველოში ისეთი დაინტერესება გამოიწვია, რომ 1785 წ. ერეკლე II-ის დაკვეთით ითარგმნა ამ გაფრანგის შესახებ ვენციანი გამოცემული წიგნი.**

ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XVIII ს. მიწურულს განათლებულ საზოგადოებაში ცნობილი და პოპულარული გახდა ფრანგ განმანათლებელთა იდეები. ამას ძირითადად ხელი შეუწყო იმ დროს

თბილისში პარიზის აკადემიის ენციკლოპედიის გამოჩენამ, რომელშიც თავმოყრილი იყო ფრანგ განმანათლებელთა ნაზრევი. განმანათლებელთა იდეები, კერძოდ, მონტესკიეს შეხედულებანი სახელმწიფო მმართველობასა და განათლებულ აბსოლუტიზმზე, ასახული იყო ალექსანდრე ამილახვრის სოციალურ-პოლიტიკურ ტრაქტატში „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (დაინერა დაახლ. 1780 წ.). მაშინდელ ევროპაში განათლებული აბსოლუტიზმის მომხრე სწავლულები სპეციალურ ნაშრომებს — „ხელმწიფეთა სახელმძღვანელოებს“ ქმნიდნენ მონარქებისათვის. სწორედ ასეთი „სახელმძღვანელო ხელმწიფისათვის“ იყო სოლომონ I-ისადმი მიძღვნილი „ბრძენი აღმოსავლეთისა“.


რუსეთიდან დაბრუნებულმა დავით ბატონიშვილმა თბილისში ჩამოიტანა და თავის ოთახში დაკიდა ვოლტერის სურათი. დავითი ვოლტერის ნაწერების გავლენით საეკლესიო წესების შესრულებას გაურბოდა. როცა გიორგი XII-მ მას ვოლტერის იდეების უარყოფა უბრძანა, დავითმა უარით უპასუხა. მაშინ განრისხებულმა მეფემ მსახურები გაგზავნა და ვოლტერის სურათი ცეცხლში დაანვევინა. „ვოლტერის მონაფედ“ იხსენიება თელავის სემინარიაში გაზრდილი **დავით ესტატეს ძე ციციშვილი.**

ყოველივე ზემოთქმული იმის დამადასტურებელია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისის ქართველი მოსახლეობის იდეურ-კულტურული ორიენტაცია ევროპისაკენ იყო მიმართული. ამის გამო დღითიდღე უფრო ღრმავდებოდა ის წინააღმდეგობა, რაც საქართველოსა და მის მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროს შორის არსებობდა როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში. თბილისის იდეურ-პოლიტიკური სიტუაცია გადამწყვეტ გავლენას ახდენდა მთელ საქართველოზე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი იმ ძირითადი ფაქტორთაგანი, რამაც საქართველოს შემდგომი ბედი განაპირობა.

ლიტერატურა

ლიტერატურული საქმიანობა თბილისში კვლავ გამოცოცხლდა XVIII ს. 50-იანი წლებიდან, როცა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ირანის ხელქვეითობიდან გამოვიდა და ქალაქში შემოქმედებითი საქმიანობის პირობები და განწყობილება გაჩნდა. ცნობილია, თურა დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია ქართლისა და კახეთის ტახტზე ქრისტიანი მეფეების ასვლამ. მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია, ერთბაშად გამოცოცხლდა. მელექსეობა მოდად იქცა. ძველი თბილისის ლიტერატურის მკვლევარს ი. გრიშაშვილს XVIII-XIX სს. მიჯნის თბილისში ლიტერატურის სარბიელზე მოღვაწე 50-მდე პირი ჰყავს დაძებნილი. მისი სიტყვით: „ეს მწერლები, რომლებიც ლექსაობდნენ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულში და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, გადარეულნი იყვნენ ანბანთქებით, მუხამბაზებით და მაჯამებით“, მაგრამ მათი ნაწერები დაბალხარისხოვანი და ერთმეორის მსგავსი იყო. XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისი პოეტთა ქალაქი იყო, მაგრამ იმდროინდელი პოეზია, იშვიათი გამოჩაქისის გარდა, მაღალი მხატვრული დონით არ გამოირჩეოდა.

XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მკაცრი სასულიერო ცენზურა არსებობდა, მაგრამ იგი ძირითადად ნაბაჟდ პროღუძციაზე ახდენდა გავლენას. ამავე ეპოქისათვის



ვახტანგ VI-ის ძიების წიგნის ორი გვერდი



დამახასიათებელია, აგრეთვე, ბრძოლა ე. წ. „მაღალი სტილის“ დამკვიდრებისათვის. საქართველოში საერო მწერლობის ტრადიციები ისე ძლიერი იყო (ეს მწერლობა ხალხისათვის გასაგებ ენას იყენებდა), განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობის შემდეგ (ამ სკოლიდან გამოვიდა დავით გურამიშვილი), რომ „მაღალი სტილი“ — „ძველი ქართულის თავისებური სუროგატი — ენა დაღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღებებით მდიდარი, ზმნებით ლარიბი, გასაგებად ძნელი“, ძირითადად მხოლოდ სასულიერო მწერლობაში დამკვიდრდა; საერო მწერლობაზე მისი გავლენა მეტად უმნიშვნელო იყო, თუმცა ცალკეული მიმდევრები „მაღალ სტილს“ აქაც გაუჩნდა. მის დიდ გავლენას განიცდიდა ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). თბილისში მოღვაწე საერო მწერალთა შემოქმედებაზე „მაღალი სტილის“ გავლენა დიდად შეამცირა ქალაქის მოსახლეობის ეროვნულმა, სარწმუნოებრივმა და სოციალურმა სიჭრელემ, ქალაქური ქართული ხალხურენოვანი ფოლკლორის ძლიერებაში. ასეთ ვითარებაში პოპულარული ვერ გახდა და ხელნაწერ ფოლიანტებში იკარგებოდა დრომოჭმული ფორმითა და არქაიზებული სტილით შექმნილი თხზულებანი.

დრომოჭმული სტილით წერდნენ სახოტბო ლექსებს, წმინდანთა, მეფეთა და უფლისწულთა მაღალფარდოვან შესხმებს დავით რექტორი, ამბროსი ნილკნელი და სხვანი, ძირითადად — სასულიერო პირები.

იმდროინდელ თბილისში ფართოდ გაშლილ საერო ლიტერატურულ შემოქმედებას აღმოსავლური, ძირითადად, ირანული გავლენის დალი ესვა. გავრცელებული იყო სპარსული, კლასიკური ხანისა თუ თანადროული, სიუჟეტები, ლექსის ფორმები (მუხამბაზი, მუსტაზადი და სხვ.), ოსმალური ბაიათი. მაშინდელ ქართველებს „ამგვარი ლექსები უწერიან სპარსულის და ოსმალურის სიმღერების ხმის მიხედვით და ამის გამო იმ ლექსებსაც სამღერელ სახელებით იხსენიებდნენ“. გ. ლეონიძემ სწორად შე-

ნიშნა, რომ ბესიკის ლირიკული ლექსები სიმღერები იყო. იოანე ბატონიშვილის სიტყვათა ცეს ლექსები იყო „სიმღერის ლექსები“, „სპარსთა ხმასა ზედა სამღერელი ქართულისა ენითა“. მისივე სიტყვით, ერეკლე ერეკლე II-ის დროს თბილისში „გახშირდა სპარსთა ხმების საკრავნი და სიმღერანი და ამის მიბაძვით ეცადნენ რაოდენიმე გვამნი და გააკეთეს ქართულის ლექსებით ხმასა ზედა სპარსთასა და დაუკრევდიან ჩონგურთა და სხვათა საკრავთა ზედა და დაემღერებოდნენ, ხოლო პირველ შემომღებნი ამა ხმისანი ქართულად იყვნენ სომეხთა მოსაკრავნი“, ხოლო შემდეგ მათ ქართველებმაც მიჰბაძეს. რაკი ლექსები ამა თუ იმ სპარსულ კილოზე სასიმღეროდ იქმნებოდა, მათ ხშირად სათანადო განმარტებასაც ურთავდნენ: „თეჯლისი“, „რასტის გუშა“, „გულ ჰამანუმ — ჯამანუმის ხმა“, „სანსან სანისის ხმა“ და ა.შ. ასე წერდნენ არა მარტო საიათნოვა ან ბესიკი (ნაწილობრივ), არამედ ბატონიშვილები თუ სხვა წარჩინებულნიც, მაგ. ლევან ბატონიშვილს დაუწერია ლექსი „თახმისის ხმაზე“, მის დას — მარიამს — „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი“, ქეთევან ბატონიშვილს — „გაფი დუგაში სათქმელი“ და სხვა. სპარსულ კილოებზე შეთხზული ლექსების დიდ პოპულარობაზე მიგვიჩვენებს იოანე ბატონიშვილის მოწმობა — იოანე მათ „საამო ხმებს და ლექსებს“ უწოდებს. მუსიკა, რომლის თანხლებითაც ამ ლექსებს მღეროდნენ, „სპარსულ-არაბულ-ქართული“ იყო.

აღმოსავლური გავლენის შედეგი იყო XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში ე.წ. აშულური პოეზიის გაფორმება. სასიმღეროდ შეთხზული აშულური ლექსების ძირითადად ზეპირად ვრცელდებოდა, მაგრამ წერილობითი კრებულების სახითაც შემოინახა. თბილისელი აშულელები ჩვეულებრივ რამდენიმე ენაზე წერდნენ და მღეროდნენ.

თბილისში დროდადრო იმართებოდა აშულთა შეკრებანი, რომელშიც ადგილობრივ აშულელებთან ერთად ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული აშულელებიც მონაწილეობდნენ. „აშულეებმა ქართულ

მწერლობაში შემოიტანეს თბილისის ვაჭარ-ხელოსნური წრეების ენობრივი ჟანგონი, ბაზრების, სანვრილმანოებისა და მოედნების ლექსიკა, ვაჭარ-ხელოსანთა ქალაქური პროფესიული ტერმინოლოგია“. თბილისელ აშულთა შემოქმედებაში „არეულია არაბულ-სპარსული, ქართულ-სომხური ხმათა კილოვნება“, რის გამოც, როგორც სამართლიანად შენიშნა ი. გრიშაშვილმა, „აშულეები ქართველთა სიამაყენი არასოდეს არ იქნებიან“.

იმავე დროს თბილისში არსებობდა ეროვნული, ქართული ხალხური პოეზიაც, ტრადიციული და ლექსთწყობითა და ხალხური სიმღერის კილოსთან შეხამებული... უცხოური კილოები ქალაქის ვაჭრულ ფენას, „აღებ-მიცემის“ კაცებს ემსახურებოდა, ნაწილობრივ ქართული არისტოკრატის ზოგ წრესაც, ხალხური კილო კი ქალაქის მდაბიო მოსახლეობას.

XVIII ს. მიწურულის თბილისის ლიტერატურული იერისათვის დამახასიათებელი იყო მეტად მნიშვნელოვანი სიახლე — **ევროპული გავლენის შემოჭრა.** რუსეთთან გაცხოველებულ პოლიტიკურ კონტაქტებს გაცხოველებული კულტურული კონტაქტებიც მოჰყვა. ქართველები ევროპის ცივილიზაციის მიღწევებს რუსეთის გზით ეცნობოდნენ, ამის გამო რუსულის გავლენა დაეტყო ქართულ სალიტერატურო ენასა და ლიტერატურულ თემატიკასა და ჟანრებსაც. რუსულიდან ითარგმნებოდა როგორც ევროპელ, ისე რუს მწერალთა ნაწარმოებები. დავით ჩოლოყაშვილმა თარგმნა რასინის ტრაგედია „იფიგენია“, გიორგი ავალიშვილმა — ა.პ. სუმაროკოვის პიესები: „რქის მატარებელი მამაკაცი“, „დედა რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი“ და „მკვდართა უბნობა“; უცნობმა პირმა — სუმაროკოვის „ცრუ-დიმიტრი“. გ. ავალიშვილსვე უთარგმნია მ. შ. ხერასკოვის დრამატული ტრილოგია ანტიკურ თემებზე, აგრეთვე, ერაზმ როტერდამელის ოთხი ნაწარმოები. ერეკლე II-ის დროს ითარგმნა ჟან-ფრანსუა მარმონტელის „ველისარიონი“. თბილისელთათვის ცნობილი ხდებოდა რუსეთში მცხოვრებ ქართველთა მიერ თარგმნილი ისეთი ნაწარმოებები,



როგორც იყო მონტესკიესა და ვოლტერის თხზულებანი და ა.შ.

რაკი საერო მწერლობის ნიმუშები სტამბური წესით იშვიათად გამოიცემოდა, ისინი ძირითადად ხელნაწერი სახითა და ზეპირად ვრცელდებოდა. პოეტური ნაწარმოებების ნაწილი ექსპრომტად ითქმებოდა არისტოკრატთა თუ საშუალო ფენების თავშეყრა-მეჯლისების დროს. ასეთ თავყრილობებზე გავრცელებული იყო ეპიგრამების, ზმებისა და პოეტური გაპაექრების ჟანრები.

ასე რთული და მრავალფეროვანი იყო XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისის ლიტერატურული ცხოვრება.

იმდროინდელ თბილისში მოღვაწე საერო მწერალთაგან შემოქმედების თემატიკითა და დონით მკვეთრად გამოირჩევა ორი პოეტი — ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი, 1750-1791, თბილისში მოღვაწეობდა 1778 წლამდე) და არუთინ საიათნოვა (გარდაიცვალა 1801 წ.).

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში მოღვაწე სხვა მწერალთაგან აღსანიშნავია დავით ორბელიანი, რომელმაც შეთხზა ფართოდ გავრცელებული სიმღერა „პირზედ გაქვს ხალი“ და სხვა ლექსები, პოეტი ქალი მანანა, მზეჭაბუკ ორბელიანი, „კატის ომის“ მთხვეელი ისაკ მცირე, სატირული ლექსებისა და მუხამბაზების მთხვეელი დავით რექტორი (ალექსიშვილი), „მოსტიხენი“; დავით ჩოლოყაშვილი, პეტრე ლარაძე, იოსებ გაბაშვილი, ბარძიმ ბარათაშვილი და „სხვანი ყმანვილინი კაცნი ქართველნიცა და სომეხნიცა“.

პოეტურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ სხვა ბატონიშვილებიც: ლევანი, დავით გიორგის ძე, მარიამ ერეკლეს ასული („ისეთი მოლექსე, რომ ამბობდნენ, — დიდის მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოჰყვა ამ ქალსაო“), ქეთევან და თეკლა ერეკლეს ასულები. ორიგინალურ თხზულებებს ქმნიდნენ: სოლომონ მესხიშვილი („დავით ბატონიშვილის შესხმა“, „ეტრფის მთიებსა“ და სხვ.), ეფრემ მესხიშვილი და სხვანი. მაღალმხატვრული „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარის ღირსისა“ (ერეკლე II-ის გლოვა) შექმნა სოლომონ ლეონიძემ.

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში გრძელდებოდა ქართული სასუ-

ლიერო მწერლობის ტრადიციები. უხვად იქმნებოდა მეტაფრასტული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. განსაკუთრებით ნაყოფიერად საქმიანობდა კათალიკოსი ანტონ I (1720-1788 წწ.), რომელმაც მრავალრიცხოვან თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაშრომებთან ერთად შექმნა ვრცელი „მარტირიკა“ — ქართველ მონამეთა ცხოვრების კომპენდიუმი, მანვე შეთხზა ვრცელი ორიგინალური ნაშრომი „წყობილსიცივაობა“ — პოეტური „სახელმძღვანელო საქართველოს გამოჩენილ მეფეთა და წმინდანთა ცხოვრება-წამებისა და ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობის გასაცნობად“, რომლითაც სკოლებსა და სემინარიებში ხელმძღვანელობდნენ.

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში შეიქმნა ორიგინალური სახის პროზაული ნაწარმოები — იესე ოსეს ძის (ბარათაშვილის) „ცხოვრება-ანდერძი“ — მემუარული ხასიათის ვრცელი თხზულება, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისთვის.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში გაცხოველებული და მრავალფეროვანი ლიტერატურული შემოქმედება იყო გაჩაღებული. ამ შემოქმედებისთვის, იშვიათ გამონაკლისს გარდა (ბესიკი) ნოვატორობა ან ორიგინალობა არ იყო დამახასიათებელი. ლიტერატურა, როგორც მანინდელი საზოგადოება, ძველისა და ახლის მიჯნაზე იდგა: ერთმანეთს ებრძოდა ძველი, დრომოჭმული, ჩამორჩენილი აღმოსავლური რუტინა და ახალი, მონინავე ევროპული ნაკადი. ამავე დროს გრძელდებოდა ძველი ეროვნული, ქართული ტრადიცია, რომესაც ევროპული განვითარების ტენდენცია სუსტად, მაგრამ მაინც ეტყობოდა.

სელოვნება

XVIII საუკუნის განმავლობაში, მით უფრო თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის დროს, თბილისში სამშენებლო ღონისძიებები უმეტესად სათავდაცვო ნაგებობათა აღდგენისაკენ იყო მიმართული. თვით ქალაქის

ხასიათისა და საცხოვრებელთა ხუროთმოძღვრებაზე, წინა ხანასთან შედარებით, პრინციპულად ახალი არაფერია სათქმელი. კვლავ წერილობითი ცნობების მიხედვით ვიცით, რომ სამეფო სასახლე წინანდელთან შედარებით ამ დროს გაზრდილი იყო, რამდენიმე კორპუსისგან შედგებოდა; ცალ-ცალკე იხსენიება მეფის, დედოფლის, ბატონიშვილის, აგრეთვე კათალიკოსის და რამდენიმე დიდი ფეოდალის სასახლეები — ყველა ანჩისხატის უბანში იყო თავმოყრილი — ეს იყო არისტოკრატული უბანი. სამუხაროდ, ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს მეფის სასახლისგან ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა (XIX ს. დასაწყისის ერთი ავტორის სიტყვით, ჭიშკრის გარდა აღარაფერი ჩანდა). ამ ხანას ეკუთვნოდა ზოგი ეკლესია (ქართული და სომხური), ამავე საუკუნეში ხელმეორედ აშენდა ქვაშვეთის ეკლესია (გივი ამილახორმა ააშენა), მეტეხის ციხიდან 1748 წელს სპარსელთა განდევნის შემდეგ შეკეთდა და ამოქმედდა დიდი ხნის წინათ მიტოვებული მეტეხის ეკლესიაც; ისანში კვლავ აშენდა დარეჯან დედოფლის სახლი, რომელიც დღესაც ჩიტის ბუდეცავეთ ჩანს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რიყის უბნის ზემოთ, ციცაბო კლდეზე დაკიდული. სამინიატურო მხატვრობა ამ დროს საბოლოოდ დაქვეითებულია, მაგრამ კალიგრაფიული ხელოვნება კვლავ მაღალ დონეზე დგას. მიუხედავად სტამბის დაარსებისა, ხელნაწერი წიგნი საქართველოში XIX ს. მდის ინარჩუნებს მნიშვნელობას.

XVIII ს. მიეკუთვნება ზემოთ უკვე მოხსენიებული ალექსი-მესხიშვილთა მოღვაწეობა. გვარის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოადგენლები იყვნენ: ანჩისხატის დეკანოზი ალექსი გრიგოლის ძე (XVIII ს. შუა ათეული წლები). იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მის შესახებ შემდეგია ნათქვამი: „ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი, სულიერი ანტონი კათალიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრული-სა, რომელიც ღირს ქებისა არის ნაწერებისაგან. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გადასწერნა“. ალექსის გადანერვილი სასულიერო და საერო შინაარსის



ნიგნები კარგად არის ცნობილი და მოწმობს, რომ მას სავსებით დამსახურებული ჰქონდა თავისი საქმის დიდი ოსტატის სახელი. განსაკუთრებით ლამაზია მისი ნუსხური ნაწერი. **ყველაზე მდიდრულად მორთული (ჩარჩოები, თავსაბკაულაბი, სლართული ასოები) მის წიგნთა შორის 1743 წელს კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზის შიკვითით გადაწერილი ოთხთავია. ბევრ მის წიგნს მინიატურებიც ახლავს. ასეთებია ჟამნი, წმინდანთა ცხოვრება, — ქართველ წმინდანთა 24 გამოსახულება, ოთხთავი, საბას ლექსიკონი საბას პორტრეტით.**

აღნიშნულ ნახატთაგან ზოგი ევროპული მხატვრობის გავლენას ამჟღავნებს — ეს უკვე წინა საუკუნის ქართულ მინიატურებშიც იყო შესამჩნევი, მაგრამ რეალისტური ევროპული მხატვრობის ფორმალური საშუალებები — პერსპექტივი, მოცულობის გადმოცემა და სხვ. — ალექსისთვის მაინც უცხოა. ამ მინიატურებს კულტურულ-ისტორიული ღირებულება უფრო აქვს (მით უფრო, პორტრეტებს), ვიდრე მხატვრული. პ. კარბელაშვილის ცნობით, ალექსი გარდაიცვალა 1766 წელს და ანჩისხატშივე დაუკრძალავთ.

სოლომონ ალექსის ძე (1742-1808 წწ.), რომელიც 1791-1808 წლებში აგრეთვე ანჩისხატის დეკანოზი იყო. იოანე ბატონიშვილი. კალმასობაში ალექსის ვაჟების შესახებ წერს: „ამათაც ისწავლეს ხუცურისა და მხედრულის წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლად არვინ თქულან უკეთესი ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა“. ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონის (გიორგი XII-ის ძის) ბიბლიოთეკის კატალოგში, რომელიც თეიმურაზისვე შედგენილია, სოლომონის მიერ გადაწერილი ერთი წიგნის შესახებ ნათქვამია: „...მრგვალის ხელით ესრეთი წერილი არის, რომელ დღესაც, რომელნიც ქართველთაგანნი წერის ხელოვნებაში ქებულნი არიან, ყოველთავე ასე უთქვამს და ასე იტყვიან, რომელ ეგევითარი მშვენიერი ხელით წერილი ძნელად შესაძლებელ არს, რომ დაწეროს ვისმე, რომელ-

ნიც რჩეულნი და ჩინებულნი მწერალნი არიან ანუ ყოფილანო“. სოლომონ ალექსი-მესხიშვილის ვირტუოზული დახელოვნების ბევრი ნიმუშის დასახელება შეიძლება, ერთი ამათგანია ვახუშტის საქართველოს ისტორია, 1787 წელს გადაწერილი, რომელიც ერთი ულამაზესი მხედრული წიგნთაგანია XVIII საუკუნეში.

ალექსის შვილია, აგრეთვე, **დავით რექტორი**, ქართული კულტურის ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, რომელიც მშვენიერი კალიგრაფიც იყო. ასევე სახელმძღვანელოა, როგორც კალიგრაფი, **მიქაძეთა გვარის წარმომადგენელი ნიკოლოზი, სიონის დეკანოზი (1720-1780),** რომელიც წიგნებს წერდა თეიმურაზ II-ის, ვახტანგ VI-ის სიძის, ანუკა ბატონიშვილის მეუღლის, ვახუშტი აბაშიძის, ანტონ კათალიკოსის, ეპისკოპოსთა და სხვათა შეკვეთით. ნიკოლოზს თავისი ვირტუოზული ოსტატობით თავი მოჰქონდა კიდევ. გიორგი XII-ის კონდაკის მინანქრში იგი ამბობს: **„მოიხსენათ, რომელ ერის გამომწერილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცივლია კალამი, და ჩვენა შამდგომად ვინც ეს ასე მწერლობა ეცადინოს, საქებალ იყავნო“. აი იოანე ბატონიშვილის აზრი მის შესახებ: იგი „იყო საღმრთო წერილში გამომცდილი, სუცურის ხელის მწერლობაში პირველი, რომელ ჯერათ არავინ ყოფილა ამისთანა მშვენიერის ხელით მწერალი. ვითარცა ესა და, აგრეთვე, ხელწამრთველი მშვენიერად“.**

XVIII ს-ის საუკეთესო ქართული ხელნაწერები მოწმობს ეროვნული ხელოვნების ამ დარგის დიდ სიმტკიცეს ამ გვიან ხანაშიაც. აქა-იქ მათს მორთულობას ირანული მოტივები მაინც ერევა, შესამჩნევია, აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ-ევროპული მოტივების შემოჭრაც. ეს არ არის შემთხვევითი. როგორც ცნობილია, რუსული და ევროპული კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესი, ევროპული და რუსული მწერლობისა და სწავლავანათლებულობისადმი მისწრაფება ერეკლე II-ის გარემოცვაში სრულიად ამკარა იყო. სრული დარწმუნებით ძნელი სათქმელია, ვისი შეს-

რულებულია საქართველოს მეფეთა ოჯახის წევრებისა და არისტოკრატის წარმომადგენელთა რეალისტური პორტრეტები XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს. დასაწყისისა (დარეჯან დედოფალი, „საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული თეკლა“, გარსევან ჭავჭავაძე და მისი მეუღლე), მაგრამ დამახასიათებელი ის არის, რომ ეს უკვე ევროპული ხასიათის პორტრეტებია, რაც ამკარად მოწმობს რადიკალურ ცვლილებებს ამდროინდელ გემოვნებასა და მოთხოვნილებაში, თვით კულტურულ დონეშიაც. გამოთქმულია მოსაზრება, ავტორები ქართველები იყვნენ, უკვე გაცნობილი რუსულ პორტრეტულ მხატვრობასო (საბუთებში იხსენიება ქართველი მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი, რომლის ნაწარმოებებს დარწმუნებით არ ვიცნობთ). როგორც არ უნდა იყოს პასუხი, უეჭველია, რომ ეს სამეფო კარის ახლებური ხელოვნებაა, რომელიც წინასწარ მოასწავებს ქართული მხატვრობის განვითარებას XIX საუკუნეში.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ საბუთები ადასტურებს ერეკლე II-ს დროს თბილისში მხატვრის — იონათან ოვნათანიანის მოღვაწეობას. საარქივო მასალებში აღმოჩნდა ცნობები ქართველ მხატვარ გეგელიძეთა მთელი დინასტიის შესახებაც — მისი უფროსი წარმომადგენლები პირველად სწორედ ერეკლეს დროს ჩნდებიან: ქრისტესია და დავით გეგელიძეები, ადრე დაობლებულნი, ერეკლესა და დარეჯანის კარზე აღუზრდათ და ხსენებულ იონათანისთვის მიუბარებიათ სასწავლად. მაგრამ გეგელიძეების ჩვენთვის ცნობილი ნამუშევრები უკვე XIX ს. მიეკუთვნება. დასასრულ, შეიძლება გავიხსენოთ პლატონ იოსელიანის მიერ მოტანილი ერთი ცნობაც: გიორგი XII-ის დროს თბილისში მოუწვევიათ ერთი გერმანელი ხუროთმოძღვარი, რომელსაც სასახლის პროექტი უნდა შეედგინა. მართალია, მისი მოღვაწეობის კვალი აღარსად ჩანს (ალბათ, ვერც ვერაფერი მოასწრო), მაგრამ თვით ეს ფაქტი, რომელიც ახალი დროის მიჯნას მიეკუთვნება, ნიშანდობლივია.

„თბილისის ისტორია“, ტ. I, გამომცემლობა „მერანი“, 1990 წ.



აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში

(XVI საუკუნის 70-იანი წლები-XIX საუკუნის 70-იანი წლები)

საქართველოს ეროვნულ-განმანათლებლებელ მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე 1877 წლის 28 აპრილის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ოსმალთა საქართველო“ წერდა:

„დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათ ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასო, რომ დღესაც ათსა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურათ ჯვარსაც იწერს ოსმალების იდუმალად თურმე .

XVI საუკუნის დასასრულს და XVII დასაწყისში ოსმალეთმა სამხრეთი საქართველო, რომელშიც აჭარაც შედიოდა, მიიტაცა და იქ თავისი მფლობელობა დაამყარა. დაიწყო „ოსმალთა“ პერიოდი, რომელიც მე-16 საუკუნის 70 წლებიდან მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე გრძელდებოდა. დამპყრობელმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა საქართველოს ამ მხარეში დამკვიდრებულ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ქართულ ენას, კულტურას, ზნე-ჩვეულებებს. ძალით, ცეცხლითა და მახვილით დაიწყო მაჰმადიანური სარწმუნოების შემოტანა-დამკვიდრება. იგი განსაკუთრებით ქრისტიანულ სარწმუნოებას ებრძოდა. თავის მხრივ, სამხრეთ საქართველოს ამ ძირძველი ქართული მხარის მოსახლეობა ძალ-ღონეს, სიცოცხლეს არ იშურებდა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, მაგრამ მტრის მრავალრიცხოვნებამ, სისასტიკემ და დაუნდობლობამ, აგრეთვე ამ მიმართებით მის მიერ მიზანმიმართულად გატარებულმა სხვა ღონისძიებებმა თავისი გაიტანა. ქრისტიანობა ძლეულ იქნა. მრავალი ქრისტიანული ტაძარი დაშლილი, განადგურებული იქნა ან მეჩეთად გა-

დაკეთდა. მხოლოდ ზოგიერთი ძლივს გადაურჩა მოძალადე მტრის და დროის ქარტყილს. ქრისტიანობა, რომელიც ადრე კერძოდ XVII საუკუნემდე ამ მხარეში სახელმწიფო რელიგია იყო XIX საუკუნისათვის ოსმალთა მოძალადეების სისასტიკის გამო მოსახლეობის ნაწილის მიერ მალულად აღევლინებოდა.

ქრისტიანობისა და მისი გადარჩენა-შემონახვისთვის დიდი ბრძოლა გასწია საქართველოს ძირძველმა და განუყოფელმა კუთხემ — აჭარამ, მისმა მოსახლეობამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო სისრულით დღემდე მაინც არ არის შესწავლილი.

1970-1980 წლებში რვა ტომად გამოიცა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. 2012 წელს 4 ტომად გამოიცა საქართველოს ისტორია. 2007, 2008, 2009 და 2012 წლებში გამოცემულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა 4 ტომად. ასევე 2012 წელს 4 ტომად გამოცემულია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია და სხვ., თუმცა, სამწუხაროდ, აჭარაში, ისევე, როგორც ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სხვა ძირძველ ქართულ მხარეებში, ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორია და ფაქტები აღნიშნულ ნაშრომებში მხოლოდ გაკვირვით ან საერთოდ არ არის ასახული. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დასაწყის ნაბიჯად მიმართა ნინამდებარე ნაშრომი, რაც თემის აქტუალობაზე მეტყველებს და მის მონოგრაფიულად შესწავლას საჭიროებს.

თავს კმაყოფილად ჩავთვლი, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად და ამ მეტად ისტორიული მნიშვნელობის მქონე თემის შესწავლა-წარმოჩენისათვის მცირე რამ თუ შევძელით.

საკვლევი თემის ირგვლივ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ქართველი ერის მოძღვრის — ი. ჭავჭავაძის ისეთ ფუნდამენტურ სტატიაში, როგორცაა „ოსმალთა საქართველო“, XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისი პერიოდის ქართველი და უცხოელი მოგზაურ-მკვლევართა დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, პ. უმიკაშვილის, თ. სახოკიას, ა. ფრენკელის, ე. თაყაიშვილის ნაშრომები. აღნიშნულ საკითხს თავიანთ შრომებში მეტ-ნაკლებად

ეხებიან, აგრეთვე, ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები და ფილოლოგები: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. იაშვილი, შ. მეგრელიძე, ხ. ახვლედიანი, ჯ. ნოღაიდელი, შ. ფუტყარაძე, ნ. შენგელია და სხვები. მათ ნაშრომებში სათანადოდაა გაანალიზებული ოსმალთა ბატონობის დამყარება სამხრეთ საქართველოს ძირძველ ქართულ მხარეებში და, მათ შორის, აჭარაში, ოსმა-

ლების დაუნდობელი ბრძოლა ამ მხარის მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმოსაფხვრისა და ძალადობრივი რეჟიმით ქრისტიანობის ნაცვლად მაჰმადიანური სარწმუნოების დანერგვა, რასაც აჭარის მოსახლეობის თავგანწირული წინააღმდეგობა მოჰყვა, მაგრამ მრავალრიცხოვანმა და ძლიერმა მტერმა მაინც იმძლავრა, ყოველი ღონე იხმარა აჭარაში ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად.



ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია დიდი ეროვნული მოღვაწის, მოგზაურის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ზ. ჭიჭინაძის სპეციალური ნაშრომი „ქართველების გამაჰმადიანება, ანუ გათათრება“, რომელიც 1915 წელს გამოიცა. მასში ცალკეულ პირთა მოგონებებსა და ფაქტებზე დაყრდნობით დეტალურადაა შესწავლილი ოსმალეთის მიერ მიტაცებულ მხარეებში და, მათ შორის, აჭარაში, მოსახლეობის მიერ ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის და საბოლოოდ იძულების გზით მისთვის უცხო სარწმუნოების-მაჰმადიანური სარწმუნოების მიღების ფაქტები. თუ არა ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი შრომა ქრისტიანობისთვის თავდადებული ბრძოლისა და თავგანწირვის ამსახველი ისეთი მნიშვნელოვანი მასალები და ფაქტები მომავალ თაობას არ გადმოეცემოდა. საკვლევი თემის ირგვლივ ასევე საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის სხვა ნაშრომებიც, მათ შორის „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთა საქართველოსი“ (1911წ), „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“ (1916წ). „მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ (1913წ.) და სხვები. ჩვენი საკვლევი თემა უმთავრესად სწორედ ზ. ჭიჭინაძის აღნიშნულ ნაშრომებს ემყარება.

ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისა და ოსმალთა ძალადობრივი რეჟიმის აჭარაში მაჰმადიანური სარწმუნოების დაწერგვის თაობაზე საყურადღებო მასალებს გვანვდის თავის ნაშრომებში ისტორიკოსი **ხარიტონ ახვლედიანი**.

აჭარაში ოსმალთა მფლობელობის დროს ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორია მოკლედ შესწავლილი აქვს ისტორიკოსსა და ჟურნალისტს **ი. ბეჭირიშვილს** ნაშრომში „ქრისტიანობა აჭარაში“ (1916წ).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის — კალისტრატეს „წერი-

ლი რედაქციის მიმართ“, რომელიც გაზეთ „კომუნისტი“ დაიბეჭდა 1946 წლის 8 იანვარს და აჭარაში „ოსმალბობის“ უარყოფით შედეგებს ეხება.

ზ. ჭიჭინაძის შემდგომ საკვლევი თემის სპეციალური შესწავლა და მით უმეტეს მონოგრაფიის გამოცემა არ მომხდარა. ამ მხრივ ქართული ისტორიოგრაფია ვალშია ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

აჭარა - ქრისტიანობის აკვანი საქართველოსი

საქართველოს ისტორიაში აჭარას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სწორედ ამ მხარიდან ჯერ კიდევ I საუკუნიდან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება წმინდა ანდრია მოციქულმა, აქედან მოეფინა ქრისტიანობა საქართველოს. საამისოდ უტყუარ ცნობას გვანვდის ლეონტი მროველი, რომელიც აღნიშნავს:

„მოვიდა... ანდრია ქალაქ ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი... და შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგება სახარებისა,...

შენვენითა ღრმთისათა და წმინდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინა, ვიდრემდის ყოველივე მოაქცია და მოიყვანა სარწმუნოებად. და დაადგინა მღვდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღური სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისასა“.

ამიტომაც სამართლიანად წერდა ი. ჭავჭავაძე: პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში (რომელშიც აჭარაც შედიოდა. — ა. დ.) მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთმსახურება სუფევდა.

IV საუკუნიდან (317 წ.) ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მას შემდეგ საქართველოს ამ ძირძ-

ველ კუთხეში ფართოდ დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა: აშენდა ეკლესიამონასტრები, განვითარდა ქრისტიანული კულტურა. ეს მნიშვნელოვანი პროცესი ოსმალთა დამპყრობლებმა შეაჩერეს, როცა აჭარაში თავიანთი ბარბაროსული ბატონობა დაამყარეს.

ოსმალთა ბატონობა

„ოსმალთა წესისა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ხოლო 8 წლის შემდეგ ტრაპიზონის საკეისრო შემუსრეს და უშუალოდ მოადგნენ საქართველოს სამხრეთ სამანებს. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „დაიპყრა ხონთქართებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა“. ისტორიკოს ზაზა შაშიკაძის გამოკვლევებით, აჭარის ხეობა 1561 წლიდან უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება და მასში ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყებს აარსებს და ახალციხის (ჩილდირის) ვილაეთს უერთებს. 1582 წელს აჭარა ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულ მანუჩარ II ათაბაგს მიემხრო. 1587 წელს ოსმალებმა აჭარა ხელახლა დაიპყრეს. 1609 წელს გურიელმა აჭარიდან ოსმალები გარეკა და ის გურიის სამთავროს შეუერთა, მაგრამ შემდგომში მათთან ომის გაგრძელება ვერ შეძლო და 1614 წელს გურიელი იძულებული გახდა აჭარა ოსმალეთისთვის დაეთმო. ასე დაასრულა ოსმალეთმა აჭარის დაპყრობა, აღწერეს ის და შეუდგნენ თავიანთი მმართველობის დანერგვას.

ეხება რა ოსმალთა ბატონობის დამკვიდრებას, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს: **ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი, მონაპირე კუ-**



თხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო, საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებია. ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კვლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფოდა. აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი წერდნენ: „თურქები... მხეცურად არაადამიანურად სდევდნენ ქართველი ხალხის წმინდათა-წმინდას-მის ენას, მის კანონებს და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურას და სარწმუნოებას, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს“.

„ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დამპყრობელთა მიერ შემოღებულ წესებს, ყოვლად უცხოს და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისათვის, უწოდა **ოსმალიზმი**, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა“, — წერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე 1946 წელს.

თურქებმა მის მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დაამყარეს.

ქრისტიანობისთვის ბრძოლა

„ქართული ქრისტიანობის გაქრობა, ქართული წყობილების მოშლა და მის ნაცვლად მაჰმადიანობისა და თურქობის დანერგვა, ქვეყნის დაცლა ყოველივე დოვლათისაგან და მისი გადაქცევა ტყვის მყიდველთა ველურ ბუნაგად, — ასეთი იყო ოსმალეთის „სახელმწიფოებრივი შემოქმედე-

ბის მიზნები მის მიერ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში“, — აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

ოსმალეთმა აჭარაში „მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი და მთელს მე-18 და მე-19 საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა“, — მიუთითებს აკად. ივ. ჯავახიშვილი.

როგორც პროფ. შ. მეგრელიძე მიუთითებს, „ოსმალეთის პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში აღმოეფხვრათ ქართული ზნე-ჩვეულებანი, რელიგია და სხვა; დაევიწყებინათ მშობლიური ქართული ენა და ყოველივე ქართული“. აჭარაში დღემდე შემონახული უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები: საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო (ეკლესიები) ნაგებობები და ასეთთა ნანგრევები, რომლებიც თავიანთი მაღალი ხელოვნებით ახლაც აკვირვებენ მნახველებს. და, რაღა თქმა უნდა, აჭარის მოსახლეობა ადვილად არ დათმობდა იმ კულტურას, რომელთანაც იგი საუკუნეებით იყო შეზრდილი. იგი არ თმობდა თავის ზნე-ჩვეულებებსა და ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხანგრძლივ და დიდ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. თურქი დამპყრობლები მაჰმადიანური რელიგიის გავრცელებისთვის, ხალხის ეკონომიკის მოშლისა და ფიზიკური მოსპობისთვის ცეცხლსა და მახვილს მიმართავდნენ.

ოსმალეთი ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენდნენ აჭარის ქრისტიანულ მოსახლეობაზე. ქრისტიანებს გადასახადს აწერდნენ ყოველგვარ უძრავ ქონებასა და შემოსავალზე. ამ მიზნით ოსმალეთმა სპეციალური გადასახადი — **ისფენჯი** დაანესეს.

ამრიგად, ისფენჯი იყო ქრისტიან მოსახლეობაზე განვიწყობილი გადასახადი, რომლის გადახდა ევალებოდა ზემო და ქვემო აჭარის მკვიდრთ. გადასახდს იხდიდნენ წელიწადში ერთხელ, ბუნებრივია, ამით ისინი დროებით ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას, — აღნიშნავს პროფ. ნ. შენგელია. ოსმალთა ხელისუფალთ ასევე სხვა მორწმუნე-

თათვის სპეციალური გადასახადი — „ზიმი“ ჰქონდათ დაწესებული.

ქრისტიანი მოსახლეობა მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მაჰმადიანური რელიგიის მიღებით კი დიდ პრივილეგიებს და ჯილდოს ღებულობდა. ქრისტიანს სიკვდილით დასჯა ელოდა უბრალო დანაშაულისათვის და მხოლოდ მაშინ ეპატიებოდა სასჯელი, თუ იგი გამუსლიმანდებოდა.

ქრისტიანობის მოსპობასა და ქართველი ხალხის ძალად გამუსლიმანების დამადასტურებელი მასალები საკმაოდ მოიპოვება. მაგალითად, ახალციხის მუზეუმის ხელწერათა ფონდში დაცულია მესხის (გვარამიძის) წერილი, რომელშიც ნათქვამია: „**რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოთქვას თვითეულნი იმ დროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი... ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზედ გაკრულს ბანრებით გუდათ იღებდნენ, ვის ნაკუნ-ნაკუნად სჭრიდნენ ხმლითა და ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურებზედ გაცმულს ცოცხალბერივ ცეცხლზედ მწვადივით სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულს საჯდომზედ ადებდნენ... რკინის სანჯავებით ხვრეტდნენ, ვის ადულებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყავს ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში ადებდნენ“ (ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, 1956 წ. გვ. 38-39).**

ქრისტიანობას არ თმობდნენ აჭარელნი.

ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი სათანადო გამოკვლევებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით სამართლიანად აღნიშნავს: „**აჭარის არც ერთი კუთხე არ გამუსლიმანებულა თავისი ნებით. ამას ადასტურებენ ისტორიული საბუთები და იმ დროის მომსწრენი“.**

დასასრული შედეგად ნომერში ავთანდილ ღიასაძე, დოქტორანტი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, იურისტი. შუახვევი, ბათუმი



თენგიზ ჩანტლაძე — 80

საქართველოში კარგად ახსოვთ 80-იან წლებში თბილისში, პლენანოვზე მდებარე „სატირისა და იუმორის თეატრი“ და მისი დამაარსებელი თენგიზ ჩანტლაძე, რომელსაც ალტაცებში მოჰყავდა მაცურებელი.



წელს საქართველოს სახალხო და დამსახურებული არტისტის, მინიატურების თეატრის დამაარსებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, მსახიობისა და რეჟისორის თენგიზ ჩანტლაძის დაბადებიდან 80 წელი შესრულდა. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი არაჩვეულებრივი პიროვნების საიუბილეო თარიღმა ასე ჩუმად ჩაიარა. ერთ-ერთ გამოცემაში წავიკითხე, მისი მეუღლე — ზაირა ჩანტლაძე წერდა, თენგიზის დაბადების დღე რომ ახლოვდებოდა კულტურის სამინისტროს მივმართე, მაგრამ თანხა, რომელიც სამინისტრომ საღამოს გასამართად გამოყო, იმდენად მიზეზი იყო, რომ ღონისძიება ვერ გაიმართებოდაო...

მახსენდება ერთ-ერთი გადაცემა, სადაც „კომედიშოუს“ „ხუმარა ბიჭებმა“ თქვეს, ხუმრობა და ასეთი ტიპის სკეტჩები ჩვენი მოგონილიაო. უკვე წლებია, ახალგაზრდები მარაზში გადაზრდილ ხუმრობებს ისმენენ. არავინ გამოჩნდა, „კომედი შოუს“ ავტორებისთვის

რომ ეთქვა, ხუმრობა თქვენი მოგონილი არ არის და რომ ქართველებს თენგიზ ჩანტლაძე გვყავდაო.

თენგიზ ჩანტლაძემ 1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 1957 წლიდან, მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადაზე კონფერანსიედ. 1960-1961 წლებში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი იყო, 1962 წლიდან კი ფილარმონიასთან დააარსა მინიატიურების თეატრი, რომლის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და წამყვანი მსახიობიც თავად გახლდათ. მოგვიანებით, მისი ინიციატივით, დასი ფილარმონიას გამოეყო და დამოუკიდებელ სახელმწიფო თეატრად ჩამოყალიბდა. 1975 წლიდან ბოლომდე მას თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის თეატრი ერქვა...

სატირისა და იუმორის უდიდესი მსახიობი თენგიზ ჩანტლაძე პატა-

რობაში სპექტაკლებს რომ დგამდა, ფარდის მაგივრობას ზენარი უწევდა. იმიტაციისა და იმპროვიზაციის საოცარი ნიჭი ჰქონდა. თავად წერდა, თავად დგამდა და თავადვე თამაშობდა.

მისი გარდასახვის დიდ უნარსა და სამსახიობო ტექნიკას არაერთი თეატრმცოდნე უსვამდა ხაზს. თენგიზ ჩანტლაძის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუარსაბ თათქარიძე, რომლის ფრაზებსაც დღემდე იხსენებს მაცურებელი, უნიკალურად, საოცრად შესრულებული როლი, ალბათ, ზუსტად, ჩანტლაძისეულად წარმოედგინა ილია ჭავჭავაძეს ეს გმირი, როდესაც მასზე წერდა. ანატოლი ნოვოსელცევი, ალფონსო, დონ ჟუანი, ვანო ხიმშიაშვილი, მილიციის უფროსი გვარამია, რომლის გახსენებამაც შეუძლებელია ღიმილი არ მოგვაროს. თენგიზ ჩანტლაძის მილიციელი ყველა დროში აქტუალურია. სამწუხაროა, რომ დღევანდელი ახალგაზრდები მას სრულყოფილად არ იცნობენ.

ალბათ, ყველას ახსოვს, როგორი ანშლავით მიმდინარეობდა სპექტაკლები, როდესაც თეატრი მუსკომედიის შენობაში გადავიდა. სულ გადაჭედელი იყო ათასორასკაციანი დარბაზი.

ბატონი თენგიზის სიცოცხლის ბოლო წელი მძიმე აღმოჩნდა მისთვის. 1988 წლის 7 სექტემბერს თეატრის ნგრევა დაიწყო. თენგიზ ჩანტლაძე შენობიდან არ გამოსულა, ესმოდა როგორ ანგრევდნენ პარტერს და იქვე გული გაუსკდა. ის თეატრს შეენირა.



თენგიზ ჩანტლაძე ლუარსაბ თათქარიძის როლში

ეკა ნასყიდაშვილი



ფოტოები არასოდეს ბერდება

დღევანდელი ჩვენი სტუმარი ცნობილი მხატვარი და მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი გახლავთ. თუ რა საინტერესო ფოტოებს გვინახავს მისი ფოტოალბომი, მოგახსენებთ:

პირველივე გვერდზე ბატონი მერაბის მშობლების — კონსტანტინე მერაბიშვილისა და სოფიო ნიკოლაიშვილის ფოტოები გვხვდება. ბატონი კონსტანტინე (კოტე) მერაბიშვილი, ასევე ცნობილი ქართველი მოქანდაკე და საზოგადო მოღვაწე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი გახლდათ. ის ნლების მანძილზე სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის დეკანიც იყო. ხატვისა და ძერწვის ნიჭი მომავალ მოქანდაკეს ადრეულ ბავშვობაში გამოუმჟღავნებია და ძალიანაც უყვარდა ეს საქმე. „აკადემიაში არ დავბადებულვარ, თორემ იქ გავიზარდე“, — ამბობს ბატონი მერაბი. ძალიან ამაყობს, რომ მისი ხატვის პედაგოგები დიდი ქართველი მხატვრები — სერგო ქობულაძე და იოსებ გაბაშვილი იყვნენ. პირველ კურსზე ქანდაკების პედაგოგი სილვა კაკაბაძე იყო, შემდეგ კი მამამისი — კონსტანტინე მერაბიშვილი.

ბატონი მერაბი ბევრ საინტერესო ამბავს იხსენებს, რომლებიც მის ახლო მეგობრებს უკავშირდება. მისი უახლოესი მეგობრები გივი



მერაბ მერაბიშვილი საკუთარ სახელოსნოში

აზმაიფარაშვილი და შოთა ჩერქეზიშვილი ყოფილან. აზმაიფარაშვილი ბატონი მერაბის თანაკლასელიც იყო და ერთხელ, მე-ნკლასში, მერაბს მისი პორტრეტი გაუკეთებია, შემდეგ ჩამოუსხამთ და თანაკლასელებისთვის უჩვენებიათ. ბავშვებს ძალიან მოსწონებიათ ბიუსტი და სკოლაში წაუღიათ მასწავლებლებისთვის საჩ-

ვენებლად. მათ კი ეს ჩინებული ნამუშევარი დირექტორისთვის შეუტანიათ. სკოლის დირექტორი ბატონი ალიომა ცინცაძე გახლდათ. აზმაიფარაშვილზე ოდნავ განაწყენებული ყოფილა მისი წარმოდგენილი სიცელქის გამო, წამომდგარა უცებ სავარძლიდან და ხმამაღლა უთქვამს: „კაცო, ამან მთელი სიცოცხლე გამიმწა-



მარცხნიდან პირველი მერაბ მერაბიშვილი, ცენტრში მსოფლიოში ცნობილი კარიკატურისტი ჰერლუპ ბიდსტრუპი ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად და აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ვლადიმერ ფილიას მეთაურობით.



რა და ახლა გინდათ, კაბინეტში მაგის ბიუსტი მედგას?“. შემდეგ კარგახანს ეს ამბავი ანეკდოტად დადიოდა სკოლაში.

ბატონი მერაბი სიყვარულით იხსენებს პიონერთა სასახლეში გატარებულ დღეებს, რომელმაც მრავალი საუკეთესო საზოგადო მოღვაწე აჩუქა საქართველოს და არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას. „პიონერთა სასახლე ნამდვილად იყო ახალგაზრდობის აკადემია“, — ამბობს იგი. სხვათა შორის მის ცხოვრებაში პირველი მნიშვნელოვანი კონკურსიც აქ ჩატარებულა. არავის სჯეროდა სტალინის ბიუსტი თუ მისი გაკეთებული იყო. ეგონათ, ბატონი კოტე დაეხმარა, მაგრამ, როცა დააკვირდნენ გამოცდილი ადამიანები, შეამჩნიეს, რომ სტალინს კისერი ცოტა გვერდზე ჰქონდა მოქცეული და მხოლოდ ამის შემდეგ დაუჯერეს. ბატონი მერაბი აღნიშნავს, რომ მას ძალიან უყვარდა და უყვარს კონკურსებში მონაწილეობის მიღება. მისი აზრით,

ბია მერაბიშვილი და მერაბ მერაბიშვილი წინადალში



**მერაბ მერაბიშვილი
მხოვლებთან:
კოტე მერაბიშვილთან
და სოფიო
ნიკოლაიშვილთან
ერთად**



ედვარდ ჰიტი, ინგლისის პრემიერი (რუსთაველის ქაბლზე მუშაობის პროცესი)



მოსკოვი. პეტრე ბაბრატიონის ქაბლის გახსნის წინ.



მერაბ მერაბიშვილის სახელოსნოში ინგლისის პრემიერ-მინისტრი ედვარდ ჰიტი, თავის პირად ექიმ სარ ლოურენტთან და მისი პირადი დაცვის წევრთან ერთად

კონკურსში გამარჯვება ნამდვილად მხოლოდ ადამიანის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული. ყველაზე მეტად კი კონკურსის ბერძნული ვარიანტი მოსწონს და იზიდავს. აქვე თავის ცხოვრებაში პირველ სერიოზულ კონკურსსაც იხსენებს. ეს იყო გრიბოედოვის ძეგლი. კონკურსი მოსკოვში ჩატარდა და მხოლოდ სამმა ძეგლმა მიიღო რეკომენდაცია: მერაბიშვილისამ — თბილისისთვის, მანუელოვისამ — მოსკოვისთვის და ლიშევის ძეგლმა — ლენინგრადისთვის.

ბატონი მერაბის ალბომის თვალყურებისას საინტერესო სურათს გადავანყდით, რომელზეც ცნობილი კარიკატურისტი ჰერლუპ ბიდსტრუპი ქალიაშვილთან და შვილიშვილთან ერთად არის გადაღებული. ბატონი მერაბი მას ახლო მეგობრად წარმოგვიდ-

დუბნა ვექსლერის კაბლის გახსნა



გენს, რომელიც იმ დროს მოქანდაკის პირადი სტუმარი გახლდათ. „ის ძალიან ნიჭიერი და დიდი ადამიანი იყო. საოცარი კაცი — ასე ახასიათებს მერაბიშვილი ბიდსტრუჟს და დიდ წუხილს გამოთქვამს მისი გარდაცვალების გამო.

მოგზაურობასთან დაკავშირებით ბატონი მერაბი ერთ ისტორიას იხსენებს: როცა ფლორენციაში ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“ უნახავს, სრულიად მარტო ყოფილა და ორი საათის მანძილზე უყურებდა და თან ფიქრობდა, თუ ვისთვის გაეზიარებინა ის დიდი ემოცია. ბოლოს, სრულიად მარტოს ორი ბოთლი ღვინო შეუკ-

ვეთავს და ერთი კოლოფი სიგარეტი... მართლაც მოუტანიათ მისი შეკვეთა ნომერში და სუფრის განყოფილება ადამიანზე დაუწყიათ... ბატონ მერაბს უთქვამს, მარტომ უნდა დავლიო, რადგან ამ ქალაქში უმეგობროდ გახლავართო და, აი, ამ ღვინით სულ ბოტიჩელის სადღეგრძელოები უნდა შევსვაო...

დრეზდენში მოგზაურობისას კი ბატონ მერაბს, როცა რაფაელის საოცარი „სიქსტის მადონა“ უნახავს, თავისი მეგობარი ხელოვნებათმცოდნისთვის, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა იქ, უთქვამს: „გენიალური იყო, მაგრამ

თითქოს ცოტა ჩამშრალიო“ და უკითხავს, თუ რაში იყო ამ ნაწარმოების გენიალურობა. „ცოტა ხანში გაიგებ, რაშიც არისო“, — მიუღია პასუხად და გაუგრძელე ბიათ სხვა შესანიშნავი მხატვრების ნამუშევრების დათვალიერება, მაგრამ, როცა დროდადრო მისი კომპანიონი ეკითხებოდა ბატონ მერაბს, თუ რას უმზერდა, ის თურმე თავისდაუნებურად რაფაელის ნამუშევარს არ აშორებდა თვალს. „ნაწარმოების გენიალურობა ისაა, რომ იგი გაბრუნებს და გიზიდავს თავისკენ, უნებურად მოქმედებს შენზე...“

კაკა კახიანი



ერეკლე II-ის კაბლი თელავში



გრიგოლძეშვილის კაბლი თბილისში



რუსთაველის კაბლი ბუღაბაუშში



ტარნი ბაბარულ ვატრან მოფარკავეთა ტურნირის ბაბარჯეზულნი



კეტილი ზამრატინის ძეგლი მოსკოვში.
მოძიება მისი მემორიული